# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 19 თებერვალი 2000 №30 (1052) | ფასი 50 თეთრი


**2** სამეგრელო ითხოვს, ფეხბურთი გვათამაშეთო

მეხუთე თვეა, სამეგრელოში ფედერაციის პასუხს ელიან

**3** ქართული სამკუთხედი

საქართველო საგანძურია, ფიქრობენ ფინკე და რეტიგი

**5** ვინ ვის?

კვირას ორი დიდი მატჩია: ინგლისში „ლიდსი“—„მანჩესტერი“, იტალიაში „მილანი“—„ლაციო“

**8** რატომ არ ჰყავს მანჩესტერს ბრაზილიელი ფეხბურთელი



პელე ევროპელებს რევოლუციურ იდეას სთავაზობს

**11** ერთდღიანი იმედი მოსკოვში დასამარდა

EURO LEAGUE FIBA

ევროლიგის მერვედფინალისტები გამოვლინდნენ

# ომერტა: დუმილის ხელოვნება?



ბადრი ქათამაძის ფოტო

იოჰან ბოსკამპი ქართულ ფეხბურთზე თავისი სიტყვის თქმას იჩემებს

*„მე შემიძლია, მთელი წიგნი დავწერო ქართული ფეხბურთის მაფიურ მეთოდებზე“. რას იტყვით, როგორი რამეა, არის თუ არა ეს წლის გამონათქვამი, გკითხებით („ბურთი და მოედნის“ იპოლიტესი არ იყოს) — არის თუ არა ეს წლის გამონათქვამი?!*

*არის, არის, არის!*

*არის იმიტომ, რომ ეს ყველაფერი „კიკერმა“ დაბეჭდა და ეს ყველაფერი ევროპამ წაიკითხა. ეს კი ცუდია, ძალიან ცუდი! ამაზეა ნათქვამი — არ მოგვჭრეს თავი შუაგულ ევროპაშიო? მე თქვენ გეტყვით და, გვაკლდა თავის მოჭრა და ცუდი ამბავი. ევროპაში ქართულ ფეხბურთზე ასეთ საუბარს კი ჩვენი ბურთაობის ისედაც დაცემული პრესტიჟის კიდევ უფრო დაცემა მოჰყვება. შეილახება ორიოდ კინკილა ქართველი ლეგიონერის პრესტიჟიც და... მოკლედ, ბოსკამპმა ბომბი გვესროლა. ძალიან ცუდია ისიც, რომ ბომბი კვლავ ბელგიურ სიტუაციაში გასკდა — ვითომ „რასისტმეხელენური“ ამბები არ გვყოფნიდა, ახლა „შინდისფერთა“ ყოფილი თავკაცის საკმაოდ მკახე გამონათქვამს არ დაესხა ცეცხლზე ნავთი.*

*ამ ფაქტს მიჩუმათება არ ეგების. პირადად მე არასოდეს ვყოფილვარ ბოსკამპის მოწინააღმდეგეთა ბანაკში, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ჰოლანდიელს არ დასცალდა მუშაობა არც კლუბში, არც ნაკრებში, მაგრამ ახლა საქმე, ბოსკამპისა და მავანის ურთიერთობათა რკალზე მეტად, სრულიად ქართულ ფეხბურთს ეხება და სწორედ ამიტომ არ ეგების ბოსკამპის ნათქვამს ურეაქციოდ დატოვება.*

იხილეთ მეორე გვერდი

# ევროპა დღეს: საფრანგეთი—ინგლისი

ექვსი ერის პირველობა SIX NATIONS

დღეს ბებერ კონტინენტზე დიდი რაგბია — ექვსი ერის პირველობის მეორე ტური. საუკეთესო ევროპელი მორაგბეები შეერკინებიან ერთმანეთს. დღეს ბევრი რამ გაირკვევა. შეიძლება, ტურნირის გამარჯვებულის ვინაობაც გავიგოთ. საფრანგეთისა და ინგლისის დაპირისპირებაში მოგებულს რაგბიში კარგად ჩახედულნი პირველობის ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებენ. ამიტომაც ეს მატჩი არამარტო ტურის, არამედ მთელი ტურნირის ცენტრალურ შეხვედრადაა მიჩნეული. არც დანარჩენი ორი თამაშია უინტერესო. შეძლებს იტალია, უელსთანაც ისევე კარგად ითამაშოს, როგორც შოტლანდიასთან? უელსს კი, ისევე როგორც ირლანდიასა და შოტლანდიას, უკანდასახევი გზა მოჭრილი აქვს. ერთი სიტყვით, დღეს დიდი რაგბია!

იხილეთ მეცხრე გვერდი




ფრანგთა ერთ-ერთი ლიდერი და იმედი აბდელატიფ ბენაზი

დასაწყისი პირველ გვერდზე

# ომერტა — დუმილის ხელოვნება?

## ომერტა

მაფია ევროპის პირმშოა. გაჩნდა მაფია და გაჩნდა ომერტაც — დუმილის ხელოვნება. ეს სიჩუმისაზე მეტად „მავანის დადუმების“ ხელოვნებაა. ვინც ზედმეტს იტყოდა — ველარაფერს ველარ იტყოდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ... კლავდნენ.

ღმერთმა დაგვიფაროს, ვისიმე დაომერტ-ებას ვქადაგებდეთ, მაგრამ მთქმელს კაი გამგონიც უნდა და დასმულ კითხვას — პასუხი. იოჰან ბოსკამპმა სრულიად ქართულ ფეხბურთს მულეტი აუფრიალა, გამოიწვია და ევროპა, რომელსაც ათჯერ და ასჯერ მეტად სანახაობრივი კორიდები უნახავს — ჩვენს რეაქციას ელოდება.

ქართული მხარე კი დუმს. ეს „სარბიელმა“ მოჰფინა სამზეოს გუშინ გერმანული გაზეთის ნაბეჭდი, თორემ ყველაფერი გაცილებით ადრე მოხდა — იოჰან ბოსკამპმა სათქმელი 10 თებერვლის „კიკერს“ უთხრა.

ჩვენი მხარე კი დუმს. დუმს კვირაზე მეტია და ერთი კითხვაც — არის თუ არა ეს დუმილი ომერტა — დუმილის ხელოვნება? არა მგონია. დუმილს ბევრნაირ ახსნას მოუძებნიან ხოლმე ადამიანები და მათ შორის ყველაზე საკაცობრიო და პოპულარული ერთია — დუმილი თანხმობის ნიშანიაო...

არის კი ჩვენი დუმილი თანხმობის ნიშანი?

თუ ჰო — აზრი დაკარგვია ყველაფერს (ფეხბურთსაც), თუ არა — აფრიალებულ მულეტს საპირისპირო რეაქცია უნდა, კითხვას — პასუხი, შეცდომაში შეყვანილ (ან არშეყვანილ) ევროპას სიტუაციის ახსნა...

თუ არადა...

დუმილს თანხმობად უფრო ჩაგვითვლიან, ვიდრე ომერტად — დუმილის ხელოვნებად.





გალდი კოტიაშვილის ფოტო

ერთ დროს იოჰან ბოსკამპს გაფაციცებით უსმენდა ქართული ფეხბურთის ნაღები ჩვენი ეროვნული გუნდი

### ვნახეთ უცხო მოყმე ვინმე...

დაჩანაკებულ ქართულ საფეხბურთო მეურნეობას იოჰან ბოსკამპი ისე მოუხდა, როგორც უფლისწულ ქონდარუხს ციცინათელების მზეთუნახავი. ჩამოვიდა იოჰან მრისხანე საქართველოში, ფეხი შედგა დილმის ბაზაზე, ორიოდ ვარჯიში ჩაუტარა ქართველ ფეხბურთელებს და უმალ ქართული მენტალიტეტის უცნაურობაზე მოჰყვა ლაპარაკს.

მერე რაც იყო, ეს ყველაფერი სენით დახრულ კანზე ფურუნკულების გამოყრასა ჰგავდა. „ზიმბრუსთან“ მარცხი, ჯანაშიასთან კონფლიქტი, დე სოუზაზე ტყუილი იმედების დამყარება, სანაკრებო ფიასკო (ქრონოლოგია ალბათ არ არის დაცული) — ეს ყოველივე ცალ-ცალკე არც ბოსკამპის ბრალი იყო, არც „დინამოსი“, არც „ლოკომოტივის“ ჭირვეული ქართველი ლეგიონერის და დე სოუზასაც რას ვერჩით (მეტი არ იცოდა იმ კაცმა, თანაც თავად არავის გაჰკიდებია — მოვიძიეთ და ჩამოვიყვანეთ). თავი იჩინა სრულიად ქართული ფეხბურთის პრობლემამ კონტრაპუნქტში.

უცხოელი მწვრთნელი კი დაახლოებით ლუვრისფასადიანი მიქელა კალმახიძის ოდის ასოციაციას თუ ალუძრავდა საქმეში ჩახედულ კაცს.

მე ვერ დავითვლი, მერამდენედ აგვერია ქართველებს „უცხო და საუცხოო“ (ამაზე ილია ჭავჭავაძე წერდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქართული ფეხბურთი არ არსებობდა) და... „ფერიფის შემცვლელი“, „ანდერლეხტის გამჩემპიონებელი“ და ასე შემდეგ ცუდ ბუმერანგად ექცა ჩვენს ფეხბურთს.

მოგვიბრუნდა ის კაცი და „ჯორჯიან მენტალიტეტ დებილიო“ — თქვა ერთხელ. ლანძღვა არც ქართული მხრიდან დაჰკლებია „უცხო მოყმეს“, მაგრამ ყველაფერს ლოკალური, პიროვნებათაშორისი მასშტაბები ჰქონდა და ამდენად ჩირადაც არ ღირდა...

მაგრამ ბოსკამპმა ცნებები მაფია და ქართული ფეხბურთი დააკავშირა და...

ახლა მთლად ხატაეთის მეფესავით ნუ მოვიქცევით, „თავის უცხო მოყმეტარიელს“ ლაშქარი რომ წაასია, მაგრამ ვინც ბოსკამპს პასუხი უნდა გასცეს, დროზე გამოიღოს ხელი.

სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობს და იმიტომ.

და ისევ დებილზე...

დონდტმა (წარსულში თბილისის „დინამოს“ მეკარე) თქვა და მიჩუმათდა...

„რასინგ მეჰელენში“ რაღაცეები მოხდა და მიჩუმათდა...

ბოსკამპი იძახის და „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“.

კიდევ შეიძლება რაღაცეების გახსენება — „მრეტების საქმე“, „ბაზის საქმე“...

ქრონოლოგია წელანდელივით შეიძლება არც აქ იყოს დაცული, მაგრამ საქმე არ არის ქრონოლოგიაში — საქმე გატეხილ სახელშია... საქმე შელახულ პრესტიჟშია...

და საქმე ფეხბურთშია ბოლოს და ბოლოს.

ამიტომაც ვამბობთ — ამ ეტაპზე ომერტა უადგილოა. ამ ეტაპზე დუმილი დანაშაულია.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# სამეგრელო ითხოვს, ფეხბურთი გვათამაშეთო...

ეს არ გახლავთ ამბოხი. არც განაწყენებული კაცის პოზიციის დაფიქსირება. უბრალოდ, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაცია და ფეხბურთის იქაური სპეციალისტები თხოვნით მიმართავენ თავიანთ უზენაეს ორგანოს.

სამეგრელოში იციან ფეხბურთის ყადრი. ათი ათასობით ქომაგი მხოლოდ სპორტის ამ სახეობით სულდგმულობს. ერთადერთი გასართობი, ხშირად ერთადერთი იმედია მათთვის ფეხბურთი.

ახლა რომ მოვყვეთ რამდენი ფეხბურთელი გამოზრდილა სამეგრელოში, რამდენს უსახელებია სამშობლო და ასე შემდეგ, უადგილო იქნება.

ისიც არ გვინდა, ვინმემ ტენდენციურობა დაგვწამოს და კანონის წინააღმდეგ მოლაშქრეობა დაგვაბრალოს. ფეხბურთის ფედერაციას თავისი წესკანონები აქვს.

...ფეხბურთის სიკვდილი სამეგრელოში დაუშვებელია. ეს იქნება აუნაზღაურებელი დანაკლისი ქართული ფეხბურთისთვის.

ასე რომ, მთლად იოლი გადასაწყვეტი არ არის ეს საკითხი.

სამეგრელოს ფეხბურთის მესვეურებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას და გასული წლის 30 სექტემბერს მოკრძალებული წერილიც აახლეს.

ფეხბურთის ფედერაცია ჯერაც დუმს. სამეგრელოს ჯერ პასუხი არ ღირსებია.

ახლა იქაურები 24 თებერვლის იმედად არიან. იმ დღეს ზუგდიდში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია. ზუგდიდში ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას ელიან, თავიანთ სათხოვარსაც მაშინ შეახსენებენ და...

ქვემოთ იმ წერილს გთავაზობთ, რომელიც სამეგრელომ გასულ წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს აახლა და რომელიც გუშინ ჩვენც გამოგვიგზავნეს რედაქციაში...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ მერაბ ჟორდანიას



რეგიონალურ ლიგაში საუკეთესო მეგრული გუნდი „მეგრი“

ბატონო მერაბ!

ამ წერილით თქვენ მოგმართავთ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციაში შემავალი ქალაქებისა და რაიონების ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტები, საქართველოს XI — ეროვნულ ჩემპიონატის რეგიონალურ ლიგაში მონაწილე საფეხბურთო კლუბების პრეზიდენტები და გუნდების უფროსი მწვრთნელები. მოგახსენებთ, რომ ბოლო წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ბევრი რამ გაკეთდა ფეხბურთის პოპულარიზაციისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის, წინა წლებთან შედარებით თითქმის ორ და სამჯერ გაიზარდა სხვადასხვა რანგის რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებში მონაწილე ფეხბურთელთა გუნდების რაოდენობა ჩვენი რეგიონიდან.

მიუხედავად საერთო ეკონომიკური მძიმე მდგომარეობისა, რეგიონალური ლიგის 1999-2000 წლების ჩემპიონატში მონაწილეობას ღებულობს რეგიონში შემავალი ქალაქებისა და რაიონების რვა საფეხბურთო გუნდი.

1999-2000 წლების ჩემპიონატის დებულებით გათვალისწინებულია, რომ ზონებში გამარჯვებული ორ-ორი გუნდი, ე.ი. სულ რვა გუნდი და მას მიმატებული პირველი ლიგიდან გავარდნილი ოთხი გუნდი სულ თორმეტი გუნდი შემდგომში შექმნიან მეორე ლიგას.

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო დროს ძალზე დიდია დაინტერესება შემდგომი განვითარებისადმი და რომ საგრძნობლად ამაღლდა ადგილობრივი სახელისუფლო ორგანოების ხელმძღვანელთა მხადრაჭერა და დახმარება სასურველი ჟდა მიზანშეწონილი იქნებოდა მომავალ XII ჩემპიონატში მეორე ლიგაში მონაწილე გუნდების რაოდენობა გაიზარდოს თექვსმეტამდე, ამდენად მეორე ლიგაში XI ჩემპიონატის თითოეული ზონიდან გადავიდეს არა ორ-ორი გამარჯვებული, არამედ სამ-სამი გამარჯვებული გუნდი.

ბატონო მერაბ!

სამეგრელოს რეგიონის ქალაქებისა და რაიონების ფეხბურთის ფედერაციების პრეზიდენტები, საქართველოს XI ჩემპიონატის რეგიონალურ ლიგაში სამეგრელოს რეგიონიდან მონაწილე საფეხბურთო კლუბების პრეზიდენტები და გუნდის მწვრთნელები უმორჩილესად გთხოვთ, აღნიშნული საკითხი გახადოთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მსჯელობის საგნად და ეს საკითხი გადაწყვიტოთ დადებითად.

დიდი იმედი გვაქვს თქვენი გულისხმიერებისა და თანადგომისა, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

ღრმად პატივისცემით:

1. სამეგრელო — ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი: ო. ჭითანავა
2. ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი: გ. შელია
3. ფოთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი: გ. ბარამია
4. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბ „ლაზიკას“ პრეზიდენტი, რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი: გ. კანკია
5. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი: ჯ. გოგია
6. წალენჯიხის საფეხბურთო კლუბ „სქურის“ პრეზიდენტი: რ. მოლაშხია
7. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბ „მეგრის“ პრეზიდენტი: ლ. წიფურია
8. ზუგდიდის რაიონის დარჩელის „ჩელას“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი: ე. ხუფენია
9. ფოთის „კოლხეთი №2“-ის ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი: ს. ფილია
10. წალენჯიხის „სქურის“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი: ბ. ჩალიგავა
11. ზუგდიდის „ლაზიკას“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი: ა. დანელია
12. ზუგდიდის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი: გ. ბუკია
13. ზუგდიდის „მეგრის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი: გ. ექონია
14. დარჩელის „ჩელას“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი: ი. ხუბუა

ქ. ზუგდიდი

30 სექტემბერი 1999 წელი

## ქართული ფეხბურთი ხუთ ლარად





გამოვიდა რევაზ შენგელიას ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი. რიგით მერვე გამოცემაში გაეცნობით ათი ეროვნული ჩემპიონატის სრულ სტატისტიკას, პირველი და რეგიონალური ლიგის კლუბთა განაცხადებსა და იხილავთ მათ გუნდურ ფოტოებს.

1998-99 წლების ჩემპიონატის შედეგები და თასის გათამაშების ყველა მატჩი, საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრები, ევროპის საკლუბო ტურნირები და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის თამაშები — ეს ყველაფერი და კიდევ სხვა ბევრი საინტერესო ქართული ფეხბურთის შესახებ სულ რაღაც 5 ლარად.

# ქართული სამკუთხედი

## საქართველო საგანძურია, ფიქრობენ ფინკე და რეტიგი

ქართული ფეხბურთი ძლიერ საფეხბურთო ქვეყნებში მოთამაშე ლეგიონერთა სიმრავლით ვერ დაიკვეხნის. ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს (ძალიან კი გვინდა, მაგრამ...) ნამდვილად არ წაგვიყვანს. ჩვენც ჩამოვთვალოთ: ინგლისური პრემიერლიგის კლუბებში სამი ჩვენებური ირიცხება — თემურ ქეცბაია „ნიუკასლში" თამაშობს, გიორგი ქინქლაძე „დერბი ქაუნთიში", რატი ალექსიძემ კი ლონდონის „ჩელსისთან" კონტრაქტს ახლახან მოაწერეს ხელი. ვინ შეიძლება დავამატოთ ამ სამეულს? აიაქსელი შოთა არველაძე, უკრაინული ფეხბურთის ბოლოდროინდელი წარმატებებით თუ ვიმსჯელებთ, კიევის „დინამოს" წევრები კახა კალაძე და გიორგი დემეტრაძე და... ცხადია, გერმანულ ბუნდესლიგაში მოთამაშე ქართული ტრიო.

ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი უკვე მეორე წელია, „ფრაიბურგის" ღირსებას იცავენ. ორიოდე სიტყვით ჯერ იმაზე ვთქვათ, რა გუნდია „ფრაიბურგი". ეს კლუბი დიდი წარმატებებით ვერ დაიკვეხნის. პირველიდან მეორე ბუნდესლიგაში და პირიქით ხშირად მოგზაურობს. შარშანაც ბოლო ტურში გადაურჩა გავარდნას. თუმცა, სპეციალისტთა აღიარებით, სანახაობრივი თვალსაზრისით ქვეყანაში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს. და რა როლს ასრულებენ ქართველები ამ კლუბში? საკმაოდ მნიშვნელოვანს. გასულ სეზონში იაშვილი-კობიაშვილი-ცქიტიშვილის ტრიო წამყვანი გახლდათ გუნდში. იაშვილი პირველი 11 ტურის შემდეგ 6 გოლით სულაც ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირი იყო, თუმცა ბედმა უმუხთლა, მძიმე ტრავმა მიიღო და მას მერე ფორმა ჯერაც ვერ აღუდგენია. კობიაშვილმა შარშან თითქმის ყველა მატჩი ჩაატარა, წლეულსაც სტაბილურად თამაშობს და გუნდში არცთუ მეორეხარისხოვან ფეხბურთელად ითვლება. თავიდან ცქიტიშვილიც ძირითად შემადგენლობაში იყო, „ფრაიბურგს" კარგადაც შეეწყო, მაგრამ წლეულს მასაც პრობლემები მოსძალებია, ტრავმის გამო სამ თვეზე მეტია, მინდორზე არ გამოჩენილა. ქართველთა გასაწევ ჭაპანს, ამჟამად ტუნისელები ეწევიან. მიუხედავად ამისა, ჩვენებურ ფეხბურთელებს „ფრაიბურგის" ხელმძღვანელობაც და კლუბის გულშემატკივრებიც იმედის თვალით შეჰყურებენ. მათ სჯერათ, რომ მოვა დრო და ქართველები ჩვეულად ათამაშდებიან. სხვათა შორის, ამის იმედს არც გერმანელი ჟურნალისტები კარგავენ. ისინი რეგულარულად ახსენებენ საფეხბურთო საზოგადოების იმ ფაქტს, რომ ბუნდესლიგას თავისი ქართველები ჰყავს. აი ახლაც, 14 თებერვალს, ქვეყნის ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა სპორტულმა გამოცემა „კიკერმა" ჩვენებურებს მთელი გვერდი დაუთმო. მართალია, მასში ახალი თითქმის არაფერია, მაგრამ რა დაწერა ქართველებზე „კიკერმა", მკითხველს, ვფიქრობთ, მაინც დააინტერესებს.



ალექსანდრე იაშვილი



ლევან კობიაშვილი



ლევან ცქიტიშვილი

„მაკა ცქიტიშვილმა თქვა: „ყველა მამაკაცი უყურებს ფეხბურთს, თანაც მუდმივად", მერე კი ჩუმად, ნაღვლიანად ამოიოხრა და ირგვლივ ღიმილით მიმოიხედა. მაკა ამბობს „ყველა" და გულისხმობს სამს, რომლებიც მის ირგვლივ მაგიდასთან სხედან. ამბობს „მუდმივად" და გულისხმობს კვირის უმეტეს დღეებს, როცა მისი მეუღლე ლევანი და ორი თანამემამულე — ალექსანდრე იაშვილი და ლევან კობიაშვილი ან თავად ვარჯიშობენ და თამაშობენ ანაც პირდაპირ ტრანსლაციებს უცქერენ. ისინი სულ ერთად არიან. გამონაკლისი არც შობის დღესასწაული და ახალი წელია.

სამი ქართველი თამაშობს ბუნდესლიგაში, სამივენი „ფრაიბურგისთვის" ილვწიან. მათი სამშობლო ის ქვეყანაა, რომელსაც გუნდის მთავარი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე და მენეჯერი ანდრეას რეტიგი საერთაშორისო საფეხბურთო ბაზრის საგანძურს უწოდებენ. მათი აზრით, აქ არიან კარგი ფეხბურთელები, რომელთა შეძენა ძალიან ხელმისაწვდომ ფასებში შეიძლება. პირველი ქართველი, ვინც „ფრაიბურგის" ფორმა მოირგო, 22 წლის იაშვილია. იგი ამპლუით თავდამსხმელია, თანაც მემარცხენე. მეორე ქართული შენაძენი 22 წლის ნახევარმცველი კობიაშვილიც ცაციაა. ბოლოს „ფრაიბურგს" ცქიტიშვილი შეუერთდა. 23 წლის ფეხბურთელს ლიბეროდაც შეუძლია თამაში და ნახევარდაცვაშიც. თანამემამულეთა მსგავსად, იგიც მარცხენა ფეხით უფრო უკეთ ირჯება.

სამივე ფეხბურთელი ეროვნული ნაკრების წევრია. ისინი ერთმანეთს ბავშვობიდან იცნობენ. ფეხბურთის ანბანი ქვეყნის დედაქალაქ თბილისში ისწავლეს, სადაც მილიონნახევარი კაცი ცხოვრობს. „ახალგაზრდები იქ ფეხბურთის თამაშს დიდ დროს უთმობენ" — ჰყვება ფინკე. მართალია, საფეხბურთო სკოლის მინდვრები ძირითადად ქვიშისაა, მაგრამ ეფექტიანობა მაინც მაღალია.

იაშვილი 15 წლისა უკვე პროფესიონალი იყო. კვირაში ცხრაჯერ მაინც ვარჯიშობდა. მისი ყველაზე ძლიერი მხარე ტექნიკაა. 16-17 წლისა თბილისის „დინამოში" თამაშობდა. ფინკემ იგი მეორე ბუნდესლიგის „ლიუბეკში" შეამჩნია, ამ კლუბში ქართველი ნახევარი წელი იყო განათხოვრებული. კობიაშვილის თამაში მწვრთნელმა ტელევიზორში ნახა. საქართველოს ეროვნული ნაკრების ორ მატჩში ფინკეს კობი ძალიან მოეწონა, თუმც მაშინვე ვერ გადმოიბირა. ლევანი იმ დროს კონტრაქტით თბილისის „დინამოს" ეკუთვნოდა, თუმცა არენდით ვლადიკავკაზის „ალანიაში" თამაშობდა. „ფრაიბურგმა" მისი საბოლოო გადმობირება ორგზის არენდის შემდეგ შეძლო.

გერმანული კლუბის ხელმძღვანელობის ცქიტიშვილით დაინტერესებაში მნიშვნელოვანი როლი იაშვილმა შეასრულა. სწორედ მან მიაწოდა ფინკეს ლევანზე თავდაპირველი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, დიდი შანსი იყო, ცქიტიშვილს ბელგიაში გაეგრძელებინა კარიერა. მას მესამე ლიგის „რასინგ მეხელენი" იწვევდა. „მე იქ ორი კვირა ვიყავი. საბედნიეროდ, კონტრაქტზე ხელი არ მოვაწერე" — იხსენებს ქართველი. ცქიტიშვილიც „ფრაიბურგში" აღმოჩნდა.

ასე გახდნენ სამნი. მათ ქართული გაერთიანება შექმნეს, რომელსაც ორი მეუღლე და ორი ბავშვი — ნუცა და ნიკა — ავსებს. ორივე პატარა ფრაიბურგში დაიბადა. დაოჯახებული კობიაშვილი და დაუქორწინებელი იაშვილი ერთ სახლში ცხოვრობენ. ცქიტიშვილიც იქვეა. ამ გაერთიანების წევრებს შორის სრული ჰარმონიაა, არავითარი უსიამოვნება. მათი ერთადერთი პრობლემა გერმანული ენაა.

ფოლკერ ფინკე ქართველ ფეხბურთელებში ყველაზე მეტად თავაზიანობასა და განათლებას აფასებს. „ავტობუსში სულ მოზრდილ წიგნებს კითხულობენ" — ამბობს მწვრთნელი. მათ საქციელს თავისი საფუძველი აქვს. თითოეული პარალელურად სწავლობს კიდეც. იაშვილი ექიმთა ოჯახიდანაა და თვითონაც მედიცინას ეუფლება, კობიაშვილი კი ისტორიითაა დაინტერესებული. ორივენი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. ცქიტიშვილმა იგი უკვე დაამთავრა. მან ეკონომიკა შეისწავლა.

თბილისი და უნივერსიტეტი შორსაა, თუმცა ეს ფეხბურთელთათვის ტრაგედია სულაც არ არის. სამივეს უყვარს ფრაიბურგი, მიუხედავად იმისა, რომ აქ ქართული სამზარეულო (სადაც ხორცეული ჭარბობს) არ არის. ისინი ფრაიბურგის გარეუბნებსაც კარგად იცნობენ. შვეიცარიაშიც გადადიან ხოლმე. ციურიხში ხომ მათი ორი მეგობარი მუშაობს — გოჩა ჯამარაული და მიხეილ ყაველაშვილი. კიდევ ორი ქართველი, რომლებიც საფეხბურთო კლუბ „ციურიხში" თამაშობენ. ისინიც ფეხბურთის „გიჟები" არიან. ეს მაკას ცხოვრებას უფრო „ამძიმებს"

„კიკერიდან" თარგმნა
ვანო ოქროპირიძემ

# ჩაშრთეთ შუქი სიონს!

საფეხბურთო სეზონის განახლებამდე ბევრიც არ არის დარჩენილი და ბოლნისური „სიონი" უკვე პრობლემების წინაშე დგას, რადგანმეორე ეტაპისთვის სამზადისში გუნდს მნიშვნელოვანი პროცესის — საწვრთნელი შეკრების გამოტოვების საფრთხე ემუქრება! ფაქტია, კლუბის და რაიონის ხელმძღვანელობა ცდას არ აკლებს და ყველა ღონეს ხმარობს, რათა ფეხბურთელებს ელემენტარული პირობები შეუქმნან. ამ მხრივ გარკვეული შედეგი სახეზეა. კლუბს არანაირი დავალიანება არა აქვს და პირნათელია თავის წევრებთან, მაგრამ „სიონი" მაინც შეკრებაგაუვლელი რჩება, რადგან ამას დამატებითი თანხები სჭირდება, რაც ვერა და ვერ გამოიძებნა. ალტერნატიულად სიონელებს შეკრების კაზრეთში მოწყობა რჩება, რადგან იგი ბოლნისის სიახლოვესაა და ერთიორად იაფი დაუჯდებათ, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ კაზრეთს ძალიან ცუდად მიეწოდება ელექტროენერგია, უშუქობასა და სიცივეში გუნდის შეკრებას კი აზრი არ აქვს. მთავარი მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე ხაზს ეჭიდება: „რაიონის გამგებელი ცდილობს, კაზრეთს ელექტროენერგიით მომარაგება აღუდგინოს. დღეში ექვსი საათი მაინც რომ მოგვცენ დენი, კიდევ ექნება აზრი ჩვენს შეკრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში..." სათქმელი აღარ დაუმთავრებია არჩვაძეს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ შეკრება ვერ გაიარეს, მეორე ეტაპზე გუნდს ძალიან გაუჭირდება.

პრობლემამოძალებული „სიონი" ფორმს გასვლას საკონტროლო მატჩების ხარჯზე ცდილობს. გუშინ გუნდმა თბილისში ელგუჯა გუგუშვილის „ზოოვეტი" გაანადგურა 8:2.

სპარტაკ არჩვაძეს თავის დამშვიდება სხვა რამითაც შეუძლია: რამდენიმე დღის უკან გუნდმა კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა. „მრეტებში", „გორდასა" და „დინამოში" ნათამაშევმა ბესიკ შენგელაიამ მიმდინარე ჩემპიონატის პირველი ეტაპი ხაშურის „ივერიაში" ჩაამთავრა და სწორედ ამ გუნდიდან შეუერთდა „სიონს". ამ თავდამსხმელს სპარტაკ არჩვაძე უეჭველად გუნდიდან წასული დავით გოდერძიშვილის შემცვლელად ამზადებს.

ბაატა ძვანტალიანი

# სოლოლაშვილის უნებლიე არდადეგები

საშუასეზონო შესვენება დასასრულს უახლოვდება, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო დიდხანს მოუწევს დასვენება ბოლნისური „სიონის" ნახევარმცველ დავით სოლოლაშვილს. რამდენიმე დღის წინ მას ექიმებმა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის მტკივნეული და მძიმე დიაგნოზი დაუდგინეს — მენისკის დაზიანება.

დავით სოლოლაშვილი XI ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპზე დაუბრუნდა დიდ ფეხბურთს და ქვემოქართლულ „სიონში" ჩაირიცხა. უდავოდ ნიჭიერმა ნახევარმცველმა დიდი წვლილი შეიტანა ბოლნისელთა წარმატებაში და სამეორეეტაპოდაც ამ გუნდის შემადგენლობაში აპირებდა თამაშს. პარალელურად სოლოლაშვილი საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრებშიც ემზადებოდა და მის შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ...

— ექიმები მამშვიდებდნენ სწრაფად დაგაყენებთ ფეხზეო, მაგრამ ბოლოს გაირკვა, რომ საოპერაციო ვარ — გვითხრა გულდაწყვეტილმა ფეხბურთელმა.



დავით სოლოლაშვილი

წარმატებული ოპერაციის შემთხვევაში დავით სოლოლაშვილს ერთი თვის შემდეგ მსუბუქი ვარჯიშის საშუალება ექნება. „სიონს" კი აპრილის შუა რიცხვებში დაუბრუნდება.

ბაატა ძვანტალიანი

# აქაც აზერბაიჯანი

როგორც იცით, თებერვლის ბოლოს საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ელის ხორვატიაში. შესარჩევი ეტაპის მატჩები აზერბაიჯანში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ჩვენი მეზობელი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ფიფამ უფლებამოსილება შეუჩერა და შესარჩევმა ეტაპმაც ზაგრებში გადაინაცვლა. საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას გასარკვევი მხოლოდ ტურნირის ვადები რჩებოდა და ხორვატებმაც რამდენიმე დღის წინ შესარჩევი ეტაპის კალენდარი გამოგვიგზავნეს.

ნაკრები ზაგრებში 26 თებერვალს გაემგზავრება და ორი დღის შემდეგ პირველ შეხვედრას აზერბაიჯანელებთან გამართავს. 29 თებერვალს ჩვენებურები მასპინძლებთან გამართავენ. მომდევნო ორ მატჩს ქართველები 3 და 5 მარტს ჩაატარებენ შესაბამისად ჩეხებთან და ბერძნებთან.

ზაგრები გამგზავრების წინ ნაკრების ხელმძღვანელობას ბევრი პრობლემა დაუგროვდა და საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაციისა და ნაკრების ხელმძღვანელები 25 თებერვალს პრესკონფერენციის მოწყობას აპირებენ.

ბაატა ძვანტალიანი

# არსენალი კრების მოლოდინშია

„სარბიელის“ მკითხველს აქამდეც არაერთხელ ვაცნობეთ თბილისის „არსენალში“ შექმნილი მდგომარეობის შესახებ — ერთხანს გუნდის ძველ ხელმძღვანელობას თითქოს საბოლოოდ მოუბრუნდა გული არმიელებისკენ.

ჯონი ფირცხალაიშვილმა კვლავ აიღო ხელთ პრეზიდენტის სადავეები და „ისნის“ ბინადართ ახალი თავკაცი, ჯონი ჯანელიძე დაუნიშნა, მაგრამ მერე ძველებურად აირია სიტუაცია და არსენალელებს ხელმძღვანელობამ, საბოლოო გადაწყვეტილებას ორიოდე დღეში შეგატყობინებთო, ეს უთხრა.

„ორიოდე დღემაც“ მალე ჩაიარა და დღეს ათ საათზე არსენალელთათვის აგრერიგად საჭირბოროტო შეხვედრაც შედგება. არმიული გუნდის მესვეურები მწვრთნელსა და ფეხბურთელებს თავიანთ სათქმელს ეტყვიან და „არსენალის“ საბოლოო ბედიც ამ შეხვედრაზე გადაწყდება.

— მანამდე კი გუნდში ყველაფერი ისე ხდება, როგორც სამწვრთნელო პროცესს შეეფერება — ვვარჯიშობთ, საკონტროლო თამაშებსაც ვატარებთ, ერთი სიტყვით, სრულფასოვნად ვემზადებით სეზონის განახლებისთვის. ის კი, რა და როგორ იქნება „არსენალში“, ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ გეცოდინებათ. გუნდში ჩემი შემდგომი მუშაობის შესახებ გადაწყვეტილებასაც მერე მივიღებ — უთხრა „სარბიელს“ „არსენალის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯონი ჯანელიძემ.

ასე რომ, „არსენალის“ ყოფნა-არყოფნის საკითხი დღეს უნდა გადაიჭრას.

ბაატა რურუა



ალბათ გახსოვთ, არსენალელები „ვიტ ჯორჯიასთან“ ზედ თამაშის წინ რომ გაიფიცნენ. მსგავსი ფაქტი რომ აღარ განმეორდეს, დღეს...

# საშუასეზონო მიდი-მოდი

| I-VIII | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ტორპედო *დავით ყიფიანი* | მაზანიშვილი (სიონი), კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (სამგურალი), ვ. მაისურაძე (თბილისი) | გ. გოგოლაძე, თავბერიძე, ვადაჭკორია, კვერნაძე, ბაბუნაშვილი (ინტერი), ქადაგიძე (ნორჩი დინამოელი) | ქოიზმეთესფორი (თურქეთი) 5:0, შინიკი (რუსეთი) 0:1, ნოსტა (რუსეთი) 2:2, ვენტსპილსი (ლატვია) 2:1, ანთალია 2 (თურქეთი) 3:1, იესილი (ყაზახეთი) 0:0, ლევსკი (სოფია, ბულგარეთი) 1:2, ყაზახეთი 2:2, დუსტლიკი (უზბეკეთი) 4:3, სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:3 |
| დინამო *ოთარ კორღალიძე* | აშვეთია (ალანია, რუსეთი), ალექსიძე (ჩელსი, ინგლისი), ლომაია (ლოკომოტივი), ზირაქიშვილი (შელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვ. გოგიაძე, ს. გოგიაძე (ანჟი, რუსეთი) | გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძევაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, გ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (თბილისი), დათუაძე (სიონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), რ. არველაძე (ობერჰაუზენი, გერმანია), გონჩაროვი (არსენალი), ჩხეიძე (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია 3:2, ლოკომოტივი 1:2, საქართველო U21 2:2, ცაგ დინამო (ყირგიზეთი) 5:2, ვარზობი (ტაჯიკეთი) 3:5, ირტიშ ბასტაუ (ყაზახეთი) 5:2, მერანი 0:0, დებრეცენი (უნგრეთი) 0:1, რუბინი (რუსეთი) 2:3 |
| კოლხეთი *გია ტყებუჩავა* | დ. გოგოლაძე (ვენტსპილსი, ლატვია), ჭოხონელიძე (დილა), ბულუხია, გ. გიორგაძე (თამაში მიატოვა), მელაძე, დავითნიძე (?) | მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), გ. ჩიტაია (დილა), ფანჩულიძე, შ. ჩხენკელი (ტრავმის გამო არ თამაშობდნენ), დ. კვირკველია, კრასოვსკი (კოლხეთი 2), რ. ახალკაცი (შუმენი, ბულგარეთი) | ნივა (ტერნოპოლი, უკრაინა) 1:1, სტალი (ალჩევსკი, უკრაინა) 0:1, 1:1, პოლიგრაფტეხნიკა (ალექსანდრია, უკრაინა) 2:1, 1:2, 0:2, ობოლონ პპო (კიევი, უკრაინა) 0:0 |
| ბათუმი *ჯანი კარნევალე* | პაპიძე (თბილისი), კანტიძე (თამაში მიატოვა), გადელია (თბილისი), უვაკვე (?) | ხომერიკი (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (სამგურალი), ბარნოვი (ლოკომოტივი), ბოკიჩი (ნაციონალი, ბუქარესტი, რუმინეთი) | რეშიცა (რუმინეთი) 1:2, არეცო (იტალია) 3:1, სტიაუა (რუმინეთი) 3:4, არჯეში (რუმინეთი) 1:2, ზაგლებიე (პოლონეთი) 4:1, ვისლა (პოლონეთი) 3:2 |
| ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე* | კ. ალადაშვილი (გორდა), მაზიაშვილი (თსუ) | ლ. მელქაძე (თბილისი), ი. ხაჭაპურიძე (სამგურალი), მერლანი (თსუ), თ. კობიაშვილი (დინამო) | ზოოვეტი 5:0, დინამო 2:3, თსუ 6:4, დილა 1:0, მერანი 0:0, სიონი 1:0, საქართველო U21 1:0, არსენალი 2:1, ფენერბახჩე (თურქეთი) 3:1, სპორტული (რუმინეთი) 1:1, სლოგა (მაკედონია) 3:0, ნოიდორფი (ავსტრია) 0:0, პოგონი (პოლონეთი) 1:1 |
| სიონი *სპარტაკ არჩვაძე* | დათუაძე (დინამო), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი, მ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი) | მაზანიშვილი (ტორპედო), ისიანი (თბილისი), დაუშვილი (არსენალი), ბ. შენგელია (ივერია) | ვიტ ჯორჯია 0:1, არსენალი 1:1, 1:3, გორდა 1:1, 0:0, ზოოვეტი 8:2 |
| დილა *მურაზ კოქლაშვილი* | გ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა) | საყვარელიძე (დილას სკოლა), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | ვიტ ჯორჯია 0:1, ლოკომოტივი 3:1, თსუ 0:0, თბილისი 0:2, 1:0, მერანი 0:0, 0:5, არსენალი 1:1 |
| იბერია *სოსო გრუიძე* | კ. მეტრეველი (დნეპრი, უკრაინა), ზ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), დარსაძე (სამგურალი), ქველაძე (?) | | |

| IX-XVI | გასხვისებულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი* | გოგიჩაიშვილი (დინამო), მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ბარნოვი (ბათუმი), ლ. მიქაძე (ანჟი, რუსეთი), ქებაძე (ირაკლისი, საბერძნეთი), ბარამიძე (პიერიკოსი, საბერძნეთი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (არსენალი), ჩომახიძე (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), კ. მელქაძე, ამაშუკელი (თბილისი), ნემსაძე, დოლაბერიძე (?) | ლომაია (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი), ხუროძე (სკონტო, ლატვია), ძოძუაშვილი (სამგურალი), დ. გოდერძიშვილი, პარამონოვი (თბილისი 2), ქიქველიშვილი (ალანია, რუსეთი), თოლორდავა (მერანი), ა. ჯულაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. გვაზავა (თსუ), ონიანი (ხობი), ნიკურაძე, გულორდავა (გურია), მორჩილაძე, არეშიძე (ლოკომოტივი 2), დევდარიანი (ცხუმი), გამცემლიძე (არ თამაშობდა) | დინამო 2:1, დილა 1:3, მერანი 2:2, 0:1, თსუ 1:0, 2:2, ასკ (ხაბაროვსკი, რუსეთი) 2:1, აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0, შერიფი (მოლდოვა) 0:2 |
| გორდა *იასონ ალადაშვილი* | ინასარიძე (თორი), ლ. ალადაშვილი (აპოლონი, საბერძნეთი), თელიაშვილი (?) | კ. ალადაშვილი (ვიტ ჯორჯია), ბედიაშვილი (თბილისი), გაბარაევი (მამული), დ. ნიკლაური, სულაშვილი, ძებისაშვილი, ლ. კაპანაძე (ხალიბი), ლ. სილაგაძე (სკონტო 2, ლატვია), ბურნაძე, შ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ) | ხალიბი 4:3, 3:2, სიონი 1:1, 0:0 |
| თსუ *თენგიზ კაცია* | მერლანი (ვიტ ჯორჯია), ნინუა (შელასიცა, პეტრიჩი, ბულგარეთი), გ. გვაზავა (ლოკომოტივი) | მაზიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ფუტკარაძე (ინტერი), ჯავახიშვილი (განთიადი), ნანიშვილი (ცხუმი), სულავა (ნორჩი დინამოელი) | ვიტ ჯორჯია 4:6, ლოკომოტივი 0:1, 2:2, მერანი 1:0, ზოოვეტი 4:2, დილა 0:0 |
| მერანი *სერგო გაბელაია* | ხარებავა, ე. ალადაშვილი (არსენალი), დავითაშვილი (არსენალი, ტულა, რუსეთი), ბ. ამბიძე, ლ. ამბიძე (დინამო, ასტრახანი, რუსეთი) | კოშკაძე, ავალიანი, მელიქა, კვანტალიანი, მიკუჩაძე (ამირანი), გ. ილურიძე, აბულაძე (განთიადი), ბოლქვაძე (გურია), ა. ხორხელი (არ თამაშობდა) | ვიტ ჯორჯია 0:0, ლოკომოტივი 2:2, 1:0, დინამო 0:0, თსუ 0:1, ქაბუკიანი 1:1, ცხუმი 6:0, 3:1, დილა 0:0, 5:0 |
| თბილისი *რამაზ შუმლიძე* | ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, გ. მიქაძე, ა. ჩიხრაძე (დინამო), კვარაცხელია, აბრამიძე, ზ. ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ისიანი (სიონი), ლ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია), ვალერი გაგუა (სკონტო, ლატვია), ბედიაშვილი (გორდა) | ვ. მაისურაძე (ტორპედო), პაპიძე (ბათუმი), ნორაკიძე, ჩივაძე, ახალაია (თბილისი 2), კოხრეიძე (სამგურალი), კ. მელქაძე, ამაშუკელი (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), გადელია (ბათუმი), გ. ლუდუშაური (არ თამაშობდა) | დილა 2:0, 0:1, საქართველო U18 0:0, ს.ა. იბერია 0:0 |
| სამგურალი *იასონ ბზიკაძე* | ძოძუაშვილი (ლოკომოტივი), ი. ხაჭაპურიძე (ვიტ ჯორჯია), პეტრიაშვილი (ბათუმი), კოხრეიძე (თბილისი), კოპალიანი (XXI საუკუნე) | კ. ჯანაშია, ჩხაბერიძე (ტორპედო), გაბუნია (მეტალურგი), გ. ჯანელიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), გიორგობიანი (ლუჩი, ვლადივოსტოკი, რუსეთი), დარსაძე (იბერია) | ინტერი 8:0, გაგრა 5:2 |
| ხობი *უმწვრთნელოდ* | ლ. გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა), ონიანი (ლოკომოტივი), ნიქაბერიძე, ბაბუაძე, გოგიტაძე, ზ. კვეკვესკირი, თორია (?) | | |
| არსენალი *ჯონი ჯანელიძე* | ჩლაიძე, თარგამაძე (ბათუმი), გონჩაროვი (დინამო), დაუშვილი (სიონი), მ. მაისურაძე (?); მამუკა გეგეჭკორი (მწვრთნელი, დაითხოვეს) | ხარებავა, ე. ალადაშვილი (მერანი), დ. ჯანელიძე, ნივნივაძე (ლოკომოტივი), ქოიავა (არაგვი), ტულუში (?); ჯონი ჯანელიძე (მწვრთნელი) | სიონი 3:1, 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, არსენალი 2 3:0, აკადემია 3:0, დილა 1:1 |

**შენიშვნა: საბოლოოდ მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვირას, ელანდ როუდზე

## ინგლისი

ინგლისელებს საშობაოდ არ დაუსვენიათ და ახლა გადაწყვიტეს. ამ უქმეებზე პრემიერლიგის მხოლოდ ორი შეხვედრა გაიმართება. შაბათს „მიდლსბრო“ „ქოვენთრის“ მასპინძლობს, მეორე დღეს კი... ო, კვირის მატჩზე საუბარი ნამდვილად ღირს. „ელანდ როუდზე“ „ლიდსი“ „მანჩესტერს“ დახვდება და დიდ ბრძოლას უნდა ველოდეთ.

როგორი განწყობით ხვდებიან გუნდები ამ დღეს? „ლიდსი“, რომელმაც „მანჩესტერის“ ბრაზილიაში ყოფნით ისარგებლა და გარკვეული პერიოდი ლიდერობდა, კვლავ მეორე ადგილზეა. წინა ტურში ჰარი კიუელის ერთადერთი გოლით „ლიდსმა“ „ტოტენჰემს“ მოუგო. კიუელის გოლი კი ორმაგად დაფასდა — იმავე დღეს „მანჩესტერი“ ნიუკასლში სამარცხვინოდ დამარცხდა. გუნდებს შორის ექვსქულიანი სხვაობა სამამდე შემცირდა და კვირას გასამართმა მატჩმა დამატებითი ინტრიგა შეიძინა.

უნებურად პრემიერლიგის წინა სეზონი გახსენდება კაცს. მაშინაც დაახლოებით ამგვარი სიტუაცია იყო — ჩემპიონატს იგივე „მანჩესტერი“ და „არსენალი“ ლიდერობდნენ და მათმა შეხვედრამ ტიტულის ბედი გადაწყვიტა. თუმცა მანჩესტერლები ცდილობენ, ეს ორი მატჩი ერთმანეთს არ შეადარონ. რაიან გიგზი ამბობს: „მაშინ სულ სხვა სიტუაცია იყო. უპირველესად იმას ვგულისხმობ, რომ ის თამაში მაისში, სეზონის მიწურულს შედგა, ახლა კი შედეგს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, დამარცხებულს მდგომარეობის გამოსასწორებლად ბევრი დრო რჩება. ცხადია, ეს არ ნიშნავს, თითქოს „ლიდსთან“ შეხვედრას არასერიოზულად ვეკიდებით. მინდორზე მხოლოდ მოსაგებად გავალთ, რათა უპირატესობა განვიმტკიცოთ. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ გაზაფხულის დადგომასთან ერთად უფრო და უფრო გაგვიჭირდება, რადგან ჩემპიონთა ლიგა ბევრ ენერგიას წაგვართმევს“.

გიგზის თანაგუნდელებიც ვახსენოთ. დუაიტ იორკი საგანგებოდ ამ მატჩისთვის მაიამიდან ჩამოფრინდა, სადაც ტრინიდადელებთან ერთად კონკაკაფის „ოქროს თასისთვის“ იბრძოდა. იორკის დაბრუნებამ ტრინიდადელთა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, პატრიოტი არ არისო, ამბობენ. სამაგიეროდ, ალექს ფერგიუსონი კმაყოფილი უნდა იყოს. გეხსომებათ, იორკის არყოფნაში „ნიუკასლის“ წინააღმდეგ მისი ადგილი ტედი შერინგემმა დაიკავა.

ლიდსელებიც არანაკლები მონდომებით ემზადებიან მომავალი მატჩისთვის. „ლიდსის“ და ინგლისის ნაკრების მეკარე ნაიჯელ მარტინს უთქვამს: „ყველა ღონეს ვიხმართ, რომ მოვიგოთ. ეს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსს ერთიორად გაგვიზრდის, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ჩვენი მეტოქე ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. ამიტომ უეჭველ გამარჯვებაზე საუბარი უაზრობაა“.

„ლიდსს“ სერიოზული პრობლემებიც აქვს. თუ დუაიტ იორკი შინ მშვიდობიანად დაბრუნდა, ლუკას რადებეზე იგივეს ვერ ვიტყვით. აფრიკის თასზე მესამე ადგილისთვის მატჩში ლიდსელთა კაპიტანი დაშავდა. მან წვივის ტრავმა მიიღო. სამხრეთაფრიკელის დაშავება მით უფრო სამწუხაროა, რომ მისი შემცვლელი მიშელ დაბერი გაფრთხილებულია და ვერ ითამაშებს. ასევე საეჭვოა დევიდ ბეტის და მაიკლ ბრიჯისის გამოჩენა.

თუმცა რამდენიმე ფეხბურთელის არყოფნა იქნებ არაფერს ნიშნავდეს, ბურთი ხომ მრგვალია. ასე რომ, კვირას, „ელანდ როუდზე“...

**გიორგი დარჯანია**

---

### ფეხბურთის რუკასთან



**ესპანური** „მალიორკას“ მცველი დავიდ კასტედო სიკვდილს სასწაულებრივ გადაურჩა. მის მანქანას ამწე დაეცა, თავად ფეხბურთელმა კი მხოლოდ კისერი და მუხლი დაიზიანა. „მანქანაში ვჯდებოდი, ამ დროს თავში მძიმე საგანი მომხვდა. გამოგიტყდებით, ნამდვილად გამიმართლა, მანქანა კი კონსერვის ქილასავით დაიჭეჭყა. მისი ნახვაც აღარ მსურს“ — განაცხადა კასტედომ. ექიმების ცნობით, ფეხბურთელი ვარჯიშს ორ კვირაში, მაქსიმუმ ერთ თვეში განაახლებს.

**მოლდოვური** კიშინიოვის „კონსტრუქტორულის“ პრეზიდენტი ვალერიუ როტარი და მისი პირადი მცველი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. როტარი კიშინიოვის ერთ-ერთი კაზინოდან შინ ბრუნდებოდა, როდესაც გზაში შეიარაღებული ბოროტმოქმედები დახვდნენ და მანქანაშივე ჩაცხრილეს. პრეზიდენტი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მისი მცველის ჰოსპიტალში მიყვანა ვერც მოასწრეს. დაშავდა მეორე პირადი მცველიც, რომელიც ამჟამად საავადმყოფოშია. 47 წლის როტარიმ ქურდობისთვის 10 წელი გაატარა ციხეში. ამის შემდეგ, 1993 წელს, „კონსტრუქტორულის“ პრეზიდენტად დაინიშნა და გუნდმა 1997 წელს ქვეყნის ჩემპიონობაც მოიპოვა.

**იტალიური** „მილანი“ და „ინტერი“ „სალერნიტანას“ ნახევარმცველთა დუეტით — იგლი ვანუჩითა და მარკო როსით დაინტერესდნენ. შეგახსენებთ, რომ „სალერნიტანა“ სერია B-ში შარშან დაქვეითდა. 21 წლის როსი და 22 წლის ვანუჩი კი გუნდის ყველაზე პერსპექტიული ნახევარმცველები არიან. მილანური კლუბები მათ გადაბირებას სეზონის ბოლოს აპირებენ.

**ბელგიური** „ბრიუგეს“ თავკაცი რენე ვერჰეინი თანამდებობიდან გადადგა, თუმცა გუნდიდან არ წასულა და მწვრთნელის ასისტენტის პოსტი დაიკავა. ვერჰეინი კლუბში რვა თვის წინ მივიდა. შარშან მან ერიკ გერეტსი შეცვალა, თუმცა ახლა რატომღაც თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა. ბელგიური მასმედია მთავარ კანდიდატად „გენტის“ ნორვეგიელ მწვრთნელ ტრონდ სოლიედს ასახელებს.

**ბულგარული** ლოვეჩის „ლიტექსის“ მცველი ზლატომირ ზაგორჩიჩი შვეიცარიულ „ლუგანოში“ გადაბარგდა. „ზაგორჩიჩმა ახალ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა. სულ მალე იგი სამედიცინო შემოწმებას გაივლის“ — განაცხადა „ლიტექსის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ანგელ ბონჩევმა, თუმც ტრანსფერის ღირებულება არ დაუსახელებია. 28 წლის წარმოშობით იუგოსლაველმა ზაგორჩიჩმა ბულგარეთის მოქალაქეობა 1998 წელს მიიღო, ამის შემდეგ კი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში 14 შეხვედრა ჩაატარა.

**იტალიურ** „იუვენტუსს“ „ბარის“ შვედი ლეგიონერის, დანიელ ანდერსონის გადაბირება სურს. ტურინული კლუბი ნახევარმცველის შეძენას წინა ზაფხულშიც გეგმავდა, მაგრამ მაშინ „ბარიმ“ უარი განაცხადა. პრესის ცნობით, „ბარი“ ახლა მინიმუმ 7 მილიონ გირვანქას მოითხოვს.

---

**სარბიელის** საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**

☎ 99 67 67, 98 30 20





ვინ ვის: მილანელი ანდრეი შევჩენკო (მარცხნივ) თუ რომაელი მარსელო სალასი?

# მილანი ძლიერ გვადარდებს ამბობენ იტალიაში

## იტალია

**ხვალ** დიდი ფეხბურთის დღეა. თბილისის დროით 12-ის ნახევარზე მილანში, ჯუზეპე მეაცას სახელობის მშვენიერ „სან სიროზე“, „მილანი“ რომის „ლაციოს“ დაუხვდება.

„მილანი“ — „ლაციო“ ჩვეულებრივი საფეხბურთო მატჩი როდია. და თუ შეხვედრა სანახაობრივი არ გამოდგა, არც უნდა გაგვიკვირდეს. ამგვარ მატჩს თავისებური დაძაბულობა და სიმძიმე ახლავს თან. გაინტერესებთ რას ფიქრობენ ამ შეხვედრის შესახებ თავად იტალიაში? კი, ბატონო, ტურინის „იუვენტუსი“ არ გვავიწყდება, მაგრამ კვირას „სან სიროზე“ სკუდეტოს ბედი გადაწყდებაო.

„მილანი“ შარშანდელივით ნელ-ნელა წამოეპარა წინ გაჭრილ ლიდერებს. შარშან ფლორენციის „ფიორენტინა“ გაბრიელ ბატისტუტას, ხოლო რომის „ლაციო“ კრისტიან ვიერის ძალისხმევით იყვნენ უპირობო ფავორიტები, მაგრამ „მილანმაც“ სწორედ მაშინ გამოაჩინა ბრჭყალები. ახლა სერია A-ში ლიდერობა და ფავორიტობა „იუვენტუსმა“ და იმავე „ლაციომ“ იგდეს ხელთ. და სად იყო „მილანი“? შარშანდელი ჩემპიონი კია, მაგრამ „იუვესა“ და „ლაციოს“ კი არა, ვერც კაპელოს „რომას“ და ლიპის „ინტერს“ გაუტოლდებაო, ამბობდნენ. გაუტოლდა და თანაც როგორ. „მილანი“ დღესდღეობით მესამეა, ლიდერ „იუვენტუსს“ 3 ქულით ჩამორჩება, მათ შორის კი სწორედ „ლაციოა“. ერთი სიტყვით, ვნებათაღელვა და დაძაბულობა ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე შეიმჩნევა.

რა ხდება პრინციპულ მატჩამდე მეტოქეთა ბანაკში? რომ ვთქვათ, ორივე გუნდი მშვიდად ხვდება მატჩსო, არ ვიქნებით მართალი. უბრალოდ, მილანშიც და რომშიც ცდილობენ, გარეგნულად არ შეიმჩნიონ, თორემ როგორ ელიან შეხვედრას, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა.

მატჩამდე ალბერტო ძაკერონიმ გუნდი საწვრთნელ ბაზაზე მოყვარულთა გუნდ „სოლბიატეზეს“ გააჯიბრა. „მილანმა“ ადვილად მოიგო 3:0 ბობანის დუბლით და ხოსე მარის გოლით. ძაკერონიმ ორი შემადგენლობა ათამაშა, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღიათ აბიატის, კოსტაკურტას, გატუზოს და ბირჰოფს. ისინი ცალკე, ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდნენ.

გუშინდელ „სარბიელში“ „მილანის“ საწვრთნელ ბანაკში მოსალოდნელ ცვლილებაზე გაუწყებდით, შესაძლოა მწვრთნელად კლაუდიო რანიერი მოიწვიონო. ასეთი საუბრები საფუძველსმოკლებული ნამდვილად არ ყოფილა. უფრო კი იმიტომ, რომ კლუბის პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონის, როგორც ჩანს, დღემდე ვერ უპატიებია ძაკერონისთვის ჩემპიონთა ლიგიდან „მილანის“ გავარდნა, როდესაც ლიგის ერთ-ერთი ფავორიტი ბოლო მატჩში თურქულ „გალათასარაისთან“ 2:3 წაგებით, უეფაზე გადანაცვლებას ვინ ჩივის, ლიგაში ჩარჩა. ჰოდა, ძაკერონიც მას მერე სულ იმის ფიქრშია, აი, ახლა მომხსნიანო.

ახალი წლიდან კი „მილანი“ ჩინებულად ათამაშდა. აქამდე ჩატარებული 7 შეხვედრიდან 5 მოიგო, აქედან 3 ზედიზედ და საჩემპიონო ბრძოლაშიც ჩაება.

— ძაკერონიმ „მილანს“ ახალი სული შთაბერა. გუნდში იშვიათად ხვდებიან ჰელვეგი, გულიელმინპიეტრო, ალბერტინი, ლეონარდო, სამაგიეროდ, ნახევარდაცვაში უკვე თამამად გამოჩნდნენ ბრაზილიელი სერჟინიო, ყმაწვილი გატუზო და გამოუცდელი დე აშენტისი — გვამცნობს მილანელოდან საიმონ ევანსი, სააგენტო „როიტერის“ ჟურნალისტი და დასძენს — რაღა თქმა უნდა, „მილანის“ ძლიერი თამაში თავდასხმის შეხმატკბილებულ მოქმედებასაც ეფუძნება. ანდრეი შევჩენკოსა და ოლივერ ბირჰოფს ჯამში 27 ბურთი აქვთ გატანილი, შესაბამისად 16 და 11, მთლიანად „მილანს“ კი სერია A-ში ყველაზე მეტი, 46 ბურთი. მილანელოში დაბრუნდა აფრიკიდან მობრუნებული ნიგერიელი ტარიბო ვესტი, რომელმაც თავისი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში აფრიკულ ვერცხლს მოუსინჯა კბილი.

ზურგს უკან შავ-წითელთა სუნთქვას „იუვენტუსის“ მწვრთნელი, წარსულში სწორედ „მილანის“ ბრწყინვალე ნახევარმცველი კარლო ანჩელოტიც გრძნობს: „მილანი“ ძლიერ მადარდებს, ჩვენსა და „ლაციოს“ შორის საჩემპიონო ბრძოლაში აუცილებლად ჩაებმება.“

თუმცა მოდით, ისევ სახვალიო მატჩს დავუბრუნდეთ, „მილანში“ რაც ხდება, მოგახსენეთ, რას ფიქრობენ „ლაციალეს“ ბანაკში? რომაელთა შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი შეფიქრიანებულია. ხუმრობა ხომ არაა, პრინციპული და ზემნიშვნელოვანი მატჩის წინ ძირითადის 4 ფეხბურთელი გამოგაკლდეს. დიახ, „სან სიროს“ მწვანე გაზონზე ვერ ვიხილავთ იუგოსლაველ მცველ სინიშა მიხაილოვიჩსა და არგენტინელ ნახევარმცველ დიეგო პაბლო სიმეონეს, ისინი გადამეტებული წითელ-ყვითელი ბარათების გამო დაისვენებენ. ტრიბუნებიდან მოუწევთ ყურება მცველ ჯუზეპე ფავალის, რომელიც ასევე დისკვალიფიცირებულია და არგენტინელ ნახევარმცველ მატიას ალმეიდას, იგი სათანადო ფორმაში ვერაა. საეჭვოა იუგოსლაველი დეიან სტანკოვიჩის თამაშიც, მას ერიკსონი ან ათამაშებს, ან არა. ის კი ფაქტია, „ლაციოს“ ნახევარდაცვის ხაზში გამოცდილი ვეტერანი არგენტინელი რობერტო ნესტორ სენსინი ალბათ გამოჩნდება.

საინტერესოა, რომ „მილანის“ რიგებში დღეს ორი ისეთი ფეხბურთელი ირიცხება, რომლებიც ადრე „ლაციოში“ თამაშობდნენ. მილანელთა მესამე მეკარე ვალერიო ფიორის „ლაციოში“ 1988-93 წლებში უასპარეზია, ხოლო არგენტინელი მცველი ხოსე ანტონიო შამოტი, რომაელთათვის 1994-98 წლებში ირჯებოდა. როგორც ჩანს, შამოტს „ლაციო“ ცუდად აგონდება, თორემ რატომ უნდა მოიხსენიო ყოფილი თანაგუნდელები ღვარძლიანად. ზედ მატჩის წინ იგი ასეთ განცხადებას აკეთებს მილანელოში: „მე „ლაციოში“ ვთამაშობდი, ახლა კი „მილანში“ ვარ, სადაც დიდი ფეხბურთელები არიან. „მილანი“ ჩინებული გუნდია, რომელთანაც „ლაციო“ ვერ მივა. კი, ბატონო, რომაული კლუბი ძლიერ და კარგ ფეხბურთს აჩვენებს, მაგრამ... მწამს, კვირას „სან სიროდან“ „ლაციო“ თავჩაქინდრული წავა“ — ამბობს შამოტი.

როდესაც „მილანი“ — „ლაციოს“ მატჩზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება, არ გავიხსენოთ წლევანდელი ჩემპიონატის პირველი წრის რომაული შეხვედრა. „სტადიო ოლიმპიკოზე“ ხომ მატჩი არასაფეხბურთო ანგარიშით — 4:4 დასრულდა. სწორედ მაშინ გაიბრწყინა პირველად „მილანის“ უკრაინელმა ფორვარდმა ანდრეი შევჩენკომ, რომში „ლაციოს“ ჰეთ თრიქი გაუხერხა. იტალიელი სტატისტიკოსები დავთრებს ჩასხდომიან, საიდანაც ასეთი დასკვნა გამოიტანეს — სერია A-ში ბოლო 20 (!) წლის მანძილზე პირველი შემთხვევაა, უცხოელ ფეხბურთელს პირველსავე სეზონში 16 ბურთი გაეტანოს, ვინაიდან შევჩენკო, როგორც ჩანს, ამაზე გაჩერებას არ აპირებს... ვნახოთ, იქნებ უკრაინელმა ბომბარდირობასაც კი გამოჰკრას ხელი.

...ერთი სიტყვით, ხვალ „სან სიროზე“ დიდი მატჩია. „მილანი“ რომის „ლაციოს“ მასპინძლობს. არაა გამორიცხული, შედეგმა ლიდერთა სამეულში ცვლილება გამოიწვიოს. ფრის შემთხვევაში „იუვენტუსს“ დიდი შანსი აქვს, უფრო დასცილდეს მდევრებს. ამისთვის ტურინელებმა ვენეციაში უნდა მოიგონ. თუ „ლაციომ“ მოიგო, პრეტენდენტისა და მოცილეს დამარცხებით სკუდეტოს უფრო მიუახლოვდება. აი, თუ „მილანმა“ მოიგო... კარლო ანჩელოტის სიტყვებს თამამად შეუძლია სვენ გორან ერიკსონიც შეუერთდეს და ახლა უკვე ერთად თქვან: „მილანი“ ძლიერ გვადარდებს.“

დაბოლოს, ხვალინდელ მეტოქეთა სავარაუდო შემადგენლობები:

*მილანი: აბიატი, შამოტი, მალდინი, კოსტაკურტა (ან ვესტი), სერჟინიო, ამბროზინი, გატუზო, დე აშენტისი (ან გული), ბობანი, ბირჰოფი, შევჩენკო*

*ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნეგრო, ნესტა, ფერნანდო კოუტუ, სენსინი, სერჟიო კონსეისაო, ნედვედი, ვერონი, ბოკშიჩი (ან მანჩინი), სალასი*

**გიორგი ვაშაკიძე**

# რატომ არ ჰყავს მანჩესტერს ბრაზილიელი ფეხბურთელი

## პელე ევროპელებს რევოლუციურ იდეას სთავაზობს

მსოფლიო ფეხბურთის ოთხი ფრიად პატივცემული პიროვნება — პელე, ფრანც ბეკენბაუერი, სერ ბობი ჩარლტონი და მიშელ პლატინი რომ შეიკრიბება და თათბირს დაიწყებს, მიზეზი მართლაც სერიოზული უნდა იყოს. და თუ ისინი მოლაპარაკების მაგიდას დილით მიუსხდებიან და საღამოს ჩიხში მოექცევიან, მიზეზი ორმაგად სერიოზულია. რა არის ასეთიო, იკითხავთ. რა და გადატვირთული კალენდარი, რომელიც ფეხბურთელებს აიძულებს, ყოველ მეორე-მესამე დღეს ქანცის გაწყვეტამდე ირბინონ, ჩვენ კი რთული არჩევანის წინაშე გვაყენებს — დღეში ათი საინტერესო მატჩი მაინც იმართება, შინ კი მხოლოდ ერთი ტელევიზორი გვაქვს.

ფიფასა და მის პრეზიდენტ ზეპ ბლატერს, რომელმაც ადრე მსოფლიოს ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ გამართვის იდეა შემოგვთავაზა, ახალი ვარიანტი მოსვლიათ თავში, შეჯიბრები თებერვალში დავიწყოთ და ნოემბერში გავასრულოთ, ეს მსოფლიოს მასშტაბით კალენდრების შეჯერების საშუალებას მოგვცემსო. საერთაშორისო კალენდრის მოწესრიგების წინაალმდეგი ვინ იქნება, მაგრამ... უეფა გაჯიუტდა, ჩვენ ეროვნულ ჩემპიონატებს და ევროტურნირებს აგვისტოში ვიწყებთ და მაისამდე ვაგრძელებთ, ამ წესის შეცვლას კი არ ვაპირებთო.

ბლატერი იხტიბარს მაინც არ იტეხს და ამბობს, ჩვენსა და უეფას შორის უთანხმოება არ არის, წინაალმდეგი ის გუნდები არიან, თავს G-14-ს რომ უწოდებენო. „შეთავაზებაზე უეფასგან არანაირი პასუხი არ მიგვიღია — განაგრძობს ბლატერი — სამაგიეროდ, ვესაუბრე „იუვენტუსის" დირექტორ რობერტო ბეტეგას. ის ჩვენს მოსაზრებას ეთანხმება, თუმცა წუხს, ძნელი განსახორციელებელი იქნებაო". ფიფა-უეფას შინაურ სამზარეულოში გარკვევა არც ისე ადვილია. მხოლოდ ის დავამატოთ, რომ თებერვალ-ნოემბრის სისტემაზე გადასვლასთან ერთად ბლატერი გვთავაზობს, წელიწადში 46 დღე გამოვყოთ, როდესაც ეროვნული ჩემპიონატების და თასის გათამაშების მატჩები ჩატარდება და 16 დღეც საერთაშორისო საკლუბო ტურნირებს დავუთმოთო.



ეს-ესაა პელეს ახალი იდეა დაებადა

კვლავ მივუბრუნდეთ იმ შეხვედრას, რომელსაც ფიფას წარმომადგენლებთან ერთად ზემოაღნიშნული „დიდი ოთხეულიც" ესწრებოდა. მომქანცველი სამუშაო დღის შემდეგ ფრანც ბეკენბაუერი და მიშელ პლატინი დასასვენებლად წავიდნენ. უფრო ასაკოვანთ კი დაღლილობა არ ეტყობოდათ და თავიანთ მოსაზრებებს ხალისით გვამცნობენ.

სერ ბობი ჩარლტონი: „მანჩესტერ იუნაიტედის" დირექტორი გახლავართ, ამიტომაც გადატვირთული კალენდრის პრობლემა ჩემთვის კარგად ნაცნობია. უპირველესი თავსატეხი, ვფიქრობ, საკლუბო და სანაკრებო მატჩების თანხვედრაა. „მანჩესტერის" მსგავს კლუბებში ლამის ყველა ფეხბურთელი სხვადასხვა ქვეყნების ნაკრებებში თამაშობს. ეს კი ნიშნავს, რომ ზოგჯერ მეორე შემადგენლობით გვიწევს თამაში. როგორ ფიქრობთ, რატომ არ ყიდულობს „მანჩესტერი" ბრაზილიელებს? მიზეზი მარტივია. სანაკრებო შეხვედრების გამო მათ კლუბებში ნახევარი სეზონი უცდებათ. გამოსავალი ასეთია, სხვა კონფედერაციებმა თავიანთი კონტინენტის პირველობები ევროპის ჩემპიონატის კალენდარს უნდა დაამთხვიონ".

პელე: „კალენდარი დასახვეწია, თუმცა ეს ადვილი არ არის. ასეთი იდეა მაქვს, ევროპელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის გამართვისგან თავი შეიკავონ, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასული გუნდები პირდაპირ მსოფლიოზე გაუშვან და კალენდარიც განიტვირთება".

ვერაფერს იტყვი, რევოლუციური იდეაა, თუმცა ვეჭვობ, ვინმემ ყურად იღოს. ბობოლათა შეხვედრა კი ასე უშედეგოდ დასრულდა. კალენდარს რომ რაღაც უნდა მოუხერხონ, საკამათო არ არის. იდეებიც ბლომად გამოითქვა (განსაკუთრებით პელესი). თუმცა სანამ რამეზე შეთანხმდებიან, ყოველდღიურად ათიოდე თამაშის ყურება მოგვიწევს... ერთ ტელევიზორში.

**გიორგი დარჯანია**

# დაივიწყეთ მოსაწყენი ბელგია

დღეს, როდესაც ევრო 2000-ის დაწყებამდე ოთხ თვეზე ნაკლები დარჩა, შეჯიბრების ერთ-ერთი მასპინძელი, ბელგია, როგორც მოედანზე ასევე მის გარეთ საფეხბურთო რენესანსის ეპოქაშია. ეროვნული გუნდის გამოცოცხლება მოხდენილად დაემთხვა პლანეტის სიდიდით მესამე ტურნირის — ოლიმპიადისა და მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის შემდეგ — სამზადისს და სახეობის პოპულარობა 10-მილიონიან მოსახლეობაში ერთიორად გაზარდა.

შეკეთებულმა სტადიონებმა, ხულიგნობის შესუსტებამ, საკუთრივ მატჩების სანახაობრივი მხარის ზრდამ და, რაგინდ უცნაურად გეჩვენოთ, კლიმატური პირობების შერბილებამ ბოლო ხანს გულაცრუებულ გულშემატკივარს ისევ გაუღვივა ფეხბურთისადმი ინტერესი. დღეს ნორვეგიის შემდეგ ყველაზე მეტი გოლი სწორედ ბელგიის ჩემპიონატში გადის — საშუალოდ ერთ მატჩში 3,55. კიდევ, მიმდინარე სეზონში საგრძნობლად გაიზარდა დასწრებაც, ხსენებული პირველობის შეხვედრები უკვე 1,66 მილიონ მაყურებელზე მეტმა იხილა, რაც გასულ სეზონთან შედარებით 300 ათასით მეტია.

შესაბამისად, გაიზარდა აბონემენტების გაყიდვაც. ჩემპიონმა, „გენკმა" 17500 აბონემენტი გაყიდა, მაშინ, როდესაც მისი სტადიონის ტევადობა მხოლოდ 21500 გახლავთ. „ანდერლეხტის" მიერ გაყიდული აბონემენტების რაოდენობა 16620-ია, ხოლო „ბრიუგესი" 12 ათასთან არის ახლოს.

პირველ დივიზიონში საშუალო დასწრება 9600 გახლავთ, ასეთი შედეგი კი ბელგიაში აგერ უკვე 20 წელიწადია, არ ყოფილა. ევრო 2000-ის მოახლოებამ, როგორც მოგახსენეთ, სტადიონების საყოველთაო რეკონსტრუქცია მოითხოვა, რამაც ასევე ითამაშა დადებითი როლი. დღეს ბელგიის ჩემპიონატის შეხვედრებს მაყურებელი გაცილებით კომფორტულად, უკეთ და უსაფრთხოდ უცქერის. ექსპერტთა აზრით, დღევანდელი ბელგიური სტადიონები ძალიან დაემსგავსნენ კინოთეატრებს. კლუბებმა კი ბიზნესმენთა დიდი მხარდაჭერით საგანგებო ლოჟები შექმნეს. ზოგიერთმა მათგანმა ქალთა და ოჯახთათვის უფასო ბილეთებიც შემოიღო.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გამოყოჩაღდა ბელგიის ნაკრებიც. მისმა ახალმა მწვრთნელმა, რობერტ ვასეიგემ ფეხბურთელებს გაცილებით ხიბლიანი, ნაკლებად კარჩაკეტილი, შემტევი თამაშისკენ მოუწოდა. თანდათანობით „მოსაწყენი ბელგიის ნაკრები" ისტორიას ბარდება.

ვასიეგეს ევრო 2000-ის მოსამზადებელ პროგრამაში 23 თებერვალს პორტუგალიასთან, ხოლო 29 მარტს ჰოლანდიასთან შეხვედრები აქვს შეტანილი მათზე დასასწრები ბილეთები უკვე გაყიდულია — ასეთ შედეგს ბელგიაში ერთი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა.

ერთი წლის წინ ბელგიის ნაკრების ფეხბურთელებს ურთიერთკონფლიქტები და პრესასთან ჩხუბი ასუსტებდა. გუნდს 11 მატჩიდან მხოლოდ ორი ჰქონდა მოგებული — ლუქსემბურგიც კი ვერ დაემარცხებინა, მაგრამ მას მერე, რაც ვასეიგემ ჟორჟ ლიკენსი შეცვალა, ნაკრები გარდაისახა, სძლია მაროკოს, ფრედ ითამაშა ჰოლანდიასთან და მხოლოდ ინგლისთან, ისიც ერთობ ვაჟკაცურად წააგო. ამ ოთხ შეხვედრაში, ბელგიელებმა 13 გოლი გაიტანეს, ეს რაოდენობა კი ადრე მთელი წელიწადის განმავლობაში თუ გროვდებოდა.



ბელგიელთა მთავარი მწვრთნელი რობერტ ვასეიგე

ეროვნულ პირველობაზე ქვეყნის 24-გზის ჩემპიონი, „ანდერლეხტი" ახალი თავკაცის, ემე ანტუენისის ხელმძღვანელობით ცხრილში შვიდქულიანი უპირატესობით ლიდერობს. მეორეზეა „ანდერლეხტის" ოდინდელი მეტოქე ლიეჟის „სტანდარდი".

სეზონის დამთავრებამდე ჯერ კიდევ გზის მესამედია და ევროთასებზე გამსვლელი ადგილების მოპოვება შვიდ კლუბს შეუძლია. ყველა ეს გუნდი წლეულს რაღაცნაირად შეცვლილი და გამოცოცხლებულია.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ლე სოირი" ხუთშაბათის ნომერში პირველ გვერდზე წერდა: „ეჭვი არაა, ბელგიური ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა. ყოველ მომდევნო კვირას ვხედავთ, რომ ჩვენი განვითარების გეზს სულ კაშკაშა და კაშკაშა მწვანე შუქი ხვდება".

განვითარება კი, ბუნებრივია, მსხვერპლს მოითხოვს. ბელგიელ ქომაგთა ბევრი ფავორიტი უკვე უცხოეთის დიდ კლუბთა სამიზნეზე გახლავთ. მაგალითად, ინგლისურ პრემიერლიგაში ჟილ დე ბილდეს ბრანკო შტრუპარი და სედრიკ რუსელი შეუერთდნენ. პირველი „დერბი ქაუნთიში" გადავიდა, ხოლო მეორე „ქოვენთრი სიტიში". ძმები მპენზები, ემილი და მბო გერმანიასა და პორტუგალიაში გადაბარგდნენ.

ბელგია, კერძოდ „გენკი" დატოვა განელმა თავდამსხმელმა სულეიმან ულარემაც. 1998-99 წლების საუკეთესო ფეხბურთელი სეზონის დასაწყისში სტამბოლის „ფენერბაჰჩეში" გადაბარგდა.

ფეხბურთის განვითარებამ ქვეყანა ევროპულ ელიტას დააახლოვა და მყის გაისმა საუბრები მრავალმილიონიან პროექტებზე. ამბობენ, რომ „ანდერლეხტი", „ბრიუგე" და შესაძლოა „სტანდარდიც" ჰოლანდიურ, პორტუგალიურ, შოტლანდიურ და სკანდინავიურ კლუბებთან ერთად რაღაც ახალ შეჯიბრებაში ჩაერთვებიან. სხვა ხმათა თანახმად ბელგიელები ეგრეთწოდებულ ბენილიგაში შევლენ, ბენილიგა კი ევრო 2000-ის მასპინძელთა, ბელგიისა და ნიდერლანდის სამეფოს ანუ ჰოლანდიის გაერთიანებულ ჩემპიონატს დაერქმევა.

**იან გეოგეგანი, როიტერი**

## იტალია

### თასის ნახევარფინალი

II მატჩი

**ინტერი 1:2 კალიარი (3:1)**

1:0 სამორანო (10), 1:1 სულჩისი (21), 1:2 კორადი (27)

ინტერი: ფერონი, ზანეტი, ფრეზი, სიმიჩი, მორიერო (გეორგატოსი 63), ხ. ძანეტი (კოლონეზე 66), კოე, სერენა, რ. ბაჯო (მუტუ 46), სამორანო

კალიარი: სკარპი, ლოპესი, ვილა, ბიანკონი, დილიზო (მოდესტო 71), აბეიონი (ბერეტა 52), ონილი, მელისი, სულჩისი, სუაზო (მაიელე 60), კორადი

გაფრთხილება: სიმიჩი, ონილი, პანუჩი

მსაჯი: სერენა

ფინალში ერთმანეთს რომის „ლაციო" და მილანის „ინტერი" შეხვდებიან

„სან სიროზე" „კალიარისგან" ძლეული მილანის „ინტერი" იტალიის თასის ფინალში მაინც მოხვდა. „კალიარიმ" „ინტერს" 2:1 მოუგო, თუმცა ორი მატჩის ჯამში 3:4 დამარცხდა და გათამაშებას გამოეთიშა. მარჩელო ლიპიმ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა, მათ შორის კრისტიან ვიერი, რომლის ადგილიც ჩილელმა ფორვარდმა ივან სამორანომ დაიკავა.

მე-10 წუთზე თავი სწორედ სამორანომ გამოიჩინა — რობერტო ბაჯოსგან ზუსტი პასი მიიღო და ანგარიში გახსნა. თუმცა „კალიარიმ" 11 წუთში გაათანაბრა. ჯოვანი სულჩისმა ემილიანო მელისის გარღვევის შემდეგ ჩაწოდებულ ბურთს თავი შეუშვირა და მილანელთა კარის ბადეში გაახვია.

27-ე წუთზე სტუმრები დაწინაურდნენ კიდეც. ბერნარდო კორადიმ დაახლოებით 10 მეტრიდან „ინტერის" კარი მეორედ დალაშქრა და თავის გუნდს მომდევნო ეტაპზე მოხვედრის იმედიც ჩაუსახა, მაგრამ „კალიარიმ" მეტი გოლის გატანა ველარ მოახერხა და ფინალს მიღმა დარჩა. თუმცა სტუმრებს შეხვედრის დამატებით დროში გადაყვანის მშვენიერი შანსი მიეცათ. შეცვლაზე შესულმა ჯეისონ მაიელემ ლამაზი გარღვევა განახორციელა, მაგრამ კარის მიმართულებით ზუსტად ველარ დაარტყა. ერთიორჯერ სახიფათოდ „ინტერმაც" შეუტია, თუმც ანგარიში ველარ შეცვალა. მილანური გუნდი ფინალში მოხვდა, სადაც რომის „ლაციოს" დაუპირისპირდება.

## ესპანეთი

### თასის მეოთხედფინალი

II მატჩი

**მერიდა 2:1 დ.დ. (1:0) რეალი (0:1)**

1:0 დე კინტანა (42), 1:1 ზარატე (104), 2:1 პრიეტო (119)

მერიდა: ნუნო, მარიანო (კორტესი 110), დე კინტანა, უნაი, პაბლო ალფარო, სესარი (ლეონარდო 102), პედრო გარსია, მარკოს მარტინი, ტალი, სინვალი, პრიეტო

რეალი: ილგნერი, მიჩელ სალგადო, ივან კამპო, ივან ელგერა, რობერტო კარლოსი, კარემბუ (ოგნიენოვიჩი 58), რედონდო, მანუელ სანჩისი, დორადო (მეკა 98), გუტი, მორიენტესი (ზარატე 41)

გაფრთხილება: ტალი, მარიანო, მარკოს მარტინი, სინვალი, კორტესი, რედონდო, რობერტო კარლოსი

მსაჯი: იტურალდე გონსალესი

ბოლო ექვს დღეში მადრიდის „რეალმა" ზედიზედ სამი შევხედრა ჩაატარა. უეჭველია, გუნდი გადაიღალა, რამაც მეორედივიზიონელ „მერიდასთან" სათასო შეხვედრაში იჩინა თავი და სამეფო კლუბი სტუმრად 0:1 დამარცხდა. პირველი მატჩი „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალის" გამარჯვებით დასრულდა 1:0, ამიტომ გუნდებს დამატებითი ტაიმების თამაშმა მოუწიათ.

შეხვედრა „მერიდამ" მოიგო 2:1. ორი მატჩის ჯამში კი ანგარიში გათანაბრდა 2:2, თუმცა მეტოქის მინდორზე გატანილი გოლის წყალობით ნახევარფინალში „რეალი" მოხვდა.

შეხვედრის ძირითად დროში კი ერთადერთი გოლი 42-ე წუთზე საიმონ დე კინტანამ შეაგდო.

დამატებითში შეცვლაზე შესულმა „რეალის" ახალბედა ფორვარდმა როლანდო ზარატემ გამოიჩინა თავი. მან მეტოქის დაცვის ხაზი გაარღვია თავისი გუნდი დააწინაურა, „მერიდას" კი საქმე ერთობ გაურთულა. მასპინძლებს მომდევნო ეტაპზე გასასვლელად მინიმუმ ორი გოლი სჭირდებოდათ. შეხვედრის ბოლოსწინა, 119-ე წუთზე ხუან მანუელ პრიეტომ მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლო. ამან არ იკმარა და მომდევნო ეტაპზე „რეალი" გავიდა.

# კაცი, რომელსაც ძალიან სცემა


ნვანკვო კანუ

*წესი წესია, ინტერვიუს შესავალი სჭირდება, თორემ ნვანკვო კანუს ფეხბურთის ქომაგთათვის რა წარდგენა სჭირდება. კანუ გახლავთ უნიკალური ნიგერიელი ფეხბურთელი. უნიკალური იმით, რასაც მოედანზე აკეთებს და იმითაც, რომ გულის უმძიმეს ავადმყოფობას სძლია და ნაოპერაციევი მოედანს დაუბრუნდა.*

**— ინგლისში ხალხი აღფრთოვანებულია იმ ტრიუკებით, ბურთს რომ ასრულებინებთ. ეს ვინმემ გასწავლათ თუ თანდაყოლილია?**

— ერთი და მეორეც. თუმცა, ტრიუკები ძირითადად ბავშვობიდან მოდის, როდესაც ქუჩაში რეზინის პატარა ბურთს დავდევდი. ბურთი იმდენად პატარა გახლდათ, რომ მის კონტროლს აზრის სრული მოკრება სჭირდებოდა. ამის მერე, დიდ ბურთზე რომ გადავედი, გამიადვილდა.

**— არადა ამბობენ, რომ ილეთების შესრულებაში დიდი ზომის ტერფები გეხმარებათ.**

— წარმოდგენა არ მაქვს, საიდან მოდის ჭორი ჩემი ვეება ტერფების შესახებ. ჯერ კიდევ ნიგერიაში ამბობდნენ, რომ წარმოუდგენლად დიდი ფეხი მაქვს და ბურთს ამის წყალობით ვიმორჩილებ.

**— ნიგერია ახსენეთ. რას ნიშნავს ფეხბურთელის ნიგერიაში აღზრდა?**

— გარდა პატარა ბურთისა, ჩვენი თავისებურება უბალახო მოედნები გახლდათ. კარიც არაფრით ჰგავდა იმას, რაშიც ინგლისელი ბავშვები არტყამენ. ჩვენ ვთამაშობდით ყველგან სადაც ფართობს ვპოულობდით და მასზე მოედანს თავად ვიზომავდით. ხანდახან სანაპიროზეც გვიხდებოდა სირბილი, მაგრამ ერთხელაც არ დაგვიჩივლია. ნიგერიაში ხალხს თამაში უყვარს, ეს არის და ეს.

**— და ბავშვობიდანვე იცოდით, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი გამოხვიდოდით?**

— სკოლა დავამთავრე თუ არა, ადგილობრივი პროფესიული კლუბის „ოუერი ნეშენალის“ ყმაწვილთა გუნდში მიმიწვიეს, საიდანაც ნახევარი წლის შემდეგ პირველ შემადგენლობაში ამოვყავი თავი. ამის მერე ნიგერიის 17 წლამდელთა ნაკრების წევრი გავხდი. ნაკრებმა იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიგო და სწორედ იქ შემნიშნა „აიაქსმა“. აქედან მოყოლებული კი ცხოვრება ძალიან სწრაფად წარიმართა. ვითამაშე „ინტერშიც“, ხოლო დღეს უკვე „არსენალში“ გახლავართ, ევროპის ერთ-ერთ უდიდეს გუნდში.

**— ინგლისელი გულშემატკივრის წინაშე თამაში გსიამოვნებთ?**

— ინგლისელი გულშემატკივარი წარმოუდგენლად ემოციურია. მაშინაც კი, როდესაც გუნდი აშკარად მარცხდება, ფანები იმედს არ კარგავენ და საფინალო სასტვენამდე განაგრძობენ თავიანთი გუნდის გამხნევებას. მახსოვს, „არსენალის“ ქომაგების თვალწინ პირველად რომ გავირბინე, ყველანი ჩემს გვარს გაიძახოდნენ. ჯერ ვიფიქრე, მლანძღავენ-მეთქი, რადგან ხმაური, მოგეხსენებათ, ხმაურია, მაგრამ უმალ მივხვდი, რომ ისინი მესალმებოდნენ და უცებ გავიღიმე.

**— „არსენალში“ ახალ თანაგუნდელებთან შეგუება ძნელი იყო თუ იოლი?**

— ყველასთან ნორმალური ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, თუმცა ახლოს მაინც ტიერი ანრისთან, პატრიკ ვიეირასთან და ჩემს „აიაქსის“ დროინდელ მეგობართან, მარკ ოვერმარსთან ვარ. იცით, ჩვეულებრივ, ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელები თავიანთ გზას ადგებიან, სადღაც ისვენებენ. მე და ჩემი მეგობრები კი ხშირად „ჰეროდსში“ საყიდლებზე მივეშურებით („ჰეროდსი“ პრესტიჟული სავაჭრო ცენტრია ლონდონში, ჩვენებური უნივერმაღის მაგვარი) თუ არა და იქვე ბარში ჩამოვსხდებით და მუსიკას ვუსმენთ.

**— ინგლისში ცხოვრებას, ალბათ, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებიც აქვს.**

— ლონდონი თავისი მრავალ[illegible] ტურიანობით მიზიდავს. აქ მხოლოდ ინგლისელები კი არ ცხოვრობენ, აქ არიან აფრიკელებიც, აზიელებიც, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. დიდებულია, სხვადასხვა ჯურის ხალხს რომ ელაპარაკები და სხვადასხვა სამზარეულოს კერძებს მიირთმევ. ჩემს სახლთან რამდენიმე საუცხოო აფრიკული და იტალიური რესტორანი აღმოვაჩინე. უარყოფითი მხარე კი, ალბათ, ამინდია. ადრე ლონდონში არასდროს გამომიზამთრებია. გავიყინე. ვიფუთნები, თუმცა თოვლში ბურთაობასაც უნდა დავეჩვიო.

**— შინ რას აკეთებთ, ტელევიზორს უცქერთ?**

— ვუყურებ „ისტენდერზს“ (დაუსრულებელი სერიალია, რომლის გადაღებაც 70-იან წლებში დაიწყეს) და ყველა ჯურის სპორტულ შეჯიბრებას. პარასკეობით ვცდილობ იან რაიტის შოუ არ გამომრჩეს. ძალიან „მაგარი“ კაცია, ბედნიერი ვარ ლი დიქსონის გამოსათხოვარ შეხვედრაში მის მხარდამხარ რომ ვითამაშე. დიდებული ბომბარდირია და რაც მთავარია, ღიმილით თამაშობს.

**— გრძნობთ, რომ თქვენს სამშობლოში, ნიგერიაში, ბავშვებისთვის მაგალითის მიმცემი ხართ?**

— დიახ, ნიგერიაში ყველა ბიჭუნას კანუობა უნდა. ისინი ტელევიზიით მიცქერენ და ამიტომ ვალდებული ვარ კარგი მაგალითი მივცე. ამიტომაც ვერ მნახავთ მოედანზე რაიმე შარში გახვეულს. პასუხისმგებლობის გრძნობა მაკავებს. როგორც კი დროს ვშოულობ, ნიგერიაში ჩავდივარ, სადაც ოჯახი და ჩემი ერი მეგულება. აეროპორტში უამრავი ბარგი მიმაქვს. ესაა სპორტული პიჟამოებით, ბურთებით და ბუცებით გავსებული ჩანთები. ამ ნივთებს ქუჩებში ბავშვებს ვურიგებ. ნიჭიერთა აღმოსაჩენად აკადემიაც დავაარსე.

თარგმნა
**ბაბუნა ბედიამ**

# ლივერპულის დაბრუნება



ლივერპულელებს ლეგენდარული ბილ შენკლი დღესაც ახსოვთ

ესპანეთში მადრიდის „რეალის“ მესამე ადგილზე აღზევებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. დღეს კიდევ ერთ მესამეადგილოსანზე ვისაუბროთ, პრემიერლიგის ბინადარზე.

იყო დრო, საქართველოში ინგლისურ ფეხბურთს „ლივერპულთან“ აიგივებდნენ. ამის ორი მიზეზი არსებობს: „დინამო“ — „ლივერპულის“ ლეგენდარული დაპირისპირება და ის, რომ „ლივერპულს“ უძლეველის სახელი ჰქონდა გავარდნილი. თუმცა ახლა ლივერპულელთა სახელოვანი წარსულის გახსენებას სულაც არ ვაპირებთ, ჩვენ მისი დღევანდელი ყოფა გვაინტერესებს.

კლუბის ახალი ისტორია 1985 წელს „ეიზელის“ სტადიონზე დატრიალებული სისხლიანი მოვლენებით დაიწყო. უეფამ „ლივერპულს“ უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა და ევროსარბიელიდან კარგა ხნით მოკვეთა. მაგრამ მოდით, ახალ ისტორიასაც გვერდი ავუაროთ და უახლესს მივადგეთ.

„ლივერპულის“ უახლესი ისტორია ფრანგი მწვრთნელის, ჟერარ ულიეს სახელს უკავშირდება. ულიე კლუბში მეორე სეზონია, მუშაობს. თავდაპირველად ის მარტო არ ყოფილა და ჭაპანს როი ევანსთან ერთად სწევდა. სექტემბერში ევანსი წავიდა და მას შემდეგ ფრანგმა მარტომ იტვირთა პასუხისმგებლობა. ეს უმძიმესი ტვირთია. მით უმეტეს, როდესაც ახალი სეზონის პირველივე საშინაო მატჩს გუნდი ქვედა დივიზიონიდან ახლად გადასულ უსახელო „უოტფორდთან“ აგებს. აგორდა კრიტიკის ტალღა. მწვრთნელი უსარგებლო ფეხბურთელების შეძენაში დაადანაშაულეს. ამბობდნენ, ინგლისში ბევრი კარგი მოთამაშეა, ამან კი ვინ იყიდა?

### ექვსი უცხოელი

არაერთხელ თქმულა, კუნძულელები სულ სხვა ფეხბურთს თამაშობენო. ამიტომ პრემიერლიგასთან შეგუება ძნელი საქმეა. მათ კი შეძლეს. ჰოლანდიელი მეკარე სანდერ ვესტერველდი, მცველები — შვეიცარიელი შტეფან ენჩოსი და ფინელი სემი ჰიიპია კარის სიახლოვეს არავის აკარებენ. ამას სტატისტიკაც მოწმობს. 24 ტურის შემდეგ „ლივერპულს“ 21 გოლი აქვს გაშვებული, ყველაზე ცოტა პრემიერლიგაში. ხოლო ნოემბრის საუკეთესო ფეხბურთელად ინგლისელებმა სწორედ ფინელი მცველი აღიარეს. ნახევარდაცვაში ჩინებულად ირჯება გერმანელი დიტმარ ჰამანი, რომელიც კლუბში „ნიუკასლიდან“ გადავიდა და ულიესთვის ყველაზე ძვირადღირებულ შენაძენად იქცა. ჰოლანდიელ ერიკ მეიერს და გვინეელ ტიტი კამარას კი გოლების შეგდება ევალებათ, რასაც ისინი (განსაკუთრებით კი კამარა) კარგად ართმევენ თავს. „ლივერპულში“ სხვა უცხოელებიც თამაშობენ, მაგრამ ულიეზე ადრე მისულან და მათზე არ შევჩერდებით.

როგორც ვთქვით, გუნდი შეიკრა და თანდათან შედეგიც აჩვენა. სეზონის სტარტზე მე-13 ადგილზე მყოფმა „ლივერპულმა“ აღმასვლა დაიწყო და ფავორიტებსაც არ შეეპუა: ულიეს ბიჭებმა დაამარცხეს

### ჯერ „ლიდსი“, შემდეგ „არსენალი“

ეს უკვე სერიოზული განაცხადია. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ სხვაობა ექვს ქულამდე შემცირდა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამ უკანასკნელს ერთი მატჩით ნაკლები აქვს გამართული.

„ლიდსს“ და „არსენალს“ მოვუგეთ და „მანჩესტერსაც“ ვძლევთ, დარწმუნებით ამბობენ ლივერპულელი ქომაგები. რა გასაკვირია, რომ მათ დიდი გამარჯვებები მოენატრათ. „ენფილდზე“ არის დარბაზი, სადაც კლუბის მიერ მოპოვებული ჯილდოები ინახება. თვრამეტჯერ ინგლისის ჩემპიონობა, ოთხჯერ ჩემპიონთა თასი — ასეთია სახელოვანი კლუბის მონაგარი (აქ სხვა, ნაკლებმნიშვნელოვანი ტიტულების ჩამოთვლა უადგილოც კია). ვიხსენებ და დიდი დრო გასულა მას შემდეგ, რაც „ლივერპულის“ „დიდების დარბაზი“ ახალი ექსპონატით არ შევსებულა. კლუბმა ქვეყნის ჩემპიონატი ბოლოს ათი წლის წინ მოიგო, ხოლო ჩემპიონთა თასს 1984 წლის შემდეგ (ფინალში „რომა“ დაამარცხა) არ დაუფლებია. ამიტომაც არის, რომ ქომაგები 4 მარტს მოუთმენლად ელიან, სწორედ ამ დღეს შეებრძოლება მათი სათაყვანებელი გუნდი „მანჩესტერს“.

ალექს ფერგიუსონთან დუელში გამარჯვების იმედი ჟერარ ულიესაც აქვს, თუმცა მიმდინარე სეზონში ფრანგის მიზანი უფრო მოკრძალებულია. ის ამბობს:

### ჩემპიონები ვერ გავხდებით

მართლაც, „ლივერპულმა“ „ლიდსს“ და „არსენალს“ სძლია, იქნებ „მანჩესტერიც“ დაამარცხოს. მაგრამ ჩემპიონობისთვის ბრძოლა სამი მატჩით არ მთავრდება. არის „ლივერპული“ დღეს ის გუნდი, რომელიც 38 ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილში პირველ გრაფას დაიკავებს? ისევ ჟერარ ულიე: „პრემიერლიგაში საუკეთესო დაცვის ხაზი გვაქვს. ეს ნიშნავს, რომ სწორ გზას ვადგავართ. მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია“.

დღეს მწვრთნელებს განსაკუთრებით უჭირთ. ფეხბურთში დიდი ფული დატრიალდა, ამიტომაც შედეგს დღესვე ითხოვენ. გავიხსენოთ „ლივერპულის“ ლეგენდარული მწვრთნელი ბილ შენკლი. ის კლუბში 50-იანი წლების ბოლოს მივიდა და მეორე დივიზიონელი „ლივერპულიდან“ დიდი გუნდის შექმნას რამდენიმე წელი მოანდომა. ჟერარ ულიესაც გუნდის აღორძინების იმედი და უდიდესი სურვილი აქვს.

**გიორგი დარჯანია**

გიო ახვლედიანის

სვეტი

## ღმერთის ხელი

ვარსკვლავთა ბიოგრაფიები საინტერესოა.

მინდვრის ბიოგრაფიებზე ვამბობ, თორემ კოკაინი, ქალები, ლუდი, ციხე, და ასეთი რამეები ძნელად განსასჯელი ხდება, როცა ვარსკვლავის თამაშს იხსენებ.

გასულ ორშაბათ, „მიდლსბროს" ძირითადში ორთვიანი შესვენების შემდეგ გამოჩენილმა პოლ გესქოინმა, ორთაბრძოლისას, მარცხენა ხელის იდაყვი სთხლიშა თავში „ასტონ ვილას" მოთამაშე ჯორჯ ბოატენგს და ჩაიჭეცა. სყაცე, ცრემლი, საბანი, არტახები — გაზას მორიგი დაბრუნება თამაშში ორმოცწუთიანი იყო.

ამ ამბავთან დაკავშირებით მომაგონდა დიეგო მარადონას მრავალწლიანი ტანჯვა ფეხბურთში დასარჩენად — მისი ცდები კვლავ დამკვიდრებულიყო თამაშში, რომლის გმირიც სულ ცოტა ხნის წინ ბრძანედობდა. პოლ გესქოინის ახლანდელი მცდელობანი ძალიან ჰგავს მარადონას მაშინდელ მცდელობებს. მიზეზები გაცდენილი წლებისა სხვადასხვაა, მაგრამ სიჯიუტე ერთნაირია. მარადონას მაგალითმა დაადასტურა, რომ გაფრენილი წლების დაბრუნება შეუძლებელია. ყველაფერს რომ თავი დაანებო, მყესები ცვდება.

ახლა იგივეს ადასტურებს გაზას ბედიც.

იმ ორმოცი წუთის განმავლობაში, რაც მოედანზე გაატარა, გესქოინს ბურთი არ დაუკარგავს, უზუსტოდ არ გადაუწოდებია და დაცვაშიაც ოფლს ღვრიდა, მაგრამ აშკარად ჩაკარგული იყო ოცდაორ მორბენალ კაცში. ფრთხილობდა და ალბათ მეტი არც შეეძლო.

თავისი უიღბლობა თავადვე შექმნა, მისი ცრემლები კი, ისევე როგორც მარადონას ცრემლები, ნაცნობი რამეა.

მარჯვენა ხელი, რომლითაც მარადონამ გოლი გაუტანა ინგლისის ნაკრებს, მის პატრონს იღბლისა და წარმატების ხელი ეგონა. ამიტომაც, მწარედ იხუმრა, ეს ღმერთის ხელი იყოო. დიეგოს ეგებ ახლა უფრო სჭირდებოდეს ღმერით ხელი, გაზა კი არასოდეს ახსენებს ღმერთს. ის უფრო, უცხოპლანეტელებზე ლაპარაკობს ხოლმე. გასულ ორშაბათს, ტისსაიდში გაზას მარცხენა ხელი ისევე როგორც ოდესღაც მარადონასი კვლავ გაეხვა რაღაც მისტიურ ამბავში, რომელსაც ეგებ დავარქვათ კიდეც ბედი-მდევარის ერთგვარი გამონათება.

საერთოდ, ფეხბურთელის ხელი მაშინ ხდება აქტუალური, როცა ის კარში დგას, ანუ მეკარეა.

თოთხმეტი წლის წინათ, მარადონამ შეცვალა ეს წარმოდგენა. ის რევოლუციონერი იყო. თოთხმეტი წლის შემდეგ პატარა ინგლისურ ქალაქში, პოლ გესქოინმა შეგვახსენა, რომ ხელი კვლავაც შეიძლება იყოს აქტუალური ფეხბურთში, თუკი გაცდენილ წლებთან მებრძოლი ვარსკვლავის ბედი-მდევრის იარაღია და არა უბრალოდ ხელი, რომელიც ჯორჯ ბოატენგს მოხვდა თავში.

საერთოდ, ეს ყველაფერი ძალიან უცნაურია, თუმცა, ადვილი ასახსნელიც — ფეხბურთის ვარსკვლავურად თამაშს, გვარიანი ფიზიკური მზადყოფნაც სჭირდება.

ლოზუნგი: არ ენდოთ მისტიკოსებს!

## რობსონის შრომა დაფასდა



ინგლისურმა „ნიუკასლ იუნაიტედმა" მხცოვან სპეციალისტს, 66 წლის ბობი რობსონს გუშინ ახალი კონტრაქტი გაუფორმა. ხელშეკრულებით რობსონი „კაჭკაჭებს" კიდევ 12 თვის მანძილზე ავარჯიშებს.

ალბათ იცით, ინგლისის ეროვნული ნაკრების, აგრეთვე ესპანური „ბარსელონას", ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენისა" და პორტუგალიური „პორტუს" ყოფილმა თავკაცმა „ნიუკასლის" მწვრთნელის თანამდებობაზე გაზურებული სეზონისას „სექსუალური ფეხბურთის" ფუძემდებელი, ჰოლანიელი რუუდ გულიტი შეცვალა და საკმაო წარმატებითაც. მისი მისვლის შემდეგ გასავარდნად განწირულმა და სატურნირო ცხრილის ბოლოში მოყურყუტე ჩვენებური თემურ ქეცბაიას გუნდმა საკმაო პროგრესი განიცადა. რაც ყველაზე თვალშისაცემია, რობსონის მისვლის დღიდან „ნიუკასლმა" შინ მხოლოდ 2-3-ჯერ ითამაშა ფრედ, დანარჩენ მატჩებში კი მომხვდურნი დაიფრინა.

რობსონის ხელში ახალგაზრდობა და ბომბარდირული თვისებები გაიხსენა ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ალან შირერმა, საუცხოოდ ათამაშდა „ჯორდთა" ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი, შოტლანდიელი დანკან ფერგიუსონი. სამწუხაროდ, თემურ ქეცბაიას ძირითადში მოხვედრა შირერ-ფერგიუსონის ფონზე უფრო და უფრო უჭირს. ქეცბაია და კევინ გალაჰერი, რომ იტყვიან, რობსონის ხელში სათადარიგო თავდამსხმელებად იქცნენ.

გასულ შაბათს, პრემიერლიგის მორიგ ტურში, „ნიუკასლმა" „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" ინგლისური ფეხბურთის აღიარებული ლიდერი და მსოფლიოს საუკეთესო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი" გაანადგურა. შირერმა და ფერგიუსონმა „მანიუსგან" ქვა ქვაზე არ დატოვეს და სერ ალექს ფერგიუსონსაც ხელები გაასავსავებინეს.

3:0, ასე მოუგო „ნიუკასლმა" „მანჩესტერს", ჰოდა, გაუგრძელებდნენ ბობი რობსონს კონტრაქტს, აბა, რა იქნებოდა. ხუმრობა ხომ არაა, მსოფლიოს საუკეთესო გუნდი საქვეყნოდ შეარცხვინო.

— ჩვენ დიდ „ნიუკასლს" ვაშენებთ, ისეთს, როგორსაც ეს გუნდი და მისი ფანები იმსახურებენ. ამ საქმეში კი ბობი რობსონმა უდიდესი როლი უნდა შეასრულოს. ჩვენ კმაყოფილნი ვართ მისი ნაყოფიერი მუშაობით და ვერ გამიგია, რატომ არ უნდა გაგვეგრძელებინა კონტრაქტი. ის, რომ ახალი ხელშეკრულება 12-თვიანია, არაფერს ნიშნავს, მთავარია, ჩვენ გვწამს მისი" — განმარტა „ნიუკასლ იუნაიტედის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ერთი სიტყვით, მხცოვანი ბობი ფრიად დაფასებული პიროვნებაა. კონტრაქტიც გაუგრძელეს და, რაც ყველაზე მთავარია, თვითონ ნიუკასლში ხომ სჯერათ მისი. ჰოდა, აცალეთ, ბატონო.

**გიორგი ვაშაკიძე**

## ღამის ბარში დიეგოსთან ერთად ნამყოფი

„ბლექბერნისა" და „ვესტ ჰემ იუნაიტედის" ყოფილმა მოთამაშემ, რობი სლეიტერმა განაცხადა, რომ ხმები, თითქოს ინგლისურ პრემიერლიგაში ფეხბურთელები ნარკოტიკებს მიმართავენ, აბსურდი და ფანტაზიაა.

სლეიტერი ავსტრალიელია, თავის დროზე ეროვნულ გუნდშიც თამაშობდა, ამჟამად კი სიდნეის კლუბ „ნორზერნ სპირიტში" გამოდის. მას მწვანე კონტინენტზე შეუტყვია, რომ ბრიტანეთსა და ევროპაში გამოქვეყნებულ წერილებში იგი მოხსენიებული გახლდათ, როგორც ადამიანი, რომელსაც ორივე ინგლისურ გუნდში კოკაინს სთავაზობდნენ.

ამბობდნენ, რომ ეს, ისევე როგორც ფრაზა „ინგლისში დოპინგი სისტემატური ხასიათისაა", სლეიტერმა ავტობიოგრაფიულ წიგნში, „მძიმე გზაში" დაწერა.

„არა მგონია, ამ წერილების ავტორებს ჩემი წიგნი წაკითხული ჰქონდეთ. მსურს ისინი დავარწმუნო, რომ მასში მსგავსი არაფერი წერია. ვილაცამ ჯოხს აშკარად არასწორ ბოლოში მოჰკიდა ხელი" — განაცხადა სლეიტერმა და დასძინა, რომ მისთვის კლუბებში, არავის შეუთავაზებია „ჯადოსნური" ამბები.

მიუხედავად ამისა, წიგნი, რომელიც ავსტრალიაში ოქტომბერში გამოიცა, კოკაინის თემას მაინც ეხება. იქ წერია, რომ ინგლისში ყოფნის დროს მას ქუჩაში, უცნობებმა, მართლაც შესთავაზეს ეს ნარკოტიკი. ერთხელ ეს ლონდონის ერთ-ერთ ღამის კლუბში მოხდა, სადაც „ბლექბერნის" ფეხბურთელები თანაგუნდელის, კრის სატონის ქორწილის წინა საღამოს ზეიმობდნენ, მეორედ კი „ვესტ ჰემთან" ერთად ტენერიფეზე სათამაშოდ რომ მიემგზავრებოდა.

„ამით იმის თქმა მინდოდა, რომ პროფესიონალ ფეხბურთელებს, ისევე როგორც დანარჩენ ადამიანებს, ცხოვრებაში ცდუნება მრავლად ხვდებათ და თუ ფრთხილად არ იქნებიან, შესაძლოა, გზას ასცდნენ" — განმარტა 35 წლის გარემარბმა, რომელსაც ორივე შეთავაზებაზე უარი უთქვამს — „ნარკოტიკები ფეხბურთელთა სპეციფიური პრობლემა არ გახლავთ, ეს საყოველთაო სატკივარია".

სლეიტერი იმასაც უარყოფს, რომ ოდესმე კოკაინის მყნოსავი ფეხბურთელი უნახავს.

„ღამის კლუბში თვით დიეგო მარადონასთან ერთად ვყოფილვარ. ეს ბუენოს აირესში მოხდა. მაშინ გვაგრძნობინეს, რომ რასაც ვისურვებთ ყველაფრით გაგვიმასპინძლდნებოდნენ, მაგრამ სურვილი ერთ ჩვენგანსაც კი არ გამოუთქვამს.

ვწუხვარ, რომ ჩემზე ასეთი ხმები დაირხა. კარგი იქნება, ხალხი თუ მოიცლის და ჩემს წიგნს წაიკითხავს. იქ აღწერილი მაქვს, თუ რა დიდებული და აბსოლუტურად კანონიერი ცხოვრებით ვიცხოვრე ინგლისში. ტყუილების მომგონთ კი მათთვის სასურველი აბზაცების მონახვა გაუჭირდებათ. ვისაც უნდა დამირეკოს და მკითხოს. მართალია, ახლა ავსტრალიაში ვარ, მაგრამ ტელეფონები აქაც მუშაობს".

## მიდი, მათეუს, მიდი!

ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ ეტაპზე გერმანიის ნაკრებმა რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა დაგეგმა. ერიხ რიბეკის შეგირდები პირველ მატჩს 23 თებერვალს ამსტერდამში ჩაატარებენ ჰოლანდიელებთან. ამ დღეს იქნებ ერთი საინტერესო მსოფლიო რეკორდიც დამყარდეს — ვეტერანი ლიბერო ლოთარ მათეუსი გერმანიის ნაკრების მაისურას 144-ჯერ მოირგებს. ამდენი მატჩი კი თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ჯერჯერობით არავის ჩაუტარებია.

ახლანდელი რეკორდი, 143 მატჩი, ერთდროულად ორ ფეხბურთელს ეკუთვნის — შვედეთის ნაკრების ყოფილ მეკარე ტომას რაველის და იმავე ლოთარ მათეუსს, რომელმაც ეს მიღწევა წინა წლის ნოემბერში გაიმეორა.

რაკი ვეტერანმა რაველიმ ფეხბურთის თამაშს თავი დაანება. მათეუსს ახალი რეკორდის დამყარების მშვენიერი შანსი მიეცა და ალბათ გამოიყენებს კიდეც.

თავის მხრივ კი, შეგახსენებთ, რომ რაველი-მათეუსის დუეტს ეგვიპტელი ჰოსამ ჰასანი ჩამორჩება, რომელმაც თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში დღემდე 140 შეხვედრა ჩაატარა, იგი 33 წლისაა და თამაშს ჯერ კიდევ აპირებს. მათეუსი კი თავის სანაკრებო კარიერას ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შემდეგ დაასრულებს.



ლოთარ მათეუსი

მომავალ თვეში გამოცდილი ლიბერო თავის მშობლიურ გუნდს, მიუნხენის „ბაიერნსაც" ტოვებს და ამერიკაში მიემგზავრება, სადაც ნიუ იორკის „მეტროსტარზის" ღირსებას დაიცავს. 26 მაისს, მიუნხენში ლოთარ მათეუსის გამოსათხოვარი მატჩია დაგეგმილი.

უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად გერმანელმა გულშემატკივრებმა თავის საყვარელ ფეხბურთელს ჰიმნიც მიუძღვნეს სათაურით — „მიდი, მათეუს, მიდი!"

**ვაჟა ლომიძე**

### სატირბოლოგია

### კითხვა • პასუხი

— *ერთი კითხვა მჭამს, გასაქანს არ მაძლევს.*

— ჩემპიონთა თასს ვინ მოიგებს?

— *არა. „რეალი" ჯობია, თუ „ბარსელონა"?*

— ახლა ორივეს „დეპორტივო" ჯობია.

— *არა, ზოგადად.*

— ზოგადად... „რეალი".

— *ჰმ... რით გამოიხატება?*

— ჩემპიონთა თასებით.

— *თასების თასები არ ითვლება?*

— ეგეთი თასი არ არსებობს.

— *„ბარსას" ყოველთვის მეტი ვარსკვლავი ჰყავდა.*

— ვაიმე, გული...

— *გულს ხელი უშვი, ჩამოვთვალოთ.*

— შემჭამა ამ ჩამოთვლით. ჩამოვთვალო, რა ხეირი?

— *შავი და თეთრი იქ გამოჩნდება.*

— თასები ჩამოვთვალოთ.

— *თასი რისი პასუხია?*

— რაც მეტი ჯილდო გაქვს, მით დიდია შენი ისტორია.

— *და ვარსკვლავები?*

— ვარსკვლავებშიც დამარცხდები.

— *რივალდო ჯობია, თუ რაული?*

— ორივეს დი სტეფანო ჯობია, საერთოდ კი ჩემპიონი „დეპორი" გახდება.

— *და „ბარსას" რაღა, ვირის თავფეხი?*

— მე რა ვიცი, რა? „რეალი" რომ გადაუსწრებს, ნაღდია.

— *რამდენჯერაც არ უნდა გადაუსწროს, „ბარსა" „ბარსაა".*

— ეგრე, „რეალი", „რეალია".

— *ჩემპიონთა თასს ვინ მოიგებს?*

— მე რა ვიცი?

— *ყველამ იცის, „ბარსა" მოიგებს ჩემპიონთა თასს.*

— ვინ ყველამ?

— *ჭკვიანმა ადამიანებმა.*

— და, თვითონ „ბარსამ" თუ იცის?

— *ცხადია.*

— რა ბედნიერებაა. ეგებ „რეალმა" მოიგოს ჩემპიონთა თასი?

— *გამორიცხულია.*

— რატომ?

— *„რეალმა" უკვე მოიგო.*

— მართალი ხარ. „რეალმა" იმდენჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი, რომ ახლა აღარც ჭირდება.

— *აბა, რა ჰირდება?*

— ერთი-ორი კარგი არგენტინელი ფეხბურთელი.

— *ეგ რას ნიშნავს?*

— იმას, რომ კარგი არგენტინელი ფეხბურთელი „რეალში" უკეთ თამაშობს, ვიდრე კარგი ჰოლანდიელი ფეხბურთელი „ბარსაში".

— *და გაზა?*

— გაზასგან რა გინდა?

— *გაზა შეძლებს „რეალში" თამაშს?*

— ჯერ თაბაშირი მოხსნან...

— *არ ქონდა ეგ თაბაშირი და რას მიკეთებდა?*

— ეჰ... ყველა კი ვერ გაიგებს. ბედი არ გინდა?

— *თორემ „რეალში" გამოდგებოდა?*

— „რეალში" არა, „ბარსაში".

# საფრანგეთი ინგლისია, ინგლისი კი საფრანგეთი

### საფრანგეთი — ინგლისი

ტურის და მთლიანად ტურნირის ცენტრალური მატჩი უდავოდ „სტად დე ფრანსზე“ გაიმართება დღეს. ერთმანეთს ხვდება ორი ნაკრები, რომლებმაც ორი კვირის წინ თავიანთი მეტოქეები მიწასთან გაასწორეს. თუმცა ეს მარტო ექვსი ერის პირველობის ორი ფავორიტის ჯახი არაა, ეს შემტევი და დაცვითი ტაქტიკების შერკინებაცაა.

თუმცა სიტუაცია დღეს ცოტათი ბუნდოვანია. პირველ ტურში ინგლისმა ირლანდია ძირითადად თავისი უკანახაზელების ბრწყინვალე თამაშის წყალობის დაჯაბნა, რაც ერთობ მოულოდნელი იყო გუნდისგან, სადაც წამყვან როლს მუდმივად შერკინება თამაშობს ხოლმე. უელსში კი საფრანგეთმა ინგლისური რაგბი ითამაშა, რომელიც დაცვაზე იყო აგებული და მშვენიერ შედეგსაც მიაღწია — მასპინძლებს მხოლოდ სამი ქულა დაანება. თუმცა უფრო ღრმად რომ ჩავუკვირდეთ ფრანგთა უელსურ თამაშს, დავინახავთ, რომ პირველ ტაიმში, როცა ფრანგები თითქოსდა წაიინგლისელებდნენ, სინამდვილეში ისინი თავიანთი თამაშის ძებნაში იყვნენ, ოღონდ დაცვას ჩვეულებრივზე მეტ ყურადღებას უთმობდნენ. „მამლების“ სახეცვლილებაც, ალბათ, სწორედ ესაა — მათ თავი კარგად დაიცვეს და მხოლოდ შეტევაზე არ იზრუნეს. შესვენების შემდეგ კი კასტენიედისა და მანის „აფეთქებების“ ხარჯზე ფრანგებმა ლაღი ბურთაობაც გააჩაღეს.



„მამლები“ ინგლისელთა დასჯორტნად ემზადებიან

საფრანგეთის ნაკრებში მთავარი ცვლილება ალენ პენოს დაბრუნებაა, რომელიც 1997 წლის შემდეგ „მამლების“ თავკაცებს აღარ ახსოვდათ, მიუხედავად ინგლისურ „სარასენში“ მშვენიერი თამაშისა. კრისტოფ ლამეზონმა კი მუხლი მსუბუქად დაიშავა და გართულებების თავიდან ასაცილებლად იგი შინ გაუშვეს. „ტიტუ“, ალბათ, საკმაოდ დააკლდება საფრანგეთს და მისი შეცვლა პენოს ერთობ გაუჭირდება. ამიტომაც უმჯობესი იქნება, თუ გუნდი თავისი ახალი დამრტყმელის სტილს ოდნავ მაინც მოერგება, რადგან ნაკრები ყოველ მატჩში ერთ კაცზე ხომ ვერ აეწყობა. ყოველ შემთხვევაში, ალენ პენოს ბევრი ოფლის ღვრა დასჭირდება იმის დასამტკიცებლად, რომ იგი ტყუილად იყო მივიწყებული და ეროვნული ნაკრებისთვის მართლაც გამოსადეგარია.

საფრანგეთში სხვა ცვლილებები არაა, უფრო სწორად, თითქმის არაა. ძირითადი შემადგენლობა იგივეა, რაც უელსთან, სათადარიგოებში კი სტეფან გლა დაბრუნდა. ასე რომ, ახლა სამმეოთხედელთა ორი ცენტრალური წყვილია: დურთი—ლომბარი და გლა—ვანდიტი. თამაშს პირველი დაიწყებს, შეცვლების კი რა მოგახსენოთ? ასევე მოსალოდნელია, მე-10 ნომრად კასტენიედი დადგეს, პენომ დურთის ადგილი დაიკავოს, დურთმა კი უკან გადაიწიოს კასტენიედის ნაცვლად. ისე, თუ ბოლო ვარჯიშებზე უკანახაზელებს ტრავმები მიეძალათ, აბდელატიფ ბენაზიმ შეიძლება ფრთაზეც ითამაშოს, როგორც ეს საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში გააკეთა.

ინგლისის შერკინების პირველი ხაზი ვეტერანი ლეონარდისა და ახალგაზრდა გრინინგისა და ვიკერისგან შედგება. მათ პირისპირ კი „რკინის“ ფრანგები იდგებიან კალიფანოს, დალ მაზოსა და ტურნერის სახით. სტუმართა მეორე ხაზშიც ახალგაზრდები არიან. არჩერი 25 წლისაა, შოუ კი — 26-ის, თუმცა მათ მატიუსთან და ბრუზესთან თანაბრად თამაში არ უნდა გაუჭირდეთ. ტრავმებმა ინგლისიც გააწამა და ამიტომ სამმეოთხედელი მაიკ კეტი (28 წლის, 40 კეპი) ყმაწვილებ ტინდელსა და კოჰენს უნდა გაუძლვე. რაც შეეხება შერკინების მესამე ხაზს, ჰილის, დალალიოს და ბეკის შემადგენლობით, ის, თამამად შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და ეგებ მატჩის ბედიც გადაწყვიტოს.

ერთი სიტყვით, ხუთი ერის პირველობის ბოლო ცხრა გათამაშებიდან ჯამში შვიდის მომგები ფრანგები და ინგლისელები დღეს გაარკვევენ ევროპის საუკეთესო ერის ვინაობას. ტურნირის კალენდარს თუ გავითვალისწინებთ, ვნახავთ, რომ ამ მატჩში გამარჯვებულს ექვსი ერის პირველობის პირველი გათამაშების ჩემპიონობაში, ალბათ, ველარავინ შეეცილება და სავსებით რეალური ჩანს, ჩემპიონმა დიდი სლემიც მოიპოვოს. ბრძოლა სანაქებო უნდა გამოდგეს. რაც შეეხება სანახაობას, დიდი იმედი არაა, რომ მაყურებელი ამ მხრივ დატკბეს, მაგრამ დაძაბულობა, ბრძოლა და თავდადება — იცოცხლე!

სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ამ ნაადრევმა ფინალმა შეიძლება ტურნირს ინტერესი დაუკარგოს, რადგან გამარჯვებული თუ წინასწარ იცი... ფრე მშვენიერი იქნება!

***საფრანგეთი:*** *კასტენიედი, ნტამაკი, ლომბარი, დურთი, დომინისი, პენო, გალტიე, პელუ (კაპ.), მანი, ბენაზი, მატიუ, ბრუზე, ტურნერი, დალ მაზო, კალიფანო*

***ინგლისი:*** *პერი, ჰილეი, ტინდელი, კეტი, კოჰენი, უილკინსონი, დეისონი (კაპ.), დალალიო, ბეკი, ჰილი, შოუ, არჩერი, ვიკერი, გრინინგი, ლეონარდი*

# გააგდებენ თუ წავა?



იტალიელებთან შერცხვენის მერე გორდონ სიმპსონი და მისი სკოტი თანაგუნდელები ირლანდიელებთან უცილობლად გამარჯვებას შეეცდებიან

### ირლანდია — შოტლანდია

ექვსი ერის პირველობის მეორე ტურში ეს ერთადერთი მატჩია, წინა ტურში დამარცხებულები რომ დაუპირისპირებდებიან ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ირლანდიელები და შოტლანდიელები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმებიან ერთმანეთს. სკოტებს ძალიან სურთ, მალე დაივიწყონ რომში იტალიასთან სამარცხვინო წაგება, მასპინძლებმა კი თვიქნემში ინგლისთან განადგურების ლაქა უნდა ჩამოირეცხონ.

ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ მატჩის დამთავრების შემდეგ ირლანდია შეიძლება უთავკაცოდ დარჩეს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ახალზელანდიელმა უორენ გეტლენდმა განაცხადა, რომ წაგების შემთხვევაში თავის პოსტს დატოვებს. ირლანდიის რაგბის ფედერაციისთვის კი ეს განცხადება, რა თქმა უნდა, მოულოდნელი იყო, ამიტომაცაა, რომ გეტლენდის სავარაუდო შემცვლელის ძებნა ჯერ კიდევ არ დაუწყია. თუ ირლანდია მართლა დამარცხდა, კელტების ახალზელანდიური მეთოდით გაწვრთნის ცდაც კრახს განიცდის. ირლანდიამ შიდა ჩემპიონატის სისტემად პროვინციების შეჯიბრი შემოიღო და თავისი რაგბის კარი ფართოდ გაუღო უცხოელ, ძირითადად სამხრეთნახევარსფეროელ მოთამაშეებსა და მწვრთნელებს. „სამყურათა“ რაგბის მამებს იმედი ჰქონდათ, რომ ეს მძიმე კრიზისიდან გამოიყვანდათ, მაგრამ სასურველი შედეგი ჯერჯერობით მაინც არ ჩანს. მეტიც, მსოფლიოს თასზე მეოთხედფინალში გასასვლელ მატჩში არგენტინასთან მარცხი ქვეყანაში ლამის კატასტროფად მიიჩნიეს და გეტლენდსაც მაშინ შეუდგა წყალი. და ახლაც, ალბათ, იმიტომ აცხადებს ახალზელანდიელი თავისი მოსალოდნელი გადადგომის შესახებ, რადგან წაგების შემთხვევაში სავარაუდოდ მაინც გააგდებენ და ერთი ქართული მულტფილმის პერსონაჟივით გაიძახის: „თქვენ რომ არ გამაგდოთ, მე თვითონ ვერ წავალ?!“

შოტლანდიასთან მატჩისთვის გეტლენდმა გუნდი საკმაოდ გადაახალისა. მეთხუთმეტე ნომერი კონორ ოში (35 კეპი), შერკინების ნახევარმცველი ტომ ტირნეი და მესამეხაზელი მორკინალი დიონ ოკუინეგენი ამ წმენდას შეეწირნენ. შეგახსენებთ, რომ შარშან ავსტრალიაში გამართული ტურნეს დროს ოკუინეგენი „სამყურათა“ კაპიტანი იყო. ფრანგული „კასტრის“ მოთამაშის, დევიდსონის ნაკრებში მიბრუნება სასიკეთოდ უნდა წაადგეს ირლანდიის შერკინებას და მანაც ღირსეული წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს შოტლანდიურს, რომელმაც იტალიის წინა ხაზს ვერაფერი დააკლო.

სკოტებმა შეიძლება უპირატესობა ნახევარმცველების ხარჯზე მოიპოვონ. რომში, მარცხის მიუხედავად, თაუნსენდი საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა და არც მისი მეწყვილეა ჯაბანი. სამაგიეროდ, ირლანდიელების მე-9 და მე-10 ნომრები საკმაოდ სუსტები არიან. აქედან გამომდინარე კი შოტლანდიის სამმეოთხედელებს თამაშის გაშლის უკეთესი შესაძლებლობა მიეცემათ, ოღონდ ისინი ისევე უნდა ათამაშონ, როგორც მსოფლიოს თასის დროს და არა ისე, როგორც იტალიაში, სადაც ბურთის ფრთამდე მიტანას თითქმის ვერ ახერხებდნენ. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ სტუმრებს დამრტყმელის პრობლემა აქვთ და თუ ფეხით თამაში წავიდა, მათ ერთობ გაუჭირდებათ.

ირლანდიას 1988 წლიდან მოყოლებული შოტლანდია არ დაუმარცხებია და შეძლებს კი ამას დღეს? ჩვენი აზრით, გამარჯვების უფრო მეტი შანსი მაინც შოტლანდიას აქვს. და ერთიც, ამ მატჩში წაგებული ხის კოვზისთვის „ბრძოლას განაგრძობს“. შეგახსენებთ, რომ ამ ჯილდოთი ყველა შეხვედრაში დამარცხებული ნაკრები ჯილდოვდება.

***ირლანდია:*** *დემპსი, ჰორგანი, ოდრისკოლი, მალინსი, ჰიკი, ოგარა, სტრინგერი, ფოლი, დეისონი, ს. ისტერბი, ოკელი, გალვეი, ჰეიესი, ვუდი (კაპ.), კლოჰესი*

***შოტლანდია:*** *მეტკალფი, ლონგსტაფი, მაიერი, შილი, ლოგანი, თაუნსენდი, რედპათი (კაპ.), სიმპსონი, პაუნტნი, ლესლი, გრიმსი, მიურეი, სტიუარტი, ბალოკი, სმიტი*

# დამრტყმელთა დუელი

### უელსი — იტალია

უელსი შინაურ „მილენიუმზე“ უკვე ზედიზედ მესამეჯერ დამარცხდა. დღეს იგი იტალიას მასპინძლობს და იმედი აქვს, რომ ამ წაგებების სერიას შეწყვეტს. გრემ ჰენრის შეგირდებისთვის მორიგი წარუმატებლობა დაუშვებელია, რადგან ახალზელანდიელი მწვრთნელი, პირველად მისი ამ თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ, საშინელი კრიტიკის საგანია. ამის მიზეზი ორი კვირის წინ საფრანგეთთან განცდილი მძიმე მარცხია.

იტალიამ კი შოტლანდიასთან მოგებით თავდაჯერება შეიძინა და მისი ძლევა უელსს საკმაოდ უნდა გაუჭირდეს. ჰენრის შერკინების პირველი ხაზის იმედი აქვს, რომელმაც კანონით იტალიელები უნდა დაჩაგროს. დაცვაც საკმაოდ გაძლიერდება ალენ ბეიტმენის დაბრუნებით, რომელიც საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არაა, მაგრამ წარმოშობით ავსტრალიელ ჯეისონ ჯონსჰიუზს კი მაინც სჯობს. ძალიან გაუხარდათ უელსელ რაგბის ქომაგებს მორკინალ კრეიგ „ტერმინატორ“ ქვინელის დაბრუნებაც, რომელიც ცუდ ფორმაშიც კი, ალბათ, ერთადერთია თანაგუნდელებიდან, მეტოქის დაცვის პირველი ხაზის გარღვევა რომ ძალუძს. და ბოლო ცვლილება: „პონტიპრიდის“ ფრთა ჯეიმსი „ტულუზის“ ახალგაზრდა მორაგბე უილიამსით შეიცვალა.

ეს სიახლეები უელსელებს, ალბათ, წაადგებათ, მაგრამ მოგებისთვის ნამდვილად არაა საკმარისი. საჭიროა ბურთის მოპოვებისთვის უფრო უკეთ ბრძოლა, ვიდრე ფრანგებთან და დაცვაშიც მეტი სიმტკიცეა აუცილებელი, განსაკუთრებით შებოჭვებისას. საინტერესოა, რომ პირველ ტურში 79 მცდელობიდან უელსელებმა მხოლოდ 24-ჯერ შეძლეს მოწინააღმდეგის შებოჭვა. თუ ამჯერად მათმა შერკინებამ უკეთ ითამაშა და იტალიელებს ჯარიმები ბლომად მიალებინა, მერე საქმეში ნილ ჯენკინსიც ჩაებმება და საფრანგეთთან ალებულ სამ ქულაზე (2 ცდიდან) მეტს მოიხვეჭს.

სავსებით შესაძლებელია, მატჩის ბედი ორი დამრტყმელის დუელმა გადაწყვიტოს. ნილ ჯენკინსი და დიეგო დომინგესი მოქმედი მორაგბეებიდან მსოფლიოში ყველაზე შედეგიანები არიან. ასე რომ, იმ გუნდს, რომელიც ნაკლებად დაჯარიმდება, მოგების უკეთესი შანსი ექნება. ამ საქმეში კი იტალიელებს მცირედი უპირატესობა აქვთ. პირველ ტურში ისინი ყველა სხვა გუნდზე ნაკლებად დაისაჯნენ (8-ჯერ) და ბრედ ჯონსტონი თავის შეგირდებს ისევ თუ ასე „სუფთად“ ათამაშებს...

შოტლანდიასთან მატჩისგან განსხვავებით, იტალიელებს ამჯერად გაცილებით მეტად დასჭირდებათ ფიზიკური გამძლეობა. აპენინელების ახალზელანდიელმა მწვრთნელმა ბრედ ჯონსტონმა გუნდში სამი ცვლილება განახორციელა. თვალნატკენი მასიმო ჯიოვანელის ადგილი ანდრეა დე როსიმ დაიკავა, მანუელ დალანი, რომელიც აგრეთვე ტრავმირებულია, ჯოვანი რაინერიმ შეცვალა. ჯანპიერო დე კარლი კი პირადი საქმეების გამო გამოტოვებს დღევანდელ მატჩს. მის ნაცვლად ჯონსტონმა 22 წლის ტინო პაოლეტი გამოიძახა; რომლისთვისაც ეს პირველი კეპი იქნება.

თუ იტალიელებს უკანა ხაზში აქვთ უპირატესობა, სამაგიეროდ, უელსი უფრო ძლიერი მორკინლებით გამოირჩევა, დამრტყმელი კი ორივე ნაკრებს ბრწყინვალე ჰყავს. სპეციალისტების პროგნოზები მაინც მასპინძელთა სასარგებლოდაა, რომელთაც ჯერ არც ერთი მატჩი არ წაუგიათ იტალიელებთან.

***უელსი:*** *ჰოვარტი, ს. უილიამსი, ბეიტმენი, ტეილორი, ტომასი, ნ. ჯენკინსი, ჰოული, ს. ქვინელი, სინკინსონი, ლუისი, კ. ქვინელი, ვიატი, იანგი (კაპ.), გ. ჯენკინსი, როჯერსი*

***იტალია:*** *პინი, დ. დალანი, რივარო, მარტინი, სტოიკა, დომინგესი, ტრონკონი (კაპ.), ვისერი, ბერგამასკო, ჩეკინატო, გრიტი, ლანძი, პაოლეტი, მოსკარდი, კუტიტა.*

**გაიოზ თალაქვაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი — 18 ტური — ანონსი

19 თებერვალი. ვერის ბაღი. 15.30
**სტუ — აზოტი**

20 თებერვალი. ვერის ბაღი. 13.00
**სდასუ — ასკ**

20 თებერვალი. ვერის ბაღი. 14.45
**დინამო — ბასკო**

19 თებერვალი. ვერის ბაღი. 13.00
**მაკაბი — შევარდენი**

20 თებერვალი. ვერის ბაღი. 15.30
**ვითა — სსუ**

3 960 ლარს ეწირება გორული კალათბურთი. ფედერაციის მევალეთაგან „გორი“ ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც ფულის გადახდა ვერ შეძლო. უფრო სწორად, არ გადაიხადა. ესაა სიმართლე და თვალი უნდა გავუსწოროთ.

მწვრთნელ-მოთამაშეები არაფერ შუაში არიან, ის არის მტყუანი, ვინც ამ გუნდს დაპირებებით კვებავდა და საქმე საქმეზე რომ მიდგა, თითიც აღარ გაანძრია. ეგრე არ უნდაო და ფედერაციაც თავისაზე დადგა, ძალიანაც არ უნდა, მაგრამ უნდა შეელიოს ამ კლუბს.

დღეს-ხვალ ფედერაციის აღმასკომი საბოლოოდ გადაწყვეტს ქართლელთა ბედს. ვეჭვრობთ, გორელთათვის განაჩენი მისაღები აღმოჩნდეს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, მოიკვეთება გუნდი ჩემპიონატიდან, ამით კი კიდევ კარგა ხნით ამოიძირკვება კალათბურთი ამ ქალაქში, იქნებ სამუდამოდაც.

საკალათბურთო ჩემპიონატის მეთვრამეტე ტურის ანონსი იწერება და ასეთების ლაპარაკი იქნებ მართალიც არ იყოს, მაგრამ „გორი“ ხელში ჩაგვაკვდა და ამის უთქმელობაც არასწორი იქნებოდა. დაკვირვებული თვალიც უმალ შეამჩნევდა, რომ ანონსში ექვსის ნაცვლად ხუთი წყვილი წერია. ეს კი ნიშნავს, რომ თსუ-„გორი“ არ გაიმართება. ყოველ შემთხვევაში, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ ასე თქვა და ნაკლებად მოსალოდნელია, რაიმე შეიცვალოს.

დანარჩენ შეხვედრათაგან განსაკუთრებულ ყურადღებას სტუ-„აზოტი“ იპყრობს. დღეს ვერის ბაღში ჩემპიონატის მეორე და მესამეადგილოსნები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და, თქმაც არ უნდა, რომ ტურის ცენტრალური მატჩიც ეს გახლავთ.

ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა რუსთავში „აზოტის“ ექვსქულიანი გამარჯვებით დამთავრდა. ცხადია, ტექნიკოსები რევანშისთვის არიან განწყობილი, ეგეც რომ არა, თუ სტუ-მ იძალა თავად მოკალათდება მეორე საფეხურთზე და მრისხანე მეტოქეს უკან მოიტოვებს. „აზოტი“ კი გამარჯვების შემთხვევაში კიდევ უფრო გაიმყარებს პოზიციებს და ამის მერე რუსთაველთა დაქვეითება ძნელი წარმოსადგენი გახდება.

ოთარ ხმელიძის „აზოტმა“ წინა ტურში ბათუმში თამაშისას კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი სიძლიერე და ყველა დააჯერა, რომ კვლავაც ჩემპიონობის ერთ-ერთ კანდიდატად ითვლება. თუ არ ჩავთვლით საწყის ათ წუთს, „აზოტმა“ ჩინებულად გაართვა თავი ლიდერ „ბასკოსთან“ თამაშს და სრულად გამოავლინა თავისი შესაძლებლობები. ნუგზარ ჭეიშვილის სტუ კი დღემდე ისეთ გუნდად რჩება, რომელიც პოტენციის მინიმუმს ავლენს. ამით იმას როდი ვამბობთ, „აზოტია“ ფავორიტი და უეჭველად მოიგებსო, უბრალოდ, ხმელიძის გუნდი უფრო შეკრულ-შეთამაშებული და ნაცადია, რაც მსგავს სიტუაციებში ძალიან ბევრს წყვეტს.

რუსთაველთა ყელა სათამაშო რგოლი კარგადაა დაკომპლექტებული. გამთამაშებელ არჩილ ჟღენტს თანაგუნდელთა გაძღოლა, პასების სწორად განაწილება, სიტუაციის შეუმცდარად წაკითხვა და თამაშის კარნახი ევალება, რაც უმეტესად კარგად გამოსდის. ხმელიძე უკანახაზში ჟენტს გაბისონიას უწყვილებს, რომლის გარჯა ძალიან ნაყოფიერია „აზოტისთვის“. გაბისონია განსაკუთრებით აგრესიული დაცვითი თამაშით იპყრობს ყურადღებას და რა გასაკვირია, რომ მეტოქის ყველაზე სახიფათო უკანახაზელის მეურვეობას ძალიან ხშირად მას მიანდობენ-ხოლმე. ამ დუეტის წინააღმდეგ თამაშისას სტუდენტთა გამთამაშებელსა და ლიდერს დავით თორთლაძეს დიდი წინდახედულობა მართებს. მან დასაწყისშივე უნდა აღკვეთოს ვიცე-ჩემპიონთა სწრაფი შეტევები, რომელიც ჟღენტის თაოსნობით ელვისებურად ვითარდება და უმეტესად შედეგიანად მთავრდება. ამ საქმეში თორთლაძეს ახალგაზრდებიც უნდა შეეშველონ — მიქაძე, მოისწრაფიშვილი, ტულუში და სულაძე, რომელთაც, ასაკის მიუხედავად, საკმაო გამოცდილება დაგროვებიათ.

ცალკე საუბრის თემაა რუსთაველთა ლიდერი რამაზ გოგობერიშვილი. მისი ყოველი ქმედება ჭკუადამჯდარი და, რაც მთავარია, სასარგებლოა გუნდისთვის. გოგობერიშვილს უცაბედი გარღვევებიც ეხერხება და სამქულიანი სროლებიც, რაც მოწინააღმდეგე გუნდს მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევს. მისი განეიტრალება სავარაუდოდ ზურაბ ჩუბინიძეს დაეკისრება, რომელიც ტრავმის შემდგომ საუკეთესო ფორმაში არ გახლავთ, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევი ძალაა. ჩვენში ჩუბინიძე ყველაზე მეტად ითვლება უნივერსალურთან მიახლოებულ კალათბურთელად და აქედან გამომდინარე, კონკრეტულად თამაშში მის ნაყოფიერებას ძირითადად მწვრთნელის მითითებები განსაზღვრავს.

„აზოტის“ ცენტრმა მიხეილ ბერუაშვილმა წლეულს საუკეთესო მატჩი წინა ტურში, „ბასკოსთან“ ჩაატარა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მიშა სადღეისოდ კარგად არის მომზადებული. კორძაძე, ოთიურიძე და ორმოცაძე სავარაუდოდ ის მოთამაშეები არიან, რომლებიც უშუალოდ დაიჭერენ საქმეს ბერუაშვილთან. კონკრეტულად ამას ჭეიშვილი გადაწყვეტს, შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ რუსთაველთა ცენტრის წინააღმდეგ თამაშისას ხსენებული კალათბურთელები ერთმანეთს შეენაცვლონ. სტუ-ს ბერუაშვილის გაუვნებლება ზონური ტიპის დაცვით უფრო გაუადვილდება, მაგრამ ამ შემთხვევაში, ალბათ, ვიცე-ჩემპიონთა უკანა ხაზისგან შეექმნება პრობლემა.

რუსთაველთა ფარზე აქტიურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ზვიად ბაბიაშვილი, რომელიც ფარქვეშ ალღოიანად მოქმედებს. სტუდენტთაგან ოთიურიძეა ასეთი, იგი მეტი გამოცდილებისა და მოხერხებულობის წყალობით თუ შეძლებს ბაბიაშვილის ნაადრევად ჩამოცილებას. სტუ-სთვის კრიტიკულ მომენტებში ამროსი ორმოცაძე ხშირად ლიდერობას კისრულობს და ბევრჯერ დაუმტკიცებია, რომ ამას ჩინებულად ახერხებს.

სტუ-ს ყველაზე დიდი უპირატესობა ის გახლავთ, რომ ჭეიშვილს კოლეგა ხმელიძესთან შედარებით მეტი არჩევანის საშუალება აქვს და შეუძლია, ნებისმიერ მოთამაშეს დაეყრდნოს. „აზოტს“ კი საგრძნობლად აფერხებს ეს პრობლემა, რაც დღემდე ვერ აღმოფხვრა.

ამ მატჩის ფონზე დანარჩენი ორთაბრძოლები იქნებ ნაკლებ ინტერესს იწვევს, მაგრამ ერთი მაინც უნდა გამოვარჩიოთ. „მაკაბი“ — „შევარდენის“ დაპირისპირება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მაკაბელთათვის, რადგან თუ წაიფორხილებენ ქულასთან ერთად ექვსეულში შეღწევის იმედსაც დაკარგავენ. ჩემპიონატის აუტსაიდერ გუნდთან ერთადერთი „შევარდენს“ ძალუძს, ტოლ-სწორად დაეჭიდოს „მაკაბის“ და თუ ისე მოხდა, რომ გაიმარჯვა, მეცხრე ეროვნულში მიზანდაკარგული საავიაციოქარხნელები გულს მაინც მოიფხანენ.

სხვა მხრივ არა გვგონია, სენსაციური გამოდგეს ეს ტური. ჯერ ერთი, რომ გუნდებს ექსპერიმენტების დრო აღარ დარჩათ და თავიდანვე შემართებით იბძოლებენ. მეორეც, მეტოქეთა შორის ძალიან დიდი სხვაობაა სათამაშო კლასში. სდასუ — ასკ-ს, „დინამო“ — „ბასკოსა“ და „ვითა“ — სსუ-ს შეხვედრები უფრო ფორმალური ხასიათისა იქნება. ამას რეალობის გათვალისწინებით ვამბობთ, დღეს ასეა და ხვალ-ზეგ რა იქნება, ამას მომავალი წარმოაჩენს.

**გიორგი ბიკაშვილი**

რეგულარული ჩემპიონატი

# ვინ უფრო სძულს მაიამის?

17 თებერვალი

**იუტა 119:108 საკრამენტო**
იუტა: მელოუნი (30 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი), სტოქტონი (22 ქულა, 10 პასი), ჰორნაჩეკი (22)
საკრამენტო: ვებერი (22), ვილიამსონი (18)

**დალასი 106:97 დეტროიტი**
დალასი: ნოვიცკი (22 ქულა, 12 მოხსნა), ფინლი (21), სებალოსი (21)
დეტროიტი: სტეკჰაუზი (22), ჰილი (20)

**ჩიკაგო 83:76 მაიამი**
ჩიკაგო: ბრენდი (26 ქულა, 10 მოხსნა), ჰოკინსი (20)
მაიამი: მურნინგი (15 ქულა, 11 მოხსნა, 7 დაფარება)

**მილუოკი 90:92 ინდიანა**
მილუოკი: კასელი (23), რობინსონი (22), ალენი (18)
ინდიანა: მილერი (23), როუზი (20)

**კლივლენდი 119:101 დენვერი**
კლივლენდი: პერსონი (24), მიურეი (24), ჰოკინსი (22 ქულა, 10 პასი)
დენვერი: მაკდაიესი (19), კლარკი (19)




REUTERS

ჩიკაგო — მაიამი. ჩიკაგოელი რენდი ბრაუნი (ბურთით) კლარენს ვეზერსპუნსა (№35) და ალონზო მურნინგს შორის

ხომ მტრად გადაჰკიდებია ერთმანეთს ორი აღმოსავლელი ბობოლა — „მაიამი“ და „ნიუ იორკი“, მაგრამ ამ სეზონს ისეთი პირი უჩანს, მაიამელები „ნიუ იორკზე“ უფრო „ჩიკაგოს“ შეიძულებენ. მიზეზი დღესავით ნათელია — პატ რაილის ბიჭები, რომელთაც თვალი ჩემპიონობაზე უჭირავთ, მიმდინარე სეზონში უკვე მეორედ მარცხდებიან აღმოსავლეთში ყველაზე უსახურ გუნდთან. დიდი „ჩიკაგო ბულზიდან“ მხოლოდ სახელიღა დარჩა. ამ ორი დღის წინ კლუბმა 1998 წლის ჩემპიონი გუნდიდან ბოლო კალათბურთელიც — ტონი კუკოჩიც გაცვალა და აი, სასწაული: ულიდეროდ დარჩენილმა „ჩიკაგომ“ კვლავ გაამწარა „მაიამი“. ამჯერად შინაურ „იუნაიტედ სენთრეში“, რითაც 22 207 ერთგული ქომაგი უზომოდ გაახარა.

პატ რაილი აგერ მეექვსე წელია, „მაიამი ჰითს“ უდგას სათავეში და თავის შეგირდებს გულმოდგინედ შეასწავლა დაცვის ნიუანსები. მისი გუნდიც დაცვითი თამაშის მიმდევრად ითვლება, მასთან მეტოქეები ყველაზე ცოტა ქულას აგროვებენ. „ჰითის“ ცენტრმა ალონზო მურნინგმა ხომ სრულიად სამართლიანად მოიხვეჭა ლიგის უძლიერესი დამცველის საპატიო სახელი. მაგრამ „ჩიკაგომ“ არად ჩააგდო რაილის თეორიები და ტაქტიკური მონახაზები და სტუმრებს გარჯა მიჩიგანის ტბაში გადაუყარა. მასპინძლები მრისხანე მეტოქეს მისივე იარაღით დაუპირისპირდნენ და სტუმართ იქით დაახვედრეს ზემძლავრი დაცვითი ზღუდეები. თავდაპირველად მაიამელთ ეგონათ, ამათ რა უნდა გვიყონ, ცალი ხელით მოვუგებთო და მატჩისთვის საგანგებოდ არ მომზადებულან. ამისთვის მწარე ალიყურიც იგემეს. „ჩიკაგომ“ მეტოქეს სულ იოლად მოახვია თავს თავისი თამაში. „ხარებმა“ პერსონალურ თამაშში აჯობეს სტუმრებს, რომელთაც იმ დღეს არც სროლები წაუვიდათ, რადგან მასპინძლების მჭიდრო მეურვეობიდან თავის დაღწევა უჭირდათ. მურნინგი, როგორც სჩვევია, მშვენივრად გაისარჯა დაცვაში და მასპინძლების შვიდ სროლას დააფარა, მაგრამ შეტევაში ვერ იხეირა და სულ 15 ქულას დასჯერდა. მეორე ლიდერს, ტიმ ჰარდევეის ასევე ცოტა, 14 ქულა მოუგროვდა.

თვითონ მატჩი, ისევე როგორც დაცვითი თამაშების უმრავლესობა, დაძაბულად კი წარიმართა, მაგრამ სილაღეს და სილამაზეს ერთობ მოკლებული გახლდათ. შეხვედრას ხანდახან „ჩიკაგოს“ ლიდერად ქცეული ახალბედას, ელტონ ბრენდისა და ალონზო მურნინგის ფარქვეშ ბრძოლები ახალისებდა. ჰერსი ჰოკინსის გარღვევებიც აცოცხლებდა თამაშს. ბებერმა ჰოკინსმა, რომელიც გასულ სეზონში ჩვენებური ვოვა სტეფანიას თანაგუნდელი იყო, ახალგაზრდობის წლები გაიხსენა და მრისხანე მეტოქის ერთ-ერთ უმთავრეს მარბიელადაც იქცა.

„დიდი გამარჯვება იყო ჩვენთვის — აღნიშნა მასპინძელთა თავკაცმა ტიმ ფლოიდმა — ტონი (კუკოჩი) წავიდა და ჩვენთვის აუცილებელი იყო, ყველასთვის გვეჩვენებინა, რომ მოგება მის გარეშეც შეგვიძლია. კარგია, რომ ეს ისეთ გუნდთან მოხდა, როგორიც „მაიამია“. კოლეგას გულწრფელად მიულოცა გამარჯვება პატ რაილიმ, რომელიც მეტოქე კლუბის პოლიტიკასაც შეეხო და მის გენერალურ მენეჯერ ჯერი კრაუზეს დიდი ადმინისტრატორი უწოდა. კრაუზე, რომელმაც შექმნა კიდეც თავის დროზე ჩემპიონი „ჩიკაგო“, მართლაც მიზანმიმართულ პოლიტიკას ეწევა. მან ხელი კი არ შეუშალა, პირიქით, დაეხმარა ჩემპიონ გუნდს, რომ იგი ჯორდანის წასვლის შემდეგ სწრაფად დაშლილიყო. ახლა, მეორე სეზონია, „ხარები“ გამოკვეთილი აუტსაიდერები არიან, ლიგაში ყველაზე სუსტი შემადგენლობა ჰყავთ. ეს კი მალე თავის შედეგებს მოიტანს, რომლებიც ალბათ მხოლოდ დადებითი იქნება. კერძოდ, წინა სეზონში ბოლო ადგილებზე გასულმა „ჩიკაგომ“ დრაფტში პირველი არჩევის უფლება მოიპოვა და ელტონ ბრენდი აიყვანა. „ხარებს“ წლეულსაც ექნებათ დრაფტში ვინმე პერსპექტიული ახალგაზრდის დატრევის შესაძლებლობა. გუნდში ვარსკვლავთა არყოლა (ბრენდის გარდა) კი ხელმძღვანელობას ფულს აზოგვინებს, რათა სეზონის შემდეგ თავისუფალ აგენტად ქცეულ რომელიმე ახალგაზრდა სუპერვარსკვლავს სხვაზე მეტი შეაძლიოს და თავის მხარეს გადაიბიროს. ასეთი კი უპირველეს ყოვლისა „სან ანტონიოს“ ლიდერი ტიმ დანკანი იქნება. თუ დანკანი თავად ინებეს სხვა ნავსაყუდელის მოძებნას, „ჩიკაგოს“ დანარჩენ გუნდებზე მეტი შანსი ექნება, მას დაეპატრონოს, რადგან სალაროში უფრო მეტი ფული ეგულება. ყოველივე ამის უკან სწორედ საქმიანი ჯერი კრაუზე დგას და თუ არც იღბალმა დაალალატა, არაა გამორიცხული, ორ-სამ წელიწადში კვლავ მძლავრ გუნდად იქცეს ახლა დაბლა გართხმული ბულზი. მანამდე კი „ხარებს“ ისღა დარჩენიათ, კანტიკუნტი გამარჯვებებით იხარონ.

„ჩიკაგო ბულზისგან“ განსხვავებით, 1997 და 1998 წლების პლეი ოფის ფინალებში მისმა მოცილემ, „იუტა ჯაზმა“ მოახერხა შემადგენლობის მთლიანად შენარჩუნება, რაც სოლტლეიკელებს საშუალებას აძლევს კვლავ და კვლავ იყვნენ წამყვან გუნდთა შორის. თუმცა ასაკი თავისას აკეთებს და რადგან გუნდის დაბერებულ ლიდერებს სტაბილურობა მოაკლდათ, „იუტამ“ სუსტ გუნდებთან წაგებებს უხშირა. ამჯერად „ჯაზს“ საეჭვო არ გაუხდია თავისი გამარჯვება, მის ბებერ ლიდერთაგან სამივემ მშვენივრად ითამაშა. განსაკუთრებით ჯონ სტოქტონის თავგამოდებაა აღსანიშნავი. 38 წლის ვეტერანმა აშკარად აჯობა მასზე 15 წლით ახალგაზრდა ჯეისონ ვილიამსს, რომელსაც ლიგის ყველაზე თვალსაჩინო მოთამაშედ იცნობენ. ვილიამსის ლაზღანდარა და სანახაობრივ კალათბურთს ბევრი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა, მაგრამ ამჯერად ჩამავალმა ვარსკვლავმა დაჩაგრა ამომავალი.

დენის როდმანის კარიერის დალასური ხანა თავიდანვე დაითარსა. უკვე თავის მეორე შეხვედრაში „მილუოკისთან“ ნაგიჟარმა დენისმა იმდენი ქნა, მსაჯს თავი გააგდებინა, თან ერთმატჩიან დისკვალიფიკაციასაც გამოჰკრა ხელი. ასე რომ, „დალასი“ უროდმანოდ დაუხვდა „დეტროიტს“ და კიდეც მოუგო. „დალასმა“ მოხსნებშიც აჯობა მეტოქეს, რაც ამ სეზონში მხოლოდ მეექვსე შემთხვევაა. სანამ გუნდში როდმანი მივიდოდა, „მავერიქსმა“ ბოლო რვა შეხვედრიდან შვიდში იმარჯვა. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რაში სჭირდებათ ტეხასელებს გადაბერებული მოხსნების ყოფილი მეფე, რომელიც თავისი გამოხდომებით მხოლოდ ხელს უშლის გუნდს? ესეც რომ არა, როგორც გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი ამბობს, იგი ბოჭავს ბიჭებს, უმისოდ ისინი უფრო კონცენტრირებულნი და შეკრულნი არიან. მაგრამ მოთამაშეებმა ხელი მაინც არ ჰკრეს შეშლილ თანაგუნდელს. „იგი დიადი მომხსენლია და არაერთ დიდ გუნდში უთამაშია. მასთან ერთად ჩვენ ორი მატჩი წავაგეთ, მაგრამ გავიხსენოთ, რამდენს ვაგებდით მთელი სეზონის განმავლობაში — გამოექომაგა როდმანს „დალასის“ ლიდერი მაიკლ ფინლი — ვფიქრობ, ნაადრევია იმაზე საუბარი, რომ იგი ჩვენ ხელს გვიშლის.“

რაც შეეხება „დეტროიტს“, მას ამ მარცხმა კიდევ უფრო გაურთულა მდგომარეობა და გრანტ ჰილი და მისი ბიჭები ახლა ოდნავ უსწრებენ აღმოსავლეთში მეცხრე ადგილზე მყოფ „ორლანდოს“.

სულ ცოტაც და ჯორჯ კარლის „მილუოკი“ შინ ლარი ბერდის „ინდიანას“ დაამარცხებდა და შარშანდელ პლეი ოფში წაგების ჯავრსაც ამოიყრიდა, მაგრამ „ინდიანას“ გამთამაშებლის, მარკ ჯეკსონის მიერ მატჩის დამთავრებამდე ხუთი წამით ადრე ჩაგდებულმა სამქულიანმა მასპინძლებს პირში ჩალა გამოავლო.

**ირაკლი ფირაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროლიგა

II ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 16–17 თებერვალი

## E ჯგუფი

### ბენეტონი 66:77 თოფაში

ბენეტონი: ედნი (4), მარკონატო (12), ნეესი, ნიკოლა (21), პიტისი (9), სანტოსი, შეპარდი (14), ტრაინა (6)

თოფაში: ბაში (2), გრიფიტი (15), ქონუქი (5), ოქური (4), რიმაცი (13), რივერსი (21), როჯერსი (14), ილმაზი (3)

### ცსკა 76:64 ჟალგირისი

ცსკა: ალანოვიჩი (9), დაინეკო (10), ეინიკისი (4), კარასიოვი (4), კირილენკო (18), კუდელინი (2), სკელინი (10), ტიხონენკო (8), ვეტრა (11)

ჟალგირისი: ბატლერი (7), გარნერი (3), მასიულისი (6), შესტოკასი (7), სტუმბრისი, ტიმინსკასი (16), ზიდეკი (11), ე. ჟუკაუსკასი, მ. ჟუკაუსკასი (14)

### ბარსელონა 66:67 ალბა

ბარსელონა: ალსტონი (14), დე ლა ფუენტე (2), დიგბო, დუენიასი (6), ელსონი (8), გასოლი (3), გოლდვაიერი (15), გუროვიჩი (7), ნავარო (6), როდრიგესი (5)

ალბა: ალექსისი (13), ბოგოევიჩი (4), დეპია (15), ფემერლინგი (11), ჰამინეი (10), ოკულაია (4), პაპიჩი (6), როდლი (4)

## F ჯგუფი

### ოლიმპია 59:47 ცრვენა ზვეზდა

ოლიმპია: ბრეჟეცი (7), დუშჩაკი, გოლემაცი (8), იასიკევიჩუსი (8), კოტნიკი (5), მილაჩიჩი (2), მილიჩი (17), მოდრიჩი, პარავინია (4), ზდოვცი (8)

ცრვენა ზვეზდა: ალექსიჩი (1), ბოლიჩი (6), ბოშკოვიჩი (3), იესტრატიევიჩი (9), ლუკოვსკი (9), რადმანოვიჩი (6), ტიცა (1), ტოპალოვიჩი (12), ვუიანიჩი

### პანათინაიკოსი 71:75 პაოკ

პანათინაიკოსი: ალვერტისი (7), ბოდიროგა (19), ფოცისი (8), კალაიძისი (4), კატაში (8), კოხი, რებრაჩა (18), როჯერსი (7)

პაოკ: ალექსანდერი (10), ანგელიდისი (1), ბაზარევიჩი (12), ბ. ედვარდსი (22), მასლარინოსი (17), ნიკოლაიდისი (1), პერალი (12)

### რეალი 86:79 შოლე

რეალი: ა. ანგულო (11), ლ. ანგულო (6), ჯორჯევიჩი (17), გალილეა (3), ერეროსი (23), იტურბე (2), მიხაილოვი (9), ბ. სკოტი (5), სტრიულენსი (10)

შოლე: ბარდე (3), დიუბო (14), გოტიე (12), ჰეიესი (12), ჟანო (3), მარკიზი (2), მიკუ (11), მილერი (8), სტივენსონი (14)

## G ჯგუფი

### მაკაბი 66:54 კახა სან ფერნანდო

მაკაბი: ბრისკერი (8), კომეგისი (2), ჰენფელდი (8), ჰაფმანი (18), მაკდონალდი (17), შარფი (2), შეფერი (6), შელეფი (5)

კახა სან ფერნანდო: კარგოლი, კორალესი (17), ფერნანდესი (6), ფორტიე (7), რომერო (2), რ. სკოტი (4), სმიტი (2), სოლანა (2), ტერნერი (14)

### ვილერბანი 57:83 ბუდუჩნოსტი

ვილერბანი: ბილბა (2), ბლომი (6), ლარანიაგა (21), ლოვერნი (2), მაქსი (6), პერსევო (4), პლუვი, სამი (4), სილსი (6), სონკო (6)

ბუდუჩნოსტი: ბრკიჩი (16), ბულატოვიჩი (8), კუზმანოვიჩი (3), რადონიჩი (14), შჩეპანოვიჩი (14), შეკულიცი, ტომაშევიჩი (19), ტოპიჩი (7), დრაგან ვუკჩევიჩი (2)

### ოლიმპიაკოსი 77:73 პო ორტეზი

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (2), დე მიგელი (6), ტ. ედვარდსი (2), გრანტი (11), პაპანიკოლაუ (6), რობინსონი (23), ტარლაჩი (23), ტომიჩი (2), დუშან ვუკჩევიჩი (2)

პო ორტეზი: ფატუ (10), დ. გადუ (6), გულიაში (12), მაზინგი (10), პერიაკი, პიეტრუსი (4), რიზაშე (19), სვინსონი (8), ტრუვიონი (4)

## H ჯგუფი

### ფორტიტუდო 91:82 ვარეზე

ფორტიტუდო: ანკიზი, ბაზილე (18), ფუჩკა (10), გალანდა (13), გაი, კარნიშოვასი (14), იარიჩი, მაიერსი (25), პილუტი (8), ს. ვრანკოვიჩი (3)

ვარეზე: ფოიერა (6), მენეგინი (13), პოცეკო (27), სანტიაგო (18), ვესკოვი (3), ვუხერერი (7), ზანუს-ფორტესი (8)

### ციბონა 88:80 პივოვარნა

ციბონა: ალიჰოჯიჩი, ბეიკერი (4), გირიჩეკი (13), კრსტიჩი (5), მარცელიჩი (19), ნიჩევიჩი (6), პრკაჩინი (16), სესარი (19), ჟურიჩი (6)

პივოვარნა: დრაგშიჩი (4), გოლიოვიჩი (20), ჰაფნარი (2), იურაკი (10), კუნცი (8), ლისიცა (21), მილეტიჩი (6), ნახბარი (9), ჟარკოვიჩი

### ეფესი 95:74 ულქერი

ეფესი: ბეშოქი (11), დალი (8), დრობნიაკი (11), ფირინჯიოღლუ (6), ქუთლუაი (14), მულაომეროვიჩი (13), ონანი (12), რიდი (2), თურქოღლუ (10), ვექილოღლუ (8)

ულქერი: ალენი (12), აიდინი, გონლუმი (6), კოტუროვიჩი (17), ოზთურქი, პოუპი (6), სარიჯა (18), თოფსაკალი (6), ილდირიმი (9)

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 75:67 | 69:51 | 66:67 | 68:65 | 66:64 | 12 | 4 | 1183:1091 | 28 |
| 2 | ცსკა | 76:72 | | 77:75 | 71:76 | 90:85 | 76:64 | 9 | 7 | 1216:1182 | 25 |
| 3 | ბენეტონი | 68:72 | 61:81 | | 86:78 | 65:77 | 88:75 | 9 | 7 | 1156:1139 | 25 |
| 4 | ალბა | 72:64 | 81:76 | 66:76 | | 81:55 | 80:64 | 9 | 7 | 1174:1186 | 25 |
| 5 | თოფაში | 78:71 | 87:73 | 86:65 | 76:66 | | 77:73 | 8 | 8 | 1193:1171 | 24 |
| 6 | ჟალგირისი | 60:68 | 84:76 | 82:75 | 89:70 | 62:68 | | 4 | 12 | 1148:1200 | 20 |

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 100:80 | 96:69 | 71:75 | 85:50 | 67:58 | 13 | 3 | 1246:1084 | 29 |
| 2 | ოლიმპია | 71:86 | | 73:63 | 69:63 | 69:55 | 59:47 | 10 | 6 | 1201:1175 | 26 |
| 3 | რეალი | 63:66 | 76:74 | | 72:61 | 86:79 | 98:78 | 10 | 6 | 1227:1187 | 26 |
| 4 | პაოკ | 69:77 | 70:74 | 72:71 | | 83:76 | 82:53 | 7 | 9 | 1140:1114 | 23 |
| 5 | შოლე | 81:68 | 66:77 | 83:90 | 48:66 | | 69:59 | 3 | 13 | 1054:1186 | 19 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 61:76 | 83:77 | 71:96 | 65:64 | 56:64 | | 2 | 14 | 1034:1257 | 18 |

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მაკაბი | | 73:61 | 54:65 | 74:60 | 66:54 | 65:55 | 12 | 4 | 1182:1050 | 28 |
| 2 | ვილერბანი | 70:65 | | 61:54 | 57:83 | 75:64 | 76:61 | 11 | 5 | 1107:1056 | 27 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 65:63 | 65:55 | | 89:61 | 74:63 | 77:73 | 10 | 6 | 1117:1045 | 26 |
| 4 | ბუდუჩნოსტი | 59:67 | 59:65 | 82:70 | | 88:65 | 68:71 | 7 | 9 | 1164:1168 | 23 |
| 5 | სან ფერნანდო | 51:75 | 72:62 | 65:66 | 75:73 | | 77:60 | 6 | 10 | 1068:1107 | 22 |
| 6 | პო ორტეზი | 57:62 | 72:61 | 74:73 | 68:72 | 79:74 | | 4 | 12 | 1078:1164 | 20 |

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ეფესი | | 99:63 | 69:60 | 95:74 | 84:74 | 78:68 | 11 | 5 | 1221:1142 | 27 |
| 2 | ფორტიტუდო | 76:56 | | 92:78 | 79:53 | 91:82 | 81:63 | 10 | 6 | 1198:1145 | 26 |
| 3 | ციბონა | 71:69 | 71:61 | | 64:81 | 75:59 | 88:80 | 10 | 6 | 1201:1207 | 26 |
| 4 | ულქერი | 93:87 | 76:68 | 71:72 | | 79:70 | 68:78 | 8 | 8 | 1204:1235 | 24 |
| 5 | ვარეზე | 76:79 | 91:72 | 89:77 | 82:86 | | 80:70 | 5 | 11 | 1186:1240 | 21 |
| 6 | პივოვარნა | 79:91 | 77:78 | 68:81 | 84:95 | 73:83 | | 2 | 14 | 1147:1314 | 18 |



ოლიმპია — ცრვენა ზვეზდა 59:47. ოლიმპიელმა სლავკო კოტნიკმა (მარჯვნივ) და ჟელკო ტოპალოვიჩმა ჭიდაობა გამართეს

REUTERS ლიუბლიანიდან



ოლიმპია — ცრვენა ზვეზდა 59:47. ზლატკო ბოლიჩი (ბურთით) ოლიმპიელ იურე ზდოვცს გაურბის

# ერთდღიანი იმედი მოსკოვში დასამარდა

ბურსას „თოფაშის" იმედმა ერთი დღე იცოცხლა. იგი ხუთშაბათს დასამარდა მოსკოვში, ცსკა-„ჟალგირისის" მატჩის შემდეგ. „თოფაში" ევროლიგის მერვედფინალის მიღმა დარჩა.

წინა დღეს, ოთხშაბათს, „თოფაშმა" დიდი ბრძოლა მოიგო ტრევიზოში. მართალია, იქაურ „ბენეტონს" მომდევნო ეტაპზე გასვლა განაღდებული ჰქონდა, მაგრამ მოგების შემთხვევაში ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდოდა და მერვედფინალში საკუთარი მოედნის უპირატესობას მიიღებდა. ჩანს, ბურსელების მოტივი უფრო ძლიერი იყო და ამიტომაც გაცილებით უკეთ ითამაშეს. მათი ამერიკელი ლიდერი დევიდ რივერსი შეუდარებელი იყო. მან თამაშიდან გამოთიშა თვისტომი ბენეტონელი ტაიუს ედნი, რითაც მეტოქე გუნდი მთლად მოშალა. ტრევიზოელები ცუდად ისროდნენ. ამ მხრივ გამონაკლისი არგენტინელი მარსელო ნიკოლა იყო, რომელმაც ხუთი სამქულიანი ჩააგდო (ექვსი ნასროლიდან). ამან ვერ იხსნა „ბენეტონი". მონდომებულმა „თოფაშმა" გაიმარჯვა და მოვლენების მისთვის სასურველი გზით განვითარებაზე დაიწყო ოცნება.

მოვლენები კი ასე უნდა განვითარებულიყო: ცსკა-ს მოსკოვში უნდა წაეგო კაუნასის „ჟალგირისთან". მაშინ ცსკა და „თოფაში" ქულების თანაბარ რაოდენობას აგროვებდნენ, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობის გამო მერვედფინალში „თოფაში" გადიოდა. „ბარსელონასა" და ბერლინის „ალბას" მატჩს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: „თოფაშის" გამარჯვების წყალობით „ალბას" მერვედფინალის გზა გაეხსნა. ერთი სიტყვით, თუკი ცსკა წააგებდა, ჯგუფშიც ჩარჩებოდა.

მოგება კი ცსკა-ს ჯგუფში მეორე ადგილს დააკავებინებდა. ყველაზე კარგად ეს მოსკოველებმა იცოდნენ და მატჩი გამხეცებულებმა დაიწყეს — უმალ 10:2 დაწინაურდნენ. „ჟალგირისი" პირველ ტაიმში რიგიანად თამაშობდა და კრის გარნერმა შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში ცსკა უფრო აგრესიული გახდა, თავი გამოიჩინა 19 წლის ანდრეი კირილენკომ (18 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 5 ჩაჭრა, 3 დაფარება) და 35-ე წუთზე ანგარიშში სხვაობამ 10 ქულას მიაღწია. „ჟალგირისი" კი იბრძოდა, მაგრამ ღირებული ვერაფერი გააკეთა და მოსკოველებმაც მოიგეს. ამასობაში „ალბამ" აჯობა „ბარსელონას" და ყველაფერი გაირკვა. ცსკა-მ, „ბენეტონმა" და „ალბამ" თანაბარი ქულები დააგროვეს. გუნდებმა ერთმანეთს ორ-ორი თამაში მოუგეს. ასე რომ, საქმეში ურთიერთშეხვედრებში ჩაგდებული და გაშვებული ბურთების სხვაობა ჩაერია. ამ მაჩვენებელმა კი გუნდები ასეთი თანმიმდევრობით დაალაგა: ცსკა (+12), „ბენეტონი" (-4), „ალბა" (-8). „ბარსელონა" პირველ ადგილზე დარჩა, ხოლო „თოფაშმა" და „ჟალგირისმა" ასპარეზობა დაასრულეს.

ნაკლებსაინტრიგო მდგომარეობა შეიქმნა G ჯგუფში, სადაც ორი გუნდი აცხადებდა პრეტენზიას ერთ ვაკანტურ საგზურზე. სევილიის „კახა სან ფერნანდოს" აუცილებლად უნდა დაემარცხებინა პირველ ადგილზე მყოფი თელავივის „მაკაბი". ოღონდ, თუკი პოდგორიცას „ბუდუჩნოსტი" ვილერბანში იმარჯვებდა, მერვედფინალშიც ის გავიდოდა. მოვლენები კი მეტისმეტად პროზაულად განვითარდა: „მაკაბიმ" იოლად დაამარცხა „კახა სან ფერნანდო", ხოლო „ბუდუჩნოსტმა" დეიან ტომაშევიჩის (19 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი) გამოისობით საარაკო გამარჯვება მოიპოვა. სიმართლე ითქვას, „ვილერბანს" აბსოლუტურად არ აინტერესებდა ეს მატჩი, რადგან „მაკაბის" ველარ უსწრებდა, ხოლო მესამეადგილოსანი პირეოსის „ოლიმპიაკოსი" მეორე ადგილიდან ველარ ჩამოაქვეითებდა.

თავის ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა ლიუბლიანის „ოლიმპიამ" და მერვედფინალში, „ოლიმპიაკოსის" წინააღმდეგ, საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნება. ლიუბლიანელებმა მაჩანჩალა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა" დაჩაგრეს. მადრიდის „რეალმა" ფრანგული „შოლე" არ დაინდო, მაგრამ მაინც მესამე ადგილზე დარჩა: თანაბარქულიან „ოლიმპიასთან" ურთიერთშეხვედრებში ბურთების უარესი სხვაობა აქვს. „რეალის" მეტოქე მერვედფინალში „ვილერბანი" იქნება.

სალონიკის პაოკ-მა ათენის „პანათინაიკოსს" მოუგო და კვირას საბერძნეთის ჩემპიონატში მარცხისთვის რევანში აიღო. მატჩი აბსოლუტურად არაფერს წყვეტდა, მაგრამ დაძაბულობა მაინც დიდი იყო. „პანათინაიკოსმა" ცუდად დაასრულა მეორე ჯგუფური ეტაპი, მაგრამ მაინც რჩება ევროლიგის ფავორიტად.

ბოლონიაში „იტალიური მატჩი" გაიმართა. მასპინძელ „ფორტიტუდოს" მეორე ადგილის დასაკავებლად „ვარეზეს" დამარცხება სჭირდებოდა. ბოლონიელებს მიზნის მიღწევა არ გასჭირვებიათ, რადგან ამ მომენტისთვის ერთი თავით სჯობნიან ვარეზელებს. თანაც, ამ უკანასკნელთ არავითარი სტიმული არ ჰქონდათ: ნებისმიერ შემთხვევაში ჯგუფში მეხუთე ადგილს იკავებდნენ. „ფორტიტუდოს" კი მერვედფინალში თვისტომი დაუპირისპირდება — ტრევიზოს „ბენეტონი".

„ფორტიტუდოს" მოგებამ აზრი დაუკარგა ზაგრების „ციბონას" მიერ ლაშკოს „პივოვარნას" ძლევის ფაქტს. ზაგრებელებმა უპრობლემოდ მოუგეს მეტოქეს, მაგრამ ჯგუფში მესამე ადგილს მაინც ვერ გასცდნენ. „ციბონას" და „ფორტიტუდოს" თანაბარი ქულები აქვთ, ურთიერთშეხვედრებში კი ზაგრებელებმა მეტი ბურთი გაუშვეს. „ციბონას" მერვედფინალში მოსკოვის ცსკა შეხვდება.

სტამბოლში კი დერბი შედგა — „ეფესმა" „ულქერს" უმასპინძლა. ეფესელებს პირველ ადგილს ვერავინ შეეცილებოდა, მაგრამ მათ მაინც ბოლომდე იბრძოლეს და საკმაოდ სოლიდურად დაამარცხეს პრინციპული მეტოქე. მერვედფინალში „ეფესს" ბერლინის „ალბასთან" მოუწევს გაჯიბრება, „ულქერს" — „ბარსელონასთან".

**მერაბ რატიშვილი**

## მერვედფინალი. ორ მოგებამდე. 29 თებერვალი-2 მარტი

თუ საჭირო გახდა, გადამწყვეტი მატჩი გაიმართება 9 მარტს

ბარსელონა (ესპანეთი) — ულქერი (თურქეთი)

ცსკა (რუსეთი) — ციბონა (ხორვატია)

ფორტიტუდო (იტალია) — ბენეტონი (იტალია)

ეფესი (თურქეთი) — ალბა (გერმანია)

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)

ოლიმპია (სლოვენია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)

ვილერბანი (საფრანგეთი) — რეალი (ესპანეთი)

მაკაბი (ისრაელი) — პაოკ (საბერძნეთი)

*პირველი და გადამწყვეტი მატჩები გაიმართება წყვილში პირველად დასახელებული გუნდის მოედანზე*

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. 21-ე ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 045 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 046 | შტუტგარტი-უნტერჰახინგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 047 | ფრაიბურგი-დორტმუნდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 048 | აინტრახტი-მიუნხენ 1860 | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 049 | ბაიერნი-დუისბურგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 050 | ბაიერნი-დუისბურგი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 051 | ვოლფსბურგი-არმინია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 052 | ულმი-ჰანზა | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-19 ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 056 | ჰანოვერი-მიონხენგლადბახი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 057 | კარლსრუე-ბერლინი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 058 | მაინცი-ფორტუნა | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 059 | ალემანია-ბოხუმი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 060 | ზანქტ პაული-კიკერსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

21 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 061 | კოტბუსი-ობერჰაუზენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 062 | მიდლსბრო-ქოვენთრი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 063 | ლიდსი-მანჩესტერი (15[30]) | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 32-ე ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 065 | ბარნსლი-ქუინზ პარკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 066 | ქრიუ-იფსვიჩი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 067 | ფულემი-უოლსოლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 068 | ნორვიჩი-გრიმსბი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 069 | ნოტინგემი-კრისტალ პალასი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 070 | შეფილდი-ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 071 | სტოკპორტი-ბლექბერნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 072 | სუინდონი-ბირმინგემი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### ინგლისი. II დივიზიონი. 32-ე ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 073 | ბრენტფორდი-უიკომბი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 074 | ბრისტოლი-ნოტსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 075 | ბარნლი-უიგანი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 076 | კემბრიჯი-ბლეკპული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 077 | კოლჩესტერი-სტოკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 078 | ლუტონი-როვერსი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 079 | მილუოლი-ბორნმუთი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 080 | ოქსფორდი-ჩესტერფილდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 081 | პრესტონი-ბერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 082 | სკანთორპი-რედინგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 083 | რექსემი-ოლდემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისი. III დივიზიონი. 32-ე ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 086 | ბარნეტი-პიტერბრო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 087 | დარლინგტონი-საუთენდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 088 | ჰარტლპული-მაკლსფილდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 089 | ჰალი-შრიუსბერი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 090 | ლეიტონი-ჩელტენემი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 091 | მენსფილდი-ჰალიფაქსი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 092 | ნორთჰემპტონი-ბრაიტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 093 | პლიმუთი-იორკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 094 | როჩდეილი-ლინკოლნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 095 | როტერჰემი-კარლაისლი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 096 | როტერჰემი-კარლაისლი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 097 | ტორკი-ექსეტერი | 1,7 | 3,2 | 4,2 |

### იტალია. სერია "ა". მე-22 ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 098 | რეჯინა-პერუჯა | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| 099 | რომა-ფიორენტინა | 1,7 | 2,9 | 5,0 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 100 | ლეჩე-ბოლონია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 101 | პიაჩენცა-ინტერი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 102 | ტორინო-კალიარი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 103 | უდინეზე-ბარი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 104 | ვენეცია-იუვენტუსი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 105 | ვერონა-პარმა | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 106 | მილანი-ლაციო | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### იტალია. სერია "ბ". 23-ე ტური

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 108 | ალძანო-ვიჩენცა | 2,7 | 2,5 | 2,7 |
| 109 | ბრეშა-ფერმანა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 110 | ბრეშა-ფერმანა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 111 | კოზენცა-პესკარა | 2,0 | 2,5 | 3,8 |
| 112 | ემპოლი-მონცა | 1,9 | 2,4 | 4,7 |
| 113 | ჯენოა-ჩეზენა | 1,9 | 2,5 | 4,4 |
| 114 | პისტოიეზე-სალერნიტანა | 2,7 | 2,5 | 2,7 |
| 115 | რავენა-სამპდორია | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| 116 | ტრევიზო-სავოია | 1,5 | 3,0 | 7,5 |

21 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 117 | ნაპოლი-ატალანტა | 2,1 | 2,5 | 3,6 |

### იტალია. სერია "ც1/ა"

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 118 | ბრეშელო-ჩიტადელა | 2,3 | 2,4 | 3,3 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. 25-ე ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 119 | დეპორტივო-ბილბაო | 1,7 | 3,0 | 4,7 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 120 | რაიო ვალეკანო-რასინგი (15[00]) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 121 | მალიორკა-სელტა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 122 | სოსიედადი-სარაგოსა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 123 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 124 | სევილია-ალავესი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 125 | ოვიედო-ბეტისი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 126 | ვალენსია-რეალი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 127 | მალაგა-ნუმანსია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 128 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 129 | ბარსელონა-ვალიადოლიდი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. 27-ე ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 130 | ხეტაფე-ლევანტე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 131 | ლას პალმასი-ატლეტიკო | 1,6 | 3,1 | 5,3 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 132 | ბადახოსი-ტენერიფე (15[00]) | 2,0 | 2,6 | 3,8 |
| 133 | ესტრემადურა-ელჩე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 134 | ეიბარი-ვილიარეალი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 135 | ალბასეტე-სპორტინგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 136 | სალამანკა-უელვა | 1,3 | 4,2 | 7,0 |
| 137 | სალამანკა-უელვა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 138 | ლეიდა-ტოლედო | 1,4 | 4,0 | 5,6 |
| 139 | ლეიდა-ტოლედო 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 140 | ლოგრონიესი-მერიდა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 141 | კორდობა-ლეგანესი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 142 | კომპოსტელა-ოსასუნა | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### პორტუგალია. 22-ე ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 144 | კამპომაიორენსე-პორტუ | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| 145 | სპორტინგი-ჟილ ვისენტე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 146 | სპორტინგი-ჟილ ვისენტე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 147 | სანტა კლარა-რიუ ავე | 2,2 | 2,9 | 3,0 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 148 | მარიტიმუ-ამადორა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 149 | სალგეირუში-სეტუბალი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 150 | ლეირია-ალვერკა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 151 | ბენფიკა-ფარენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 152 | ბენფიკა-ფარენსე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 153 | გიმარაეში-ბოავიშტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ჰოლანდია. 22-ე ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 155 | დენ ბოსხი-როდა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 156 | მაასტრიხტი-სპარტა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 157 | ნაიმეგენი-ვალვაიკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 158 | პსვ-ვიტესი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 159 | უტრეხტი-ჰერენვენი (17[30]) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 160 | აიაქსი-გრააფსხაპი (17[30]) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 161 | აიაქსი-გრააფსხაპი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 162 | ტილბურგი-ფეიენოორდი (17[30]) | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ბელგია. მე-24 ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 165 | მეხელენი-ბრიუგე | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 166 | ანდერლეხტი-ლოკერენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 167 | ანდერლეხტი-ლოკერენი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 168 | ვესტერლო-ლომელი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 169 | შარლერუა-გეელი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 170 | ჰარელბეკე-სენტ ტრუიდენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 171 | აალსტი-ბეერსხოტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 172 | გენკი-ბევერენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 173 | გენკი-ბევერენი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბერძნეთი. მე-20 ტური

20 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 174 | ქსანთი-კალამატა (17:00) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 175 | ქსანთი-კალამატა | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 176 | პაოკ-პანათინაიკოსი (17:00) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 177 | ოფი-პანაჰაიკი (17:00) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 178 | ოფი-პანაჰაიკი | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 179 | აეკ-ეთნიკოსი (17:00) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 180 | აეკ-ეთნიკოსი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 181 | არისი-პროდეფტიკი (17:00) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 182 | არისი-პროდეფტიკი | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 183 | ტრიკალა-ირაკლისი (17:00) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 184 | იონიკოსი-პანიონიოსი (17:00) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 185 | კავალა-პანილიაკოსი (17:00) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 186 | ოლიმპიაკოსი-აპოლონი (17:00) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 187 | ოლიმპიაკოსი-აპოლონი | | | |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

## ჩეხეთი. მე-17 ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 189 | ლიბერეცი-დუკლა (17:00) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 190 | ბრნო-დრნოვიცე (17:00) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 191 | ბუდეიოვიცე-ვიკტორია (17:00) | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 192 | სპარტა-ოპავა (17:00) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 193 | სპარტა-ოპავა | | | |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 194 | ტეპლიცე-იაბლონეცი (17:00) | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 195 | ჰ.კრალოვე-ბლშანი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 196 | ბოჰემიანსი-სიგმა | 1,7 | 3,2 | 4,2 |

## თურქეთი. მე-21 ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 199 | სამსუნი-დენიზლი (15:30) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 200 | ფენერბაჰჩე-ისთანბული | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 201 | ფენერბაჰჩე-ისთანბული | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 202 | ქოჯაელი-გენჩლერბირლიგი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| 203 | გიოზთეფე-გაზიანთეფი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 204 | ერზურუმი-ალთაი(14:00) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 205 | ბურსა-ტრაბზონი(15:30) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 206 | ანთალია-ანკარა(15:30) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 207 | გალათასარაი-ადანა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 208 | გალათასარაი-ადანა | | | |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

## ინგლისი. თასის 1/4 ფინალი

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 209 | ბოლტონი-ჩარლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 210 | ტრანმერი-ნიუკასლი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 211 | ჩელსი-ჯილინგემი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 212 | ევერტონი-ასტონ ვილა | 2,4 | 2,8 | 2,7 |

## საფრანგეთი. ლიგის თასის 1/4 ფინალი

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 213 | გენიონი-სტრასბური | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 214 | ლიონი-ბასტია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 215 | სედანი-რედ სტარი (17:45) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 216 | პსჟ-ნანსი | 1,35 | 3,8 | 7,0 |

## კალათბურთი

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 867 | ნიუ იორკი-ინდიანა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 868 | ჩიკაგო-კლიპერსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 869 | მილუოკი-ვანკუვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 870 | იუტა-დეტროიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 871 | სიეტლი-ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 872 | ფილადელფია-ლეიკერსი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 873 | შარლოტი-მაიამი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 874 | ტორონტო-დალასი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 875 | მინესოტა-ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 876 | ჰიუსტონი-სან ანტონიო | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 877 | გოლდენ სტეიტი-ვაშინგტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 878 | საკრამენტო-პორტლენდი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | 21 თებერვალი | | | |
| 879 | ნიუ იორკი-კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 880 | კლივლენდი-ვანკუვერი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 881 | დეტროიტი-მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 882 | ინდიანა-დალასი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 883 | სან ანტონიო-ფინიქსი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 884 | დენვერი-საკრამენტო | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 885 | იუტა-ატლანტა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 886 | პორტლენდი-ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

## ჰოკეი

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 894 | ნიუ ჯერსი-აილენდერსი | 1,25 | 4,0 | 4,4 |
| 895 | ოტავა-ვანკუვერი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 896 | ბუფალო-ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 897 | მონრეალი-ტორონტო | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 898 | ფილადელფია-ვაშინგტონი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 899 | კაროლინა-ტამპა ბეი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 900 | ფლორიდა-პიტსბურგი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 901 | ედმონტონი-კალგარი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| | 20 თებერვალი | | | |
| 902 | კოლორადო-დალასი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 903 | ჩიკაგო-დეტროიტი | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 904 | რეინჯერსი-ფილადელფია | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 905 | ფინიქსი-ატლანტა | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| | 21 თებერვალი | | | |
| 906 | კაროლინა-ვაშინგტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 907 | აილენდერსი-დეტროიტი | 2,7 | 4,0 | 1,6 |
| 908 | ფლორიდა-ოტავა | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 909 | ტამპა ბეი-პიტსბურგი | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 910 | ბუფალო-ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 911 | ნეშვილი-დალასი | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 912 | ედმონტონი-ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 913 | ანაჰაიმი-სენტ ლუისი | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 914 | ვანკუვერი-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |

## რაგბი. ექვსი ერის თასი. II ტური

19 თებერვალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 915 | საფრანგეთი-ინგლისი (17:00) | 1,7 | 6,0 | 1,9 |
| 916 | უელსი-იტალია | 1,1 | 6,0 | 6,0 |
| 917 | ირლანდია-შოტლანდია | 2,0 | 6,0 | 1,6 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობაში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ცერცვი კედელზე



ტიმ ჰენმანი

როტერდამი. ჰოლანდია. ADN/AMRO-ს პირველობა.
დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 800 ათასი $

ნიკოლას კიფერმა ერთი ყურიდან შეუშვა და მეორიდან გამოუშვა ბორის ბეკერის მოწოდება, დაბრუნდებოდა დევისის თასის გუნდს.

ოთხშაბათს უიმბლდონის სამგზის ჩემპიონმა ბეკერმა თავის ყოფილ შეგირდს საჯაროდ მიმართა, ავსტრალიის წინააღმდეგ მეოთხედფინალში შენს გარეშე არანაირი შანსი არ გვექნებაო.

„რამდენჯერ უნდა გავიმეორო? წლეულს ჩემი მთავარი მიზანი ოლიმპიადაა. თუ გაისად მთხოვენ დევისის თასზე თამაშს, მაშინ სიამოვნებით დავთანხმდები" — ასეთი იყო 22 წლის გერმანელის პასუხი, რომელსაც ამ თემაზე საუბარი აშკარად არ სიამოვნებს.

კიფერმა გასულ კვირაში არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში პრესტიჟული პირველობა მოიგო, მერე კი 30-გრადუსიანი სულისშემხუთავი სიცხიდან პირდაპირ ცივ ჰოლანდიაში, კონდიციონერებიან დარბაზში გამოსწია: „ასეთ ცვლილებასთან შეგუება იოლი არ არის, ამას ვერასოდეს შევეჩვევი. თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საკუთარ რიტმს მივაგენი".

მეორე წრის შეხვედრაში ტურნირზე მეორედ განთესილ გერმანელს მეტოქედ კერკეტი კაკალი, ირჟი ნოვაკი ერგო. სტაბილური ჩეხი ხანგრძლივ გათამაშებებში ხშირად ჩაგრავდა კონტრშეტევების მოყვარულ კიფერს და პასიური, გამომწვევი მოჭრილი დარტყმებისთვის მწარედაც სჯიდა.

პირველი სეტის წაგების შემდეგ გერმანელმა მეორე იოლად მოიგო, გადამწყვეტ ხელში კი მეტოქეებმა ორ-ორჯერ დაკარგეს მოწოდება და საქმეც ტაი-ბრეიკამდე მივიდა. როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბულ მომენტში კიფერმა გაცილებით უკეთ მოთოკა ნერვები და მეოთხედფინალის საგზურიც დაიბევა 5:7, 6:2, 7:6 (7:3).

ზედიზედ მეორე კვირაა, მოასპარეზე გერმანელს ხანგრძლივი მატჩი ვერაფრად წაადგებოდა, თუმც ბოლო ხანებში, რაც მისი ფიზიკურად მომზადება ლეგენდარულმა სერგეი ბუბკამ ითავა, კიფერი ძველებურად იოლად აღარ ილლება. მსოფლიოს მეორე ჩოგანი მწვრთნელმა, ბობ ბრეტმა მიუყვანა უკრაინელ ჭოკით მხტომელს და ბუბკას რკინის დისციპლინის შემწეობით ჩოგბურთელი ჯანისა და გამძლეობის მხრივ ბარე ერთ-ორს აღარ ჩამორჩება.

კიფერს კი ახალი გატაცებაც გაუჩნდა: „ყოველთვის მსურდა, ჭოკით ხტომა მცოდნოდა და სერგეიზე უკეთესს ამისთვის ვის ნახავ. ჯერჯერობით ჩემი რეკორდი 2,25 მეტრია. შესანიშნავი გრძნობა იყო, თუმცა ასე მეგონა, ქვევით უსასრულოდ მივფრინავდი".

მეოთხედფინალში გააღწია ტურნირის კიდევ ერთმა ფავორიტმა, ინგლისელმა ტიმ ჰენმანმა (4). მის მეტოქეს, ფაბრის სანტოროს როტერდამში ჩამოსასვლელად მცირე თავგადასავალი გადახდენია.

ჩია ფრანგი ორშაბათს მტკივანი მხრის შესამოწმებლად საავადმყოფოს ეწვია და დარწმუნებული იყო, რომ ექიმი დასვენებას გამოუწერდა უფრო მძიმე ტრავმის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ საღამოს ცხრაზე ავტომოპასუხეზე დატოვებული შეტყობინებით ფრანგს აუწყეს, რომ სახიფათო არაფერი იყო.

სანტორო მეორე დილის 5 საათზე წამოხტა საწოლიდან, ჰოლანდიაში მიმავალ პირველივე რეისს, პარიზ-ამსტერდამს მიუსწრო, მერე როტერდამამდე მანქანით იმგზავრა და თავისი მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე შეიჭრა „აჰოის" სპორტულ კომპლექსში.

გასავათებულმა ფრანგმა მაროკოელ ქარიმ ალამის მაინც მოუგო (7:5, 6:4), ჰერმანთან მეორე სეტში 2:5 ჩამორჩენაც აინაზღაურა, თუმცა საბოლოოდ დამარცხდა 2:6, 5:7.

„ასე კარგად დიდი ხანია, არ მითამაშია, ბოლო სამ თვეში ძალიან მოვუმატე. გასული სეზონის დასრულებიდან მეორე დღესვე ვარჯიშში დავიწყე და ახლა შედეგებს ვიმკი" — განაცხადა ჰერმანმა, რომელმაც დეკემბერში სატელევიზიო ჟურნალისტ ლუსი ჰელდზე იქორწინა.

მეორე წრე: **ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:3, 6:3; **მაგნუს ნორმანი** (3, შვედეთი) — პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) 6:3, 6:4; **გრეგ რუზედსკი** (7, ინგლისი) — ფილიპ დევულფი (ბელგია) 7:6 (7:3), 6:4; **სედრიკ პიოლინი** (8, საფრანგეთი) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:7 (3:7), 6:4; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:6 (7:3), 6:3; **ჟერომ გოლმარი** (საფრანგეთი) — იან სიმერიკი (ჰოლანდია) 6:4, 7:6 (7:4).

მემფისი. აშშ. KROGER ST. JUDE-ის პირველობა.
დარბაზი, ჰარდი.
საპრიზო 750 ათასი $

ავსტრალიელ მარკ ფილიპუსისს იღბლიანს ვერაფრით უწოდებ: შარშან უიმბლდონის მეოთხედფინალში სწორედ მაშინ დაიზიანა მუხლი, მსოფლიოს პირველ ჩოგან პიტ სამპრასს რომ უგებდა; ახლაც, მემფისში, ტრავმის გამო მოუხდა თამაშზე უარის თქმა, არადა, სერიოზული კონკურენტების არყოფნაში ზედიზედ მეორე ტურნირის მოგების შესანიშნავი შანსი ჰქონდა.

„სიმართლე გითხრათ, ყველაფერი ეს ძალიან გამაღიზიანებელი და იმედგამაცრუებელია. ვგრძნობ, რომ წლეულს ძალიან ბევრის მიღწევა შემიძლია, მაგრამ ეს ტრავმები ყველაზე შეუფერებელ დროს გამომეჩხირება-ხოლმე. ეჰ, შესანიშნავ ფორმაში ვიყავი" — დაიჩივლა „სკადმა".

ფილიპუსისი მუხლის ტკივილმა მეორე წრის მატჩის შემდეგ შეაწუხა, თანაც ისე, რომ ღამის 3 საათამდე ტკივილგამაყუჩებლების მიღების მიუხედავადაც კი ვერ დაიძინა. ავსტრალიელს იმედი ჰქონდა, რომ მეორე დღეს ყველაფერი გაუვლიდა, მაგრამ შვედ მაგნუს ლარსონს მაინც უბრძოლველად ერგო მეოთხედფინალის საგზური.

ექიმმა დაგ სპრინგმა „სკადს" მუხლის ანთება დაუდგინა, ხრტილზე გადატანილი ოპერაციის შედეგიაო, თუმცა თან დაამედა, სერიოზული არაფერია, ცოტა დასვენებით მოევლებაო.

ტრავმამ შეაწუხა ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი ტომი ჰაასიც (2). გერმანელმა მიქაელ ტილსტრომთან შეხვედრის პირველ სეტში კორტზე ექიმსაც უხმო ზურგის საწამლოდ, თუმცა საბოლოოდ მაინც იმარჯვა 2:6, 6:3, 7:5.

„ვიცოდი, კარგად უნდა მეთამაშა, მისთვის რომ მეჯობნა. ტილსტრომმა შარშან ლიონში მომიგო და ძალიან მსურდა, შური მეძია" — აღნიშნა გერმანელმა.

მერვედფინალი: **ბაირონ ბლეიქი** (13, ზიმბაბვე) — კრის ვუდრაფი (4, აშშ) 6:2, 3:6, 6:4; **მაიკლ ჩანგი** (5, აშშ) — ერნან გუმი (არგენტინა) 6:2, 6:0; უეინ ფერერა (7, სამხრეთ აფრიკა) — სესილ მემიტი (აშშ) 2:6, 6:2, 6:2; რაინერ შუტლერი (9, გერმანია) — ჟან-მაიკლ გემბილი (8, აშშ) 6:2, 1:6, 7:6 (7:2); სარგის სარგსიანი (11, სომხეთი) — ლორენს ტილმანი (იტალია) 6:2, 6:2.

ჰანოვერი. გერმანია. ფაბერის გრან პრი. დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 540 ათასი $

მერვედფინალი: **სერენა უილიამსი** (1, აშშ) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:1, 6:3; **კრისტი ბუგერტი** (ჰოლანდია) — ნატალი ტოზია (2, საფრანგეთი) 6:7 (3:7), 7:5, 6:3; **ამელი მორესმო** (3, საფრანგეთი) — ტაინა პისნიკი (ჩეხეთი) — ტრავმა; **პატი შნიდერი** (8, შვეიცარია) — სონია ჯეიასლანი (კანადა) 7:5, 6:4; **ანაბეილ სიდლო** (საფრანგეთი) — კიმ კლაისტერსი (ბელგია) 6:7 (3:7), 6:4, 6:4; **ენ კრემერი** (ლუქსემბურგი) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 6:2, 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**



ტომი ჰაასი



# შაბაშ! მსოფლიოს თასი...

**დასრულდა** მოცურავეთა მსოფლიოს თასის გათამაშება. სეზონის ბოლო, საფინალო მეთორმეტე ეტაპს უმასპინძლა შვეციის მალმიომ, სადაც მრავალი ქვეყნის 450-მდე სპორტსმენმა იასპარეზა. აქედან ყველაზე მეტ ყურადღებას, რა თქმა უნდა, მასპინძელი ქალთევზები იმსახურებდნენ, რომლებმაც დეკემბერში ლისაბონში გამართულ „პატარა წყლის" ევროპის ჩემპიონატზე ისახელეს თავი. ევროპის ჩემპიონატის გმირმა, ტერეზა ალსამარმა, მაშინ ორი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. არადა, ამ შედეგებამდე ცურვის მოყვარულებს მისი სახელი არაფერსეუბნებოდა. დღეს იგი უმაღლესი დონის მოცურავეა და მისგან საუკეთესო მაჩვენებელს ელიან.

შეჯიბრის პირველ დღეს 50 მატრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ალშამარმა პირველობა არავის დაუთმო (24, 43), თანაც მან ამერიკელი ჯენი ტომპსონის რეკორდი — 24, 56 — დაამხო. მეორე დღეს ალსამარმა 100 მერტზე იმავე დისციპლინაში იყოჩაღა.

— ეს მსოფლიოს თასი ჩემთვის თავისებური ტესტი იყო, სადაც ცურვის სხვადასხვა ტექნიკა გამოვცადე და გაამართლა კიდეც. ასეთი შესაძლებლობა ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე აღარ მექნება — ამბობს 22 წლის შვედი მოცურავე — წლის პირველ ნახევრისთვის ათენის მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემი მთავარი საზრუნავია. მისთვის სამზადისი მალმიოთი დავიწყე. თუ ყველაფერი გეგმაზომიერად წარიმართა, მაშინ ათენში მსოფლიოს რეკორდსაც დავამყარებ.

•მისივე თქმით, იგი მსოფლიოს ჩემპიონატამდე შვეციის პირველობაზე გამოვა, ბოლოს კი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მოსაპოვებლად გაემგზავრება.

— მე ხანგრძლივი და დატვირთული სეზონი მექნება. შესაძლოა ბევრი ფიქრობს, რომ ეს ცუდია, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან ცურვა მიყვარს — განმარტა ალსამარმა.

თავი გამოიჩინეს მისმა თანამემამულე ანა-კარინ კამერლინგმა, იოჰანა სობერგმა და ლარს ფროლანდერმაც.

კამერლინგი, რომელიც 50 მეტრზე ბატერფლაით მსოფლიოს რეკორდის მფლობელია, თავის ასეთ შედეგს ერთი წამით ჩამორჩა (26,63) და თანაგუნდელი იოჰანა სობერგს 30 მეასედი წამით (26,93) დაასწრო. თავის მხრივ სობერგმა იმავე დისციპლინაში 100 მეტრზე პირველობა არავის დაუთმო.

ასეთივე შედეგით ვაჟებში თავი ისახელა ლარს ფროლანდერმა, რომელმაც ჯერ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით იმარჯვა, შემდეგ კი 50 მეტრზე ბატერფლაით მეორე ადგილი დაიკავა და ასპარეზობა ოქრო-ვერცხლით დაასრულა. საერთო ჯამში შვედმა მოცურავეებმა ხუთი ოქრო, ორი ვერცხლი



ტერეზა ალსამარი

და ხუთი ბრინჯაო მოიპოვეს. ასპარეზობის სხვა მონაწილეთაგან ორი გამარჯვებით თავი გამოიჩინა ბრიტანელმა ჯეიმს ჰიკმანმა. მან 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით საუკეთესო შედეგი აჩვენა.

აღსანიშნავია, რომ ფინალურ ეტაპზე ბევრი უძლიერესი მოცურავე არ გამოდიოდა, რადგან მათი უმეტესობა ან ვარჯიშებს შეუდგნენ ან გადაიღალნენ და ოლიმპიურ თამაშებამდე ძალების მოსაკრებად ემზადებიან. თუმცა თორმეტივე ეტაპის შეჯამებით უკვე გამოიკვეთა ის ლიდერები, რომლებიც სიდნეიში ოლიმპიური მედლებისთვის იბრძოლებენ.

აქვე ერთს გეტყვით, რომ ცურვის საერთაშორისო ფედერაცია (ფინა) ახალი სეზონიდან აპირებს მსოფლიოს თასის ეტაპების 12-დან 10-მდე, ხოლო 2001 წლიდან 6 ან 7-მდე შემცირებას, ამასთანავე საპრიზო ფონდის გაზრდას, რათა ამგვარ შეჯიბრებებს დროდადრო უძლიერესი მოცურავეები არ გამოაკლდნენ.

**გიგა გურასაშვილი**



# ყელსაბამი ეძლვნება ანიტას

**გუშინ** სიდნეიში, სეოკ-ის სამდღიანი თავყრილობა დასრულდა და როცა დელეგატებმა დამსახურებული დასვენების უფლებით სარგებლობა დააპირეს, ვიღაცის ხელში ამერიკული გაზეთი „სოლტ ლეიკ ტრიბუნი" გაჩნდა, მასში თვალსაჩინო ადგილას მოთავსებულმა ერთ-ერთმა წერილმა მსოფლიო ოლიმპიზმის მამები ერთობ შეაშფოთა და დაალონა. თითქოს ჩამცხრალი ჩანდა შარშანდელი წლის მანძილზე მძვინვარე სამექრთამეო სკანდალი, როცა სეოკ-ის პრეზიდენტი ამერიკის კონგრესს ეახლა, გამოძიების ფედერალური ბიუროს მუშაკთა ხრიკიან კითხვებსაც ოსტატურად დაუძვრა და იმდენი მოახერხა, პატიოსანი კაცის იმიჯი არ შეიბღალა. გაზეთს ხუან ანტონიო სამარანჩზე არც ულაპარაკია, სამაგიეროდ, მისი მოადგილე, ანიტა დეფრანცი ამხილა. „სოლტ ლეიკ ტრიბუნის" გამოქვეყნებული ინფორმაცია იუწყება, რომ ამ ქალბატონმა უკანონო საჩუქარი მიიღო. გაზეთის ცნობით, 1990 წელს, როცა რვა წლის შემდგომ გასამართი ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის ვინაობა ირკვეოდა, მავანმა იაპონელმა სეოკ-ის რიგ წევრებსა და მათ ცოლებს ძვირადღირებული სამკაულები აჩუქა, რომელთაგან თითოეულის ფასი, ერთი სოლტლეიკსიტელი იუველირის გამოკვლევით, არანაკლებ 500 დოლარი ყოფილა, რაც სეოკ-ის სასაჩუქრო ლიმიტზე გვარიანად მეტია. ქალბატონი ანიტაც პატივდებულთა შორის მოხვედრილა. ამას იგი არ უარყოფს და აცხადებს, რომ სეოკ-ის იაპონელი წევრის, ჩიჰარუ იგაიასგან მართლაც მიიღო ოქროთი გაწყობილი ყელსაბამი ოლიმპიური რგოლების გამოსახულებით, თუმცა არა იმისთვის, რომ თავისი ავტორიტეტით ნაგანოს შესწეოდა, არამედ იაპონელ კოლეგასთან გულისამაჩუყებელი ურთიერთობის მოსაგონებლად. „მე ყელსაბამს ახლაც სიამაყით ვატარებ" — განაცხადა თავშემართულმა დეფრანცმა და რახან ამ დროს არ გაწითლებულა, შეფის კეთილგანწყობაც უმალ დაიმსახურა.

**დავით გულუა**



სონია ნეფი

# ქალი ვერ მიდის მოხვეულში

17 თებერვალს სამთომოთხილამურე ქალებმა შვედეთს მიაშურეს და კურორტ არეს ფერდობზე გამართულმა პირველივე შეჯიბრებამ გიგანტურ სლალომში საერთო ჩათვლის ლიდერი გამოცვალა. ავსტრიელმა მიქაელა დორფმაისტერმა მოსახვევში ისეთი უხეში შეცდომა დაუშვა, რომ გადაკოტრიალდა და მერე რაღა ფასი ჰქონდა ფინიშამდე მისვლას. „სულელურად შევცდი" — აღიარა მიქაელამ — „და საერთოდ, დღეს რაღაც უჯიგროდ ვისრიალე..." და ეს მაშინ, როცა დორტფმაისტერი სწორედ გიგანტურ სლალომში ითვლება უპირველეს სპეციალისტად და მარტო წლეულს 4 ეტაპი მოუგია. ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია, მაგრამ ავსტრიელმა რენატა გოეტჩლმა თვისტომზე ცქვიტად უწია ფინიშს და საერთო ჩათვლაში პირველობაც წაართვა. საერთოდ კი გუშინ შვეიცარიელი სონია ნეფის დღე იყო. წლების მანძილზე ტრავმებითა და ოპერაციებით გატანჯული სპორტსმენი, ეტყობა, წლევანდელ სეზონში აღმავლობის გზას ადგას, რადგან ოქტომბერში მოგებულ ერთ გიგანტურ სლალომს, შვედეთში ერთიც მიუმატა და საერთო ჩათვლაშიც არცთუ ურიგო შედეგი აქვს. ნეფმა მეორეადგილოსანი ავსტრიელი ვეტერანი, ანიტა ვახტერი წამზე მეტით ჩამოიტოვა, ხოლო მეორე ავსტრიელს, ბრიგიტა ობერმოზერს, ვისგანაც ამდენსაც არავინ ელოდა, 2,08 წამით გაუსწრო.

**დავით გულუა**

**საერთო ჩათვლა**

| | | |
|---|---|---|
| 1 | რენატა გოეტჩლი (ავსტრია) | 953 |
| 2 | მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) | 947 |
| 3 | რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) | 746 |
| 4 | იზოლდა კოსტნერი (იტალია) | 692 |
| 5 | სონია ნეფი (შვეიცარია) | 621 |



# ფორსბერგი აისბერგია
## ეშმაკები შვედს დაეჯახნენ

17 თებერვალი

**ბუფალო — ვანკუვერი 1:2**

0:1 1:0 0:1

0:1 ოლუნდი 15'18 (3); 1:1 გროშეკი 21'12 (11); 1:2 ბრაშირი 53'46 (10)

**ოტავა — ტამპა 6:2**

2:0 3:1 1:1

1:0 ჰოსა 1'16 (21); 2:0 ჟიუნო 8'12 (8); 3:0 მაკიჩერნი 20'25 (22); 4:0 ლედიარდი 28'33 (2); 4:1 ლეკავალიე 34'38 (17); 5:1 რედენი 38'33 (8); 6:1 ზამუნერი 41'32 (5); 6:2 მოდინი 42'03 (16)

**კაროლინა — მონრეალი 0:3**

0:1 0:0 0:2

0:1 რუჩინსკი 11'14 (17); 0:2 ლინდენი 54'24 (9); 0:3 რუჩინსკი 57'17 (18)

**ნიუჯერსი — კოლორადო 5:5**

2:1 1:3 2:1 0:0

1:0 მედენი 3'10 (9); 2:0 სიკორა 6'48 (17); 2:1 დინგმანი 19'02 (8); 3:1 მაკეი 31'42 (14); 3:2 როლსტ[illegible] 33'21 (11); 3:3 ფორსბერგი 34'16 (11)[illegible] ფორსბერგი 39'47 (12); 3:5 ტანგეი [illegible] (12); 4:5 ნიდერმაიერი 44'03 (7); [illegible] გომესი 50'25 (10)

**ფილადელფია — აილენდერსი 2:2**

0:1 2:0 0:1 0:0

0:1 კროგი 0'59 (2); 1:1 ლინდროსი 24'16 (23); 2:1 ჯონსი 33'24 (5); 2:2 ლოურენსი 49'16 (1)

ჰოკეი გუნდური თამაშია მაგრამ პიროვნების როლიც ერთობ დიდია და ამის დასტურად დღის ცენტრალური მატჩიც გამოდგება. ნიუჯერსი რომ წლეულს განსაკუთრებულად ასპარეზობს, გამორჩეულად შინ (+13=1-1 15 მატჩში), ეს კარგადაა ცნობილი. „ეშმაკებმა" შეხვედრა ამჯერადაც მაღალ დონეზე ჩაატარეს და ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისთვის. აი, კოლორადოს ბოლო 5 მატჩში პეტერ ფორსბერგი აკლდა და ამის გამო ისევ საშუალო გუნდად იქცა. შვედის დაბრუნება საეჭვო იყო, მაგრამ პეტერმა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა, გარისკა და ითამაშა, თან როგორ. თავიც გამოიჩინა და გუნდიც ახეირა. მას შემდეგ, რაც „ეშმაკები" 3:1 დაწინაურდნენ, ვინ წარმოიდგენდა, რომ მთავარი მოვლენები ჯერ კიდევ წინ იყო. უცებ ყველაფერი თავდაყირა დადგა — ფორსბერგის ძალისხმევით სტუმრები დაწინაურდნენ. მან ორი გოლი გაიტანა, ერთხელაც ალექს ტანგეის გაატანინა. მისი მეორე გოლი ნამდვილად შედევრი გახდა. ფორვარდი კარს მარცხნიდან მიუახლოვდა და გამოცდილი მარტონ ბროდო ისე ოსტატურად მოატყუა, მხოლოდ ერთეულებს რომ ძალუძთ. ყველასთვის მოულოდნელად ფორსბერგმა მოძრაობის მიმართულება შეცვალა, მეკარეს გვერდი აუარა და ლამის კარის ხაზიდან შეაგდო. ყველაფერი ეს თვალისდახამხამებაში მოხდა და მსაჯებმა ვერც კი შეამჩნიეს, რომ შაიბა კარში შევარდა. მათ გოლი, რომელიც მეორე პერიოდის დამთავრებამდე 13 წამით ადრე გავიდა, მხოლოდ შესვენების შემდეგ ჩათვალეს.

ერთი სიტყვით, ამ თამაშში ორივე გუნდი იმსახურებდა გამარჯვებას და სამართლიანიცაა, რომ „ეშმაკებმა" შეძლეს, პირველ ყოვლისა, პატრიკ ელიაშის ძალისხმევით (3 პასი), ანგარიშის გათანაბრება და გუნდებმა ქულები გაიყვეს. ნიუჯერსელმა ჯონ მედენმა უმცირესობაში მე-5 შაიბა მიითვალა და ამ მაჩვენებლით ლიგის ლიდერი გახდა.

თუ სეზონის დასაწყისში დომინიკ ჰაშეკის ლამის ყოველ გამოჩენაზე ბუფალო მარცხდებოდა და „დომინატორი" ერთგვარ უილბლო თილისმად იქცა, ახლა, მისი გამოჯანმრთელების შემდეგ, ყველაფერი შეიცვალა. „დომინატორმა" 5 მატჩში ითამაშა და ერთიც არ წაუგია, მაგრამ ორ დღეს ზედიზედ ასპარეზობას მაინც არ რისკავს. ამიტომაც ამჯერად კარში მარტინ ბირონი ჩადგა. მართალია, მას არაფერი დაუშავებია, მაგრამ „ხმლებმა" დაგეგმილი ქულები დაკარგეს ვანკუვერთან. კანადელთაგან პირველი გოლი მცველმა მატიას ოლუნდმა გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ამ ერთობ ნიჭიერ მოთამაშეს ზაფხულში ვარჯიშზე შაიბა მოხვდა თვალში და ერთხანს კარიერის დასრულებასაც კი აპირებდა, მაგრამ გაუძლო გასაჭირს და ნახევარი წლის შემდეგ ჰოკეისაც დაუბრუნდა.

5 შათაუტით დღემდე ლიგაში ბირონი ერთპიროვნულად ლიდერობდა, მაგრამ ახლა მას მონრეალელი ჟოზე თეოდორი გაუტოლდა, მისმა გუნდმა კი ზედიზედ მეოთხედ მოიგო, რაც ერთობ გასაოცარია, რადგან მას დღესდღეობით ძირითადში მოთამაშე 7 ჰოკეისტი აკლია ტრავმების გამო. მათ არყოფნაში მწვრთნელებმა არაერთხელ გადააადგილეს სამეულებში მოთამაშეები და სულ ახლახან შექმნილმა სტივენსონ (3 პასი) — ლინდენ (1+1) — რუჩინსკის (2+1) ტრიომ სამივე გოლი თავიანთ აქტივში ჩაიწერეს. არადა, მეტოქე კაროლინას მწვრთნელ პოლ მორისისთვის ეს 375-ე თამაში იყო, რითაც 34 წლის სპეციალისტი კლუბის რეკორდსმენი გახდა.

როგორც ჩანს, ოტავა საბოლოოდ შეეგუა ალექსეი იაშინის არყოფნას. „სე[illegible]ატორები" უმისოდაც გადიან პლე[illegible]ოფში. ყველა რგოლში კარგად დაკომპლექტებულ და დისციპლინებულ გუნდს ლიდერებიც გაუჩნდა — რადეკ ბონკი და მარიან ჰოსა — ამიტომაც ტამპასდარ გუნდებს იოლად უმკლავდებიან. თუმც კლუბის ფინანსური მდგომარეობა კვლავაც სავალალოა. მას შემდეგ, რაც კანადის მთავრობამ უარი თქვა ქვეყნის კლუბებისთვის დახმარების პროგრამის განხორციელებაზე, რომელიც ადრე თავადვე შეიმუშავა, ოტაველთა მფლობელმა როდ ბრაიდენმა გუნდის ქომაგებს მიმართა და დახმარება სთხოვა. მისი აზრით, გუნდი რომ ოტავაში დარჩეს, აბონემენტებისა და ბილეთების ფასი უნდა გაიზარდოს. ამ წამოწყებას ხალხმა მხარი დაუჭირა. მომავალ სეზონში აბონემენტების შეძენის მსურველთა 60 პროცენტმა განაცხადა, რომ თანახმაა, ფასებმა მოიმატოს. თუ ასე გაგრძელდა, კლუბი ოტავაში დარჩება.

რაც შეეხება იაშინს, მას ამიერიდან გაცილებით სერიოზული პრობლემები ექნება. ნჰლ-ის მესვეურებმა ჰოკეისტს არ აპატიეს ჯიუტობა, თანაც კლუბისთვის ასეთ რთულ პერიოდში. ისინი თანახმანი არიან, ქომაგთა მიერ იაშინის წინააღმდეგ აღძრული საქმე სასამართლომ გაარჩიოს. თუ სასამართლომ იაშინი დამნაშავედ ცნო, მას 7 მილიონ დოლარამდე გადახდა მოუწევს. „ჩვენ თავიდანვე კლუბს დავუჭირეთ მხარი" — თქვა ნჰლ-ის იურიდიულმა წარმომადგენელმა ბილ დეილიმ. ლიგის ისტორიაში ამგვარი საქმე პირველად ირჩევა და, როგორც ჩანს, იგი იაშინისთვის სავალალოდ დასრულდება.

**სამველ ლარიბიანი**

**სატურნირო ვითარება**

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 58 | 36 | 7 | 4 | 15 | 186:137 | 83 |
| ფლორიდა | 57 | 33 | 4 | 3 | 20 | 178:138 | 73 |
| ტორონტო | 58 | 30 | 7 | 3 | 21 | 172:157 | 70 |
| ფილადელფია | 56 | 28 | 11 | 1 | 17 | 163:131 | 68 |
| ოტავა | 57 | 28 | 9 | 2 | 20 | 161:144 | 67 |
| ვაშინგტონი | 56 | 28 | 9 | 1 | 19 | 151:135 | 66 |
| პიტსბურგი | 57 | 25 | 6 | 5 | 26 | 175:165 | 61 |
| რეინჯერსი | 59 | 24 | 9 | 3 | 26 | 164:163 | 60 |
| ბუფალო | 59 | 23 | 9 | 2 | 27 | 143:148 | 57 |
| კაროლინა | 59 | 24 | 8 | 0 | 27 | 149:164 | 56 |
| ბოსტონი | 58 | 18 | 16 | 4 | 24 | 149:167 | 56 |
| მონრეალი | 57 | 22 | 7 | 3 | 28 | 134:137 | 54 |
| აილენდერსი | 58 | 16 | 7 | 1 | 35 | 133:189 | 40 |
| ტამპა | 56 | 12 | 7 | 6 | 37 | 144:215 | 37 |
| ატლანტა | 57 | 11 | 6 | 4 | 40 | 122:210 | 32 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 57 | 36 | 6 | 0 | 15 | 177:118 | 78 |
| დალასი | 57 | 32 | 5 | 2 | 20 | 138:121 | 71 |
| კოლორადო | 59 | 27 | 9 | 1 | 23 | 162:154 | 64 |
| დეტროიტი | 58 | 35 | 6 | 1 | 17 | 197:151 | 77 |
| ფინიქსი | 56 | 30 | 6 | 1 | 20 | 166:148 | 67 |
| ლოს ანჯელესი | 56 | 27 | 7 | 3 | 22 | 179:161 | 64 |
| სან ხოსე | 61 | 25 | 7 | 7 | 29 | 165:164 | 64 |
| ედმონტონი | 58 | 21 | 15 | 7 | 22 | 159:150 | 59 |
| ანაჰაიმი | 59 | 25 | 8 | 1 | 26 | 157:162 | 59 |
| კალგარი | 59 | 23 | 6 | 5 | 29 | 145:176 | 57 |
| ვანკუვერი | 57 | 18 | 10 | 6 | 29 | 145:170 | 52 |
| ნეშვილი | 58 | 20 | 6 | 5 | 32 | 149:178 | 51 |
| ჩიკაგო | 56 | 19 | 7 | 2 | 30 | 159:179 | 47 |




REUTERS ფოტოქრონიკა

ფილადელფიელი ერიკ ლინდროსი (№88) აილენდერსის მეკარე კევინ უიქსს კინაღამ კარში შეუვარდა, მაგრამ მაინც ვერ გაუტანა



# გვჯერა, ბატონო!
## კეთილი ნების ტერნერი კოლოებმა შეაშინეს

ამერიკულ ლეიკ პლესიდში გუშინწინ კეთილი ნების ზამთრის თამაშები დაიწყო. ამ ტიპის შეჯიბრების არსი და დანიშნულება მკითხველისთვის ცნობილია, იგი თავის დროზე სოციალიზმისა და კაპიტალიზმის (იგივე აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის) პოლიტიკურ-სპორტული ბუტიაობის შერბილების მცდელობა გახლდათ, ხოლო შემდეგ თამაშები უბრალოდ პოპულარულ სპორტულ ღონისძიებად იქცა, რომელშიც მსოფლიოს ელიტა ნაკლებად მონაწილეობს, მაგრამ ჩადებული თანხების მნიშვნელოვანი ოდენობისა და აქედან გამომდინარე, კარგი რეკლამის გამო მაინც ბლომად მაყურებელი ესწრება. აქამდე კეთილი ნების თამაშები მხოლოდ ზაფხულის სახეობებისთვის იმართებოდა, ლეიკ პლესიდი კი ზამთრის სახეობათა მეკვლე გახდა. თამაშებს წლეულსაც ამერიკელი ტელემაგნატი ტედ ტერნერი აფინანსებს, რომელმაც განაცხადა, რომ ამ საქმისთვის 12 წლის განმავლობაში 109 მილიონი დოლარი დახარჯა თავისი ჯიბიდან და სამაგიეროდ არაფერი მიუღია. „ზარალს არ ვნანობ" — თქვა ამერიკელმა — „მაგრამ ისეთი ნაბიჯები მაინც უნდა გადავდგა, რომ ნაკლები დავკარგო". ამ მიზნით ტერნერს გადაუწყვეტია, ამიერიდან თამაშები არამარტო რუსეთში ან ამერიკაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც გამართოს და მათი პოპულარობა გაზარდოს. კითხვაზე, თუ რატომ არ გაიმართა შეჯიბრება ციმბირში, რაზეც ერთხანს ლაპარაკი იყო, ტერნერმა უპასუხა, ციმბირიდან კოლიბრისხელა კოლოებმა გამომაქციესო, ალბათ, იხუმრა...

ლეიკ პლესიდში კი საკმაოდ წარმომადგენლობითი კომპანია მოგროვდა. 450 ფიგურულად მოსრიალე, მოფრისტაილე, ბობსლეისტი, მოციგავე, ჩვეულებრივი და სამთომოთხილამურე, ბიატლონისტი და სნოუბორდის ოსტატი ამ დღეებში სხვადასხვა ხარისხის და შეფერილობის მედლებისა და იმ 647 ათასი დოლარისთვის იბრძოლებს, რომელიც გულუხვ ტერნერს საპრიზო ფონდად დაუწესებია. თამაშების გახსნას 6000 მაყურებელი დაესწრო. ცერემონიალი ლამაზად ჩატარდა. 40 000 ბილეთიც უკვე გაყიდულია, ასე რომ, მიუხედავად უხვთოვლიანობისა და ნისლისა, სანახაობას ხალხი არ აკლია. პირველი დღის ასპარეზობებმა პირველი სენსაციაც მოიტანა. ფრანგ სამთომოთხილამურე ვენსან ბლანს მსოფლიოს თასის ეტაპებზე უსრიალია, მაგრამ მე-17 ადგილზე მაღლა ცხოვრებაში არ ასულა, აქ კი ყველას აჯობა. არა მჯერაო, თქვა ფრანგმა, როცა კარგი ამბავი აუწყეს. ჩვენ გვჯერა, ბატონო და ჩამოგვაკიდებინე შენს კისერზე ეს მედალი, დროს ნუ გვაკარგინებო, მიუგეს პასუხად. რა შეიძლება ითქვას? კეთილი ნების თამაშებია, სხვა არაფერი...

**დავით გულუა**

## გერმანია

XXI ტური

ჰერტა 2:1 ჰამბურგი

1:0, 2:0 პრეეცი (64, 82), 2:1 ნ. კოვაჩი (89)

შალკე 1:1 ლევერკუზენი

1:0 ე. მპენზა (16), 1:1 პაულო რინკი (29)

### მეორე ბუნდესლიგა

XIX ტური

ქემნიცი 0:0 ვალდჰოფი

ნიურნბერგი 1:1 ოფენბახი

კიოლნი 2:2 ფიურტი

## იტალია

სერია B. XXIII ტური

ტერნანა 1:3 კიევო

## ჩეხეთი

XVII ტური

ბანიკი 1:3 სლავია

## ჰოლანდია

XXII ტური

სიტარდი 2:2 ტვენტე

0:1 ვენეგოორ-ჰესელინკი (2), 1:1 ამოა (12), 2:1 გერიტსენი (25), 2:2 ტარ ვესტი (90)

## ბელგია

XXIV ტური

სტანდარდი 2:0 მუსკრონი

1:0 ტაისი (36 პ), 2:0 მორნარი (64)

გენტი 2:0 ლიერსი

1:0 ვასოვი (8), 2:0 ხარივი (60)

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

XXXII ტური

ჰადერსფილდი 1:1 სიტი

მესამე დივიზიონი

XXXII ტური

სუონსი 2:1 ჩესტერი

REUTERS ოკლენდიდან



# ამერიკის თასისთვის

ეს კატარღა ავტომობილს კი გავს, მაგრამ კატარღაა და მასზე გულშემატკივრები სხედან. ასზე მეტი გულშემატკივრით დახუნძლული კატარღა შექრილა გუშინ ოკლენდის ვაიტამატას ნავსადგურიდან ღია ზღვაში. მათ გაქრას მიზნად ჰქონია ახალი ზელანდიის გუნდის მხარდაჭერა იახტათა უძველეს შეჯიბრში, რომელსაც ამერიკის თასი ეწოდება. ეს თასი კი 149 წლისაა და მსოფლიოს უძველეს სპორტულ ჯილდოს წარმოადგენს. ზელანდიელები თასს ამასწინეებზე ვუტონის თასის მომგებ იტალიურ „პრადას" ეკიპაჟის ხელყოფისგან დაიცავენ. ზურგქარის ამბავი ჰაურაკის ყურეში იწყება.

# ბიჭი თუ თოლია?

კალიფორნიის ტალღებზე „ონილ ქოლდვოთერ ქლესიქი" მიმდინარეობს. პროფესიონალი ტალღებზე მოცურავენი თავიანთი სერფებით მოიპოვებენ პურსა თვისასა. ახლა კი შეხედეთ, თოლია უფრო კარგად გრძნობს თავს, თუ ეს ვენესუელელი ბიჭი?



REUTERS სანტა კრუზიდან

REUTERS კანიდან



# რონალდო თამაშობს

*იმის გაგრძელება, რასაც გუშინ ვიუწყებოდით: რონალდო ეკრანთან დგას და კომპიუტერულ თამაშ „რონალდოს" ეთამაშება კომპიუტერულ გასართობთა კომპანიის პრეზიდენტ ბრუნო ბონელს. ეს ამბავი კანის დიდ ბაზრობაზე ხდება.*

# ნუ ვაჩხუბებთ!

შუა აზიაში მეტად პოპულარული ყოფილა ძაღლების ჩხუბი. ბევრ ქვეყანაში ძაღლების კი არა, მამლების ჩხუბიც აკრძალულა, ყაზახეთში კი ამგვარი რამ არ შეინიშნება: შუა ალმა-ატაში წრე შეუკრავთ და ნაგაზებს უსევენ ერთმანეთს. ყაზახეთის ძაღლთა ორთაბრძოლების კლუბს ერთმანეთისთვის შეუჯიბრებია კავკასიური და შუააზიური ნაგაზები. ინტელიგენცია პროტესტს გამოთქვამს, ძაღლები ჩხუბობენო.

REUTERS ალმა ათიდან





REUTERS ბანგკოკიდან

# ნიანგის ყბაში

*ეს რა სპორტია? ბანგკოკის ზოოპარკ სრირაჩაში თვრამეტი წლის გოგო პეტნაპა ტიპსენი მუშაობს. მისი სამუშაო ნიანგის ხახაში ყოფნაა. ტურისტები დოლარებს ჩუქნიან. ეს ყველაფერი აზარტულ თამაშს ჰგავს.*

# პირველი ივნისისკენ

*2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში სამხრეთ კორეასა და იაპონიაში უნდა გაიმართოს. ორგანიზატორები გამალებით ემზადებიან და ორგკომიტეტის პრეს-ატაშე წარმოადგენს კიდეც ახალ ოფიციალურ პლაკატს „პირველი ივნისისაკენ". ეს არის რიგით მეორე პლაკატი, ორგანიზატორებმა რომ გამოიტანეს დღის სინათლეზე. პირველს „მოგზაურობა დაიწყო" ერქვა.*




REUTERS ტოკიოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli